ჩემი ენა

პ ო ე ზ ი ა ა

საქართველოს სახელმწიფო
აგრარული უნივერსიტეტის
თანამშრომელთა და სტუდენტთა

№ 7

თბილისი 2010

უსაზღვრო გულწრფელი მადლობა
გამომცემლობა " თობალისის"
თანამშრომლებს წიგნის ტირაჟირებისას
გაწეული უანგარო ამაგისათვის!

ნათია აბურჯანია

ეკონომიკურ-ჰუმანიტარული
ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი

* * *

ატმის ტოტები არხევენ წადილს,
მზეს მიჩრდილავენ
ბრმას მხდიან
წაშლილს. . .
კალატოზები აგებენ ტაძარს,
ჯვარს კი გუმბათზე
მეთევზე ადგამს.
სადღაც იწყება ფუტკრების ტურნე,
ჯაჭვის ბოლოს კი ვიღაცა ურევს.
ყრუ-მუნჯი სათქმელს ნოტებით ამბობს
მისთვის უცნობის გაცნობას ლამობს.
შეუფასებლად იწვება ტილო,
მოლბერტს ფერებში აჭარბებს შავი,
ლექსის მკითხველო, რა მინდა გკითხო:
გითხარი ნეტავ რამე ახალი?

* * *

ფიქრებზე მეტად მაწვალებს წამი,
ჩემს ხელში ასე, ასჯერ ნაწამი
წამებზე უფრო ფარული სევდა
და მარტოყოფნით სინდისის ქენჯნა.
ყველაზე მეტად დუმილი შენი,
რჩევის დაკარგვა და ზღვაში გემი.
ცაზე ღრუბელი, სახეზე ცრემლი
და უნაპირო იმედი ჩემ წინ.
იმედში მეტი ოცნების კვალი
ეზოში ქორით დამფრთხალი მყვარი,
დამფრთხალთა შორის შენ,
ჩემი მზერით
და კალმისტარი სტრიქონთა წერით.

* * *

ანგელოზები ღაღადებენ
ქრისტე იშვაო
ბეთლემსა შინა,
მოგვებს ვარსკვლავი
გზას გაუნათებს
და ჭეშმარიტი დადგება დილა.

ერში იქნება უფლის ძიება,
ოსანა! ოსანა!
მაღალთა შინა.
ბზის ტოტებით და პალმის რტოებით
კვლავ იდიდება
ქვეყანას შინა,
მაგრამ ბიწიერ ფიქრებთა შორის
დაიბადება ბოროტი სიტყვა.
ბოროტი ძალა იპოვის ადგილს
ათორმეტთაგან ერთერთის შინა.
საჩინოს კაცთას
ერი შეჰრისხავს,
სისხლს წმიდისასას
იჯერებს მიწა,
გოლგოთა თავად მოინათლება
როგორც კვერცხები, აღდგომის დღისას.
უფალი ჩვენი მაცხოვნებელი
კაცთა ბუნებას
შეიცვლის ცისად,
სანუგეშოდ კი მადლს დაგვიტოვებს
ოსანა! ოსანა!
მაღალთა შინა.

* * *

რაო და, უნდა ვთქვა ახალი ათასი
დაგვიდგა მაისი, აყვავდა ატამი.
ხეებმა ჩაიცვეს ფოთლების ფარჩები,
“ძვირფასო, საშველად ნუ დაგვიანდები”.
მურია ლეკვებით წკმუტუნებს ეზოში,
თოხის და ბელტების გაისმის თქარუნი.
რა მინდა სხვა ვნახო მე უფრო ლამაზი,
დამეხსენ, შენ არ ხარ სათქმელი ამათში.
ჩიტებმა დასერეს ნაცნობი ფიგურა,
60 - გრადუსმა მიზანი იპოვა.
ბუდიდან გამოძვრა უცნობი ბახალა
და იცით რა მითხრა ?
სიცოცხლე მახარა.

* * *

კარუსელივით დატრიალდა
წუთისოფლის ბედის ბორბალი.
მე აქაური იქ გადამაგდო
მაპამპულავა როგორც ბორანი.
    სამსალა მასვა, აღარ დამინდო,
    ცრემლის სურები უხვად დამიდო
    მელანქოლიის გამხადა მსხვერპლი
    დამიხსენ ღმერთო, მე ამას გვედრი.
სულში ირევა ათასი გრძნობა,
ათასჯერ ნათქვამს, ათასჯერ ვბოდავ
ფურცლებს გრძნობებით, ფიქრებით ვათრობ
და სანუგეშოდ ვმაჭანკლობ, ვმასხრობ.

* * *

უსივრცობით დაღლილს,
თვალს მიბნელებს
მე გარშემო მარტი.
გაცრეცილი ატმის ყვავილს დავხვდი,
მაგრამ ვეღარ გავხდი უფრო მარდი.
გადავყევი ამბიციებს, ბრძოლას.
მიზნის ტბასთან მე შემმოსეს შავით,
რაღა გითხრათ?
აღარამაქვს ჯანი
გამეცალეთ!
რომ გავიქცე წამით.
რომ გავექცე
უსივრცობით ბორგვას,
შურს, ძმის გმობას
და ორგულის პოვნას.
რომ გავექცე ამ ნაწამებ წამებს
და კალმისტრის გადმოცემულ სათქმელს,
რომ ერთხელაც დაისვენოს სულმა,
რომ გზა პოვოს
მან ახლად მოსულმა.

* * *

სხვა რამ დახატა პალიტრის ძალამ,
ფერების სულ სხვა, სულ სხვა თამაში.
ოქროსფერს არ გავს,
ოქროსფრად ქარგავს
შემოდგომაა ალბათ ყანაში.
შემოდგომაა, ივსება ქვევრი . . .
საწნახელების ისმის ჭახ-ჭახი.
ურმის ჭრიალი, სახრე და შოლტი
არეულია ხმები ჭალაში.
სადღაც სიმღერა, ოროველა და
სადღაც ბანს აძლევს მეგობრებს მიტო,
ქარვისფერია ზეცაც აღმართში
შემოდგომაც ხომ ამ ფერებს ითხოვს.

* * *

ბროწეულმა გაიხარა მინდვრად
შემოდგომის მზის სხივებზე მკვიდრი.
ოქროსფერი შარავანდით მოსილს
წითელ სამოსს იგი მეტად შვენის.
ამოხეთქილ ვნებიანმა ალმა
გარდასახა მუქი ჩალისფერიც,
შემოდგომავ, ამ წითელმა ჩადრმა
ვერ დამალა სილამაზე შენი.
მანიაკად შემოგევლო ცვარი
გიბრწყინავს და მეყინება თვალი,
დიდებულო, ბროწეულო,გეტრფი
ეკლიანმა არ მატკინო ხელი.

ვასილ ამირიძე

უნივერსიტეტის კურსდამთავრებული,
ტექნიკური სამსახურის თანამშრომელი

ეს ლექსი ჩემმა სოფლელმა ვანო ამირიძემ უძღვნა მეტად კეთილ და მშრომელ 22 წლის ვასილ ილიკოს ძე ამირიძეს, რომელიც სახლის აშენებას და ოჯახის შექმნას აპირებდა, მაგრამ მოულოდნელად გარდაიცვალა...

ვანომ ვთქვი ამირიძემა
ვდგავარ სიმართლის გზაზედა,
ლექსად უნდა ვთქვა სათქმელი
მადლი იქნება მკვდარზედა,
ვაუკაცო შრომით დაღლილო
თავდადებულო სახლზედა
ღმერთმა გიბოძოს ნათელი
სხვა რა ვთქვა შენებრ კაცზედა.
სამშაბათს ნახე სიზმარი
ვიღაც კაცი დგას შარზედა
ძირს გეგო თეთრი ლოგინი
შავები გეცვა ტანზედა.
მამა არაფერს ზოგავდა
ექიმი გედგა თავზედა.
ოთხშაბათს დილით შებმული
გუთნეულები გაჩერდა.
ტირდა მთელი სოფელი
ყველას ცრემლი სდის თვალზედა.
სიკვდილსა სთხოვე: – ნუ მომკლავ,
ხელს ნუ შემიშლი სახლზედა,
ქვა მაქვსო მოქუჩებული,
მიტანილი მაქვს გზაზედა,
მასალაც მომზადებული
დაწყობილი მაქვს კარზედა.
რომ მოვკვდე ვინღა მოუვლის
ეს მამაჩემიც დაბერდა
ძმას მაინც გამოადგება
თუკი ოჯახში გაჩერდა.
ქრთამიც აძლიე სიკვდილსა
მან უმალ დაკვრა გაბედა
ავადმყოფობამ გაჯობა
მთელი სხეული გაჩერდა.
ქალ-რძალთ ჩაიცვეს შავები,
თალხებს იხურვენ თავზედა...
შენ ხელარჯობა გიყვარდა
ლოცავს გაყოლა მთაზედა

გლოვობენ შენი მშობლები
შენ ზიხარ ოქროს სკამზედა
ცხრა ანგელოზი გვერდს გიდგას
გადმოხვეულნი მხარზედა.

ჩავიწერე მე ვ. ამირიძემ 26.10.2010

ნამწყემსარის ნაამბობი

(ნამდვილად მომხდარი ამბავი)

თბილისიდან, კერძოდ კი აგრარული უნივერსიტეტიდან, ზუსტად 82კმ-ის დაშორებით თეთრი არაგვის ხეობის ცხავატის უბანში, მარჯვენა მხარეს ჩამომდინარე ხევის ორივე მხარეს გაშლილ-გაფანტულია მეტად ძველი სოფელი (ნაწილობრივ ნასოფლარი) ამირნი, - რომელსაც ძველად ამირთკარი ერქვა.

სოფელში ოდითგანვე მხოლოდ ამირიძეთა გვარისანი ცხოვრობდნენ. გვიან, - მე-17 თუ მე-18 საუკუნეში ქსნის ხეობიდან ორი ოჯახი გადმოსახლებულა და ამირიძეთა გვარისანი გამხდარან ყველა იმ ადათ-წესების დაცვით, რაც იმ დროს მოქმედებდა.

წინაპართა გადმოცემით, ამ სოფლის საძირკვლის ჩამყრელი მე-12 საუკუნის მიწურულს თუ მე-13 საუკუნის დასაწყისში დამკვიდრებულა. სოფლის პირველ მოსახლეთ ტყეში და ძნელად მისადგომ ქედებზე უშენებიათ საცხოვრებელი ქოხის მსგავსი ბინები, რასაც ადასტურებს გასული საუკუნის შუახნებამდე შემორჩენილი ნაქოხარ-ნასახლარები და ადამიანთა ჩონჩხების ნარჩენები მახლობლად დაშლილი აკლდამების ტერიტორიაზე. ვინ იყვნენ ისინი, საიდან მოვიდნენ. - სინამდვილე არავინ იცის, ორი ვარაუდისა თუ ვერსიის გარდა.

1949 წელია, ომი ოთხი წლის დამთავრებულია, სოფელი სიცოცხლესა და ცხოვრებას აგრძელებს, მიუხედავად იმისა, რომ 19 ვაჟკაცი ინაცვალა იმ საზარელმა ომმა, კასპიისპირეთის ყიზლარის ზამთრის საძოვრებიდან სოფლის კოლმეურნეობის ცხვარ-მწყემსი, მეტად გრძელი გზით, გაწამებული და ქანცგაწყვეტილი მშობლიურ არემარეს დაუბრუნდა მაისის მეორე დეკადაში. სოფელმა გაიხარა.

მწყემსებმა რამდენიმე დღე დაისვენეს, მონატრებულ

ცოლ-შვილს მოეფერნენ, ბიძაშვილობა-მეზობლობა მოიკი-თხეს, იპურმარილეს, საოჯახო საქმეები აწონ-დაწონეს, გასაკეთებელი საქმეები დაგეგმეს და ... ზოგმა კვლავ კოლმეურნეობის სამწყსოს მიაშურა, ზოგმა კი მაგ.: ფილიპემ და სანდრომ, - საკუთარი ცხვარი გამოარჩიეს კოლმეურნეობის ფარიდან, აიკიდეს გუდა-ნაბადი, გარკვეული რაოდენობის სურსათ-სანოვაგე და, მთიულეთში ყველაზე ლამაზ და თვალწარმტაც სათიბ-საძოვრებისაკენ აიღეს გეზი...

ნამწყემსარ ფილიპეს ნაამბობი: - „კარგად მახსოვს, მერვე დღე მოსაღამოვდა იმის მერე რაც მე და სანდრომ მთაში ავრეკეთ ცხორი. თავიდანვე ჭაობთ* ვაკეზე ერთმანეთის მომიჯნავე სახნავ მამულებზე (ნაკვეთებზე) მოვაქუჩეთ ჩვენ ჩვენი ცხორი ადგილის გაპატივების მიზნით და იქ ვათენებინებდით ღამეებს. ადგილი კარგია და ღამით ძაღლებს ვერც ნადირი მიუვა ადვილად. სადგომზე ცხორი რო მოვლალეთ და ძაღლებს ჯერი ვაჭამეთ, მერე ერთმა თხები მოვწველეთ, მეორემ კი ცეცხლი ავანთეთ, რძე ავადუღეთ და ვივახშმეთ. ძალიან კარგი ღამე იყო. წყნარი და მშვიდი. ვარსკვლავებით სავსე ცასაც ფერზე ეტყობოდა რო დარი იქნებოდა და არ იწვიმებდა.

მე და სანდრომ კარგა ხანს ვისაუბრეთ, მერე კი რადგან თიბათვის ღამეები ძალიან ხანმოკლეა, ნაბდები წამოვისხით და თეოზე გავედით ცალ-ცალკე. აქ უნდა ვთქვა, რომ მწყემსის ვალია ფხიზლად იძინოს, ძაღლების ყეფას დროზე შეეხმიანოს, ნადირი გააფრთხოს, და თუ საჭიროა, თოფიც ხომ აქვს, - ისიც უნდა გაისროლოს რომ ნადირისაგან არა ნახოს ზარალი. ამ ფიქრებში ვიყავ რომ რული მომერია და ჩავთვლიმე, მაგრამ მოულოდნელად ძაღლებმა ატეხეს ყეფა და დაძინება არ მაცალეს. ყეფის ხმაზე მივხვდი, რო ნადირის გამო არ იყეფებოდნენ. წამოვჯექი და იმ მხარეს გავიხედე, საითკენაც ძაღლები უტევდნენ... გამიკ-ვირდა, ნატბევთ* მხრიდან ნავთის ფარნის სინათლით ჩვენსკენ ვიღაც თუ ვიღაცეები მოიწევდნენ. სანდროს შევეხმიანე: - კაცო ამ დროს აქ ვის რა უნდა მეთქი?

- რა ვიცი, აბა რა უნდა გითხრაო - მიპასუხა სანდრომ.

ჩვენსკენ მომავალ სინათლეს გავძახე: - ეჰეეე! ... ვინა ხართ, რა გინდათ ამ დროს აქ და რას დაეძებთ?

ხმა არავინ გამცა, გამიკვირდა რომ არავინ

შემეხმიანა. ჩემთვის გავიფიქრე: დიდება შენდა მაღალო ღმერთო, მთელი დღე მე ამ მიდამოებში ვაძოვე ცხორს და არც აღმა ავლილი და არც თავქვე ჩავლილი არავინ დამინახავს, მე და სანდროს გარდა მთაში არავინაა ამოსული, ვინ უნდა იყოს?

ამ დროს სანდრომ გასძახა: - ვინა ხარ კაცო ამ შუაღამისას აქ რას დაეძებო?.. სანდროსაც არავინ უპასუხა.

უფრო მოახლოვებულ სინათლეს ისევ მე ვკითხე: - ვინა ხართ კაცო, მუნჯები ხომ არა ხართ, ხმა გაგვეცით!

ისევ დუმილი.

მე პირჯვარი გადვიწერე და უფალს შეწევნა ვთხოვე. ჩვენ სადგომთან საკმაოდ მოახლოვებულ „ფარნის" სინათლეს ძაღლებმა მეტი გაავებით შეუტიეს, დაყრილი ცხორო დაფრთხა, დაიშალა და ერთმანეთს შეერია; ერთად შეჯგუფებული ცხორიც სინათლეს მისჩერებოდა, სინათლე კი იმავე ნელი სვლით ჩვენსკენ მოიწევდა და უფრო და უფრო გვიახლოვდებოდა. იარა, იარა და ზუსტად იმ ადგილზე გაჩერდა, სადაც ჩვენ ცეცხლი გვენთო; სადაც რძე ავადუღეთ. მე უცნაურად შემაურეოლა, რაც არასდროს მომსვლია;

ნაბდის ქუდი მოვიხადე, ზეცას შევხედე, პირჯვარი გადვიწერე, უფალსა და მამა-პაპათა სალოცავებს შეევედრე შემეწიეთ-მეთქი; ამასობაში ნაცეცხლარზე „ფარნის" ნათებამ მოიმატა და კარგად გამოჩნდა რომ ნათებასთან არავინ იყო, ნათებამ ნელ-ნელა დაბლა დაიწია, ჩაიღვენთა, მთლიანად ჩანელდა და გაქრა...

მე და სანდრო ჯოხებზე დაყრდნობილნი, ნაბდებ წამოსხმულნი და ნანახით გაოგნებულნი ხმის ამოღებას ვერ ვახერხებდით. ძაღლებმა ყეფა შეწყვიტეს, ცხორმაც ნელ-ნელა დაყრა (დაწოლა) დაიწყო, ნანახით განცვიფ-რებულებსა და გაოგნებულებს რაღა დაგვაძინებდა? ფიქ-რებს გაყოლილმა მთელ ჩემს წარსულს გადამავლებინა თვალი.

... თორმეტი წლისა ვიყავ, როცა მამაჩემმა თავის თუშ მეგობარს, - რომელთან ერთადაც „ვლადიკავკაზ"-ში ტყავის დამუშავების ხელობას სწავლობდა, - გამაყოლა და სთხოვა: - აბა შენ იცი, ჩემო გიორგი (მთათუშეთის სოფელ დიკლოდან იყო გიორგი) ჩემი ბალღი დაუზარელია და შენ რომ იცი და გინდა, ისე გამოზარდეო ...

გიორგი საკუთარი შვილებიდან არ მარჩევდა, მამაჩემზე არა ნაკლები ყურადღებითა და სიყვარულით მივლიდა, არ მახსოვს, მას როდისმე რაიმეზე დავეტუქსე. ათმა წელმა გაიარა და თუ ჩემში რაიმე სიკარგე და სიკეთეა, - გიორგის კაი კაცობის წყალობით არის.

ათ წელიწადში სამასი სული ცხორი მომაგროვებინა და ოცდაორი წლისა, ამ პირუტყვითა და ცხრამეტი ცხენით მამაჩემთან დამაბრუნა.

დღესაც მახსოვს მამაჩემის სიხარულის ცრემლებით სავსე თვალები, ის დიდი პატივისცემით დახვდა მეგობარს, ისიც კარგად მახსოვს რომ, სამ დღე-დამეს გრძელდებოდა ქეიფი და მოლხენა...

წასვლის წინ გიორგიმ გულში ჩამიკრა და მითხრა, აბა შენ იცი, ქორწილი არ გამომაპაროო და წავიდა. უნდა გამოვტყდე, რომ მის წასვლაზე ცრემლები მომერია და წელიწადზე მეტ ხანს თვალებიდან ვერ ვიცილებდი და სიზმრადაც კი ვნახულობდი. მთათუშეთის გომეწრის ხეობიდან დაწყებული ფშავ-ხევსურეთის მთები ვიდრე თრუსოს ხეობამდე, სულ ფეხითა მაქვს დალახული, რამდენჯერ გზად მიმავალს დამდამებია. კლდის ქვეშ, ან ქვის გვერდით მიწოლილს გამითენებია, შიში რა იყო არ ვიცოდი, არც ნადირს გადავყრივარ სადმე და არც სხვა რამ მინახავს და მომჩვენებია. ამ ღამით კი ამ ხნის კაცმა ეს რა ვნახე ? ეს რა ვიხილე ღმერთო, ეს რა იყო? რა მოხდა?

სინათლე მოვიდა, ჩვენს ნაცეცხლარზე გაჩერდა, ენთო, ენთო და ნელ-ნელა ჩაიწია და ჩაქრა. ღმერთო შემეწიე, მე ხომ სანდროზე საკმაოდ უფროსი ვარ? მიმახვედრე, გევედრები როგორ მოვიქცე? რა ვქნა?

ამასობაში ირიჟრაჟა და ცისკენ ისარივით წასული ტოროლები აწკრიალდნენ. .

მოულოდნელად ჩემსავით ჯოხზე დაყუდებულ სანდროს, ალბათ ღვთის ნებით იყო,– შევეკითხე:

- გუშინ ცხორს სად აძოვე მეთქი?

- ელიაის* ძირებში და წვერის ანგელოზის* მიდამოებშიო - მიპასუხა სანდრომ.

ესეც ალბათ უფლის შეწევნით იყო და მეორე კითხვით მივმართე: - იქიდან ხომ არაფერი წამოიღე ?

- კი ეჟვანი ვიპოვე და ის წამოვიღეო - ალბათ გულახდილად მიპასუხა სანდრომ.

ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა და სანდროს ვთხოვე: - ჩემო სანდრო, წუხელ მე და შენ ერთად

ვნახეთ რაც მოხდა, მაგ ეჟვანს პატრონი უკან სინათლით მოჰყვა და სწორედ მაგის გამოა მე და შენ რომ ჯოხებზე დაყუდებულებმა გავათენეთ. ეგ ეჟვანი ამ დილაადრიან წაიღე და იქვე გადაიტანე და იქვე დადე საიდანაც აიღე, რომ მობრუნდები ცხორი დავარჩიოთ და საძოვარზე გავრეკოთ.

ფილიპემ ნაბდის თუშური ქუდი მოიხადა (რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ატარებდა), პირჯვარი გადაიწერა და დაიფიცა: მაღალი ღმერთი და მამა-პაპათა სალოცავები მრისხავდნენ, თუ სიმართლეს არ ვამბობდე და მაგის მეტი ჩემ სიცოცხლეში მენახოს რამე ან მომჩვენებოდეს ან მანამდე ან მაგის შემდეგ".

ამ სიტყვებით დაამთავრა ნამწყემსარმა თხრობა...

ჩაწერილია 1968 წლის მარიამობის თვის 7 რიცხვში

შენიშვნა: *ჭაობნი, ნატბევი სათიბ-საძოვრების ტოპონიმიკური უბნების სახელებია, სოფელი ამირნი, წვერის ანგელოზი, ელია - ხოლო წვ. ანგელოზი და წმ. ელია - სალოცავების საბრძანისის ადგილებია.*

* * *

მთაშია ჩემი სოფელი
კოხტა, პაწია, პატარა,
შვიდასი წელი დრო–ჟამმა
ხმალ- ჩაჩქიანი ატარა,
ღმერთმა აცხონოს პირველად
ვინაც აქ ბინა დაიდო
მტრისაგან შეწუხებულმა
გზად დიდი მსხვერპლი გაიდო
ჯერ ტყეში ქოხი ააგო
გვერდით აკლდამა მოიწყო
ხის კავით მიწას ჩიჩქნიდა
ხორბლის მოყვანა დაიწყო.
პირუტყვს უვლიდა,შრომობდა
სიცოცხლეს გარჯა სჭირია

სათიბ–სამკალი, მწყემსობა
ცხოვრება გასაჭირია.
ცოტა რომ სულ მოითქვა
მსწრაფლ ციხე–კოშკი აიგო
წყლისთვის გვირაბი გათხარა
ძირს სიპი ქვები დაიგო
ციხის ზემოთ კი ვაკის პირს
ააგო მცირე საყდარი,
მთავარ ანგელოზს გაბრიელს
შესთხოვა თავშესაფარი:
გვიშუამდგომლე უფალთან
გაგვხადე შენი მოყმენი
მუდამ გადიდოთ, გილოცოთ
გექნეთ მორჩილი მომხრენი.
უფალს აღუთქვა პირობა
დღემდე უტეხი ფიცითა.
ყოველ წელიწადს ეახლოს
სულთმოფენობის დღისითა,
აანთოს წმინდა სანთელი,
ადიდოს ღმერთი, ხატები,
საკლავი დაკლას, ილოცოს
მუხლმოყრით გულში ნადები....
სოფლის ზურგს უკან ჰყუდია
ოთხი ფერდობი ტყიანი
თავზე გვირგვინად ადგია
სათიბი ყვავილოვანი.
სულ ზემოთ ცამდე ასული
პატარა კლდეა კურკუტო,
ჯანღით თავდაბურულია
ძვირად თუ ნახავთ უქუდოდ.
შუა სოფელზე ჩამოდის
მთის ნაკადული პატარა
კლდის ძირში ცივი წყარო დის
სწრაფად ივსება მათარა.
აღმოსავლეთით მშფოთვარე
ჩაუდის თეთრი არაგვი,
მის ხოტბით ბევრი დაღლილა
მეც მისითა ვარ ამაყი.
ფეხზე დგას მთელი სოფელი
კუშტი და გაუტეხელი
საამაყო აქვს წარსული
ამირნი ქვია სახელი.

სულ ოციოდე კომლია
ამირიძეთა გვარისა,
ყველა მხნეა და გამრჯელი
სიცოცხლე დღემდე “ჰყვავისა”,
ჰყოლია ბევრი ვაჟკაცი
გაუმაძღარი ბრძოლითა.
მარტო კრწანისში შვიდთ სძინავთ
მშვიდად საღათას ძილითა.
ფაშისტებთანაც ბრძოლიდან
ცხრამეტ კაცს დღემდე ელიან.
ერთის იციან სამარე,
უკრაინაში სვენია....
.....
პაპას მოყოლით, - ციხესთან
ათი მდგარაო ბოძები,
ექვსს მოვესწარი, ეხურათ
თავის ქალები ოსების....

ირაკლის, საძმო კაცს

მადლობა სამძიმრისათვის
გვერდით უდგეხარ მამალსა,
ცხონება . იმ ქვეყნად
შავების გზაზე მავალსა.

შენთვის ვფიქრობდი ირაკლი
ლექსად მეთქვა რამ, თუ არა
ცდუნებამ მაინც დამძლია,
თავს ელვად გადამიარა,
მითხრა: „რას მიეთ-მოეთობ”
ლექსის დაწერა მოგინდა?
ეგეთი აზრი საიდან?
რომელი მხრიდან მოვიდა?
გაიგე, - მუზების ღმერთმა
ზურგი გაქცია, წავიდა,
თვალს მიეფარა ლანდივით
მზეს გაყვა, მასთან ჩავიდა.
წყალობის ნაცვლად მოგიგდო
უნიჭობა და დუმილი,

სურვილი რითმის ძებნისა
და ლექსის წერის წყურვილი.
მუდამ შეგეძლოს ჯახირი
და უშნოდ-უგონთ რატრატი
არა მთის წყაროსავითა
გულის საამო რაკრაკი.
ცდა ბედის მონახევრეა, -
ასე უთქვამს ძველებს.
მეც ცდაზე თავი გადავდე
რაც უფრო გამახელებს.
იქნებ შევიძლო პასუხის
მეც ლექსის ფორმით დაწერა,
ხვალ ან ზეგ დავიტრაბახო
შევიძლო თავის აღერა.
ახლა, როცა ვწერ ამ სიტყვებს
ლოგინს გახლავარ გაკრული,
სიცხისგან გათანგული და
ბედისგან მედგარდაკრული...
.....დიახ, მე შენი რჩევითა
კვლავ ვაქორწინე მამალი,
მოვგვარე ჭროდა დიაცი
თავის გვარ-ტომი, ფრთამალი.
თაფლობის თვე აქვთ, ლაღობენ
კვერცხს კვერცხზე ისვრის დედალი,
თავს დაჰკურკურებს ამაყად
დეზებიანი მხედარი...
შენ პოეზიის ქურუმსა
გამშვენებს სტილი ფშაური,
შენ ვერვინ წამოგეწევა
გვარად ხარ გაბიდაური.
როგორ გავბედო ტიტანთან
შებმა, რითმების ჟღრიალი?
რის მაქნისია ყურცქვიტა
როს ესმის ლომის ღრიალი?
მამალს მილექსებ ძმობილო
რითმებს თავს მიყრი ხვავადა,
ლექსებითა გსურს გამთელო
გადამიარო ზვავადა.
გირჩევ დაბეჭდო ლექსები
ეძებო, გზები გაკვალო,
რედაქციები აოტო
მათ კარზე ხრმალი ახალო.

შენა ხარ ხვალის პოეტი
ოცდამეერთე გელის,
რითმების ცეცხლში დაფერფლო
უნდა სიცოცხლე მთელი,
საკაცობრიო თემებზე
შენი სიტყვა თქვა იქნებ,
მემატიანეც უთუოდ
შემდგომში რითმებს გიქებს...
სხვა რაღა გითხრა ირაკლი
მეტი არ ძალმიძს იცი,
კვლავ საძმო კაცად დავრჩები
გჯერა, მეც კარგად ვიცი.
ერთია მხოლოდ სათქმელი
ბოლოში ჩასვლა მინდა
თუმც, უკვე ბოლოდ სათქმელი
ენიდან გამიფრინდა...
შენებრ არ მივკიბ-მოვკიბავ
პირდაპირ, ჩიქურ გატაკებ,
ჩვენებ „ლექების" დამწერი
ყველა ჩვენსავით რატრატებს...

11.10.1996წ.

დედის კარნახით დაწერილი:

ია შენატრის ენძელას

ბედნიერო ენძელაო
სამჯელ მოხვალ წელშიაო,
ერთხელ მოვალ, მოვშავდები
მაშინაც უღრან ტყეშიაო"

მკათათვის 18.1997წ.

ანი ბიბილაშვილი
ეკონომიკურ-ჰუმანიტარული
ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი

მეგობრობა

მეგობრობა ეს ისეთი განძია
მეგობრობა დაუცლელი ყანწია
მეგობრობა ძალა, რწმენა მადლია
მეგობარი საუკუნო ნათლია.
ეს ცხოვრება ყველამ ვიცით ხიდია
ყველამ ვიცით რა ოდენი დიდია
მეგობრობით გაგვყავს ხიდის ბოლომდე
ცხოვრებაში მეგობრობით ომობდე.
მეგობრობა არის, როგორც კლდე სალი
მეგობრობა ურთიერთის მთესავი
მეგობრობა ქვა და რკინა ერთია
ჭირში კაცი ყველასთვის ღმერთია.
მეგობარი სიტყვაა და მისი ძალა
მეგობარი თესლი არის, მძიმე კალა
მეგობარი დაუცლელი წამალია
მეგობრისთვის მეგობარი რამ დალია.
უმეგობროდ კაცი არი უმწეო
შობილია, ახალბედა ურძეო
უმეგობროდ გული არის ორგული
უმეგობრო ცხოვრებაზე მორგული.
მეც დაგილოცავთ ყველას მეგობრებს
ამ ცხოვრებაში ერთად მეომრებს
იცოდეთ ყველამ ერთურთის ფასი
არ დაგეკარგოთ ეს მძიმე თასი.
ამ სიყვარულით სავეს, მთვრალივით
დავეხეტები მათში ქარივით
მყავს მეგობრები და მიყვარს ყველა
თამუნა, თაკო, ლევანი, გელა.

* * *

გზებიც გადაიპენტება, აღარ წყდება თოვა
ველოდები მეც ჩემ სატრფოს და ვიცი რომ მოვა
ხალხო, ნუღარ სტირით მოთქმით შეწყვიტეთ ეს გლოვა

გადაიღებს თოვა, ვიცი ჩვენი მზეც ამოვა.
ის ვაგონიც ჩამოივლის ალბათ მოვა მალე
შენ საქართველო ეგ ცრემლები კარგად გადამალე
ყველამ გულში სიძულვილის გადაშალეთ ხაზი
ყველამ ერტად შემოვკრიბოთ კართველ-აფხაზი.
რომ ეს საზღვარი გაყოფილია საზღვარი არის კარად
რომ აქ ქართველი იქ კი აფხაზი ცალკე ითვლება
მკვდარად.
უფალს რა ვუთხრათ რა ვუპასუხოთ რა ავიფაროთ
ფარად.
როგორ ვაქციოთ ეს დიდთოვლობა მხიარულად და
დარად.
რა ვუპასუხოთ ჩვენს მამებს, პაპებს როცა ვიხილავთ
თვალით
როგორ ვუჩვენოთ ეს საქართველო დაფარული
კვალით.
მათში ავარდნილ ცეცხლის გრიგალში როგორ
ჩავასხათ წყალი.
როგორ გავხადოთ დედობის კერპად ისევ
მორწმუნე ქალი.
ვიცი არ მისმენთ და ამით უფრო დავემსგავსებით
ცხოველს
ეგ დიდგულობა და სიამაყე უფრო აღრმავებს მორევს
თვალი აფრინეთ გადააწვდინეთ გზაზე მთებსა და გორებს
თქვენც დაინახავთ ჩვენი ცივი ხმა მათში კვალს
როგორ ტოვებს.
ფიქრით დაღლილმა დაღონებულმა მეც ძილს
მივეცი თავი.
სიზმარში ვნახე მთელს ქვეყანაში ერთად
დამდგარა დარი
ყველგან ჩამდგარა აქაც და იქაც დამამხობელი
ქარი.
ქვეყნის დროშამ და ერთიანობამ მეც დამიმშვენა
მკლავი.

წითელი ღამე

სიტყვები, სიტყვები, სიტყვების გროვა
აზრები, ფიქრები, დუმილი, გლოვა

მჭირდები, მჭირდები, როგორ მჭირდები
მაგრამ ხსენება შენი ვერ მოვა.

აღარ მაქვს გული ყველა გაქვავდა
აღარ მაქვს ძალა სიტყვები გაქარდა
მტკივა მე, მტკივა მე გული
სიყვარულთან, რომ არის მირგული.
ისევ ზრიალებს ჭიშკართან ქარები
გადაიბუგა მტკიცედ დარები
შეივსო ყველგან სიკვდილის ბარები
შემოიხურა ყველამ კარები.
სალოცავებში რეკენ ზარები
ფიქრები აზრები უცხო მალები
ჩემო ბედკრულო ნუ მემალები
ჩემო წარსულო ნუ მემალები.
გულთან დამირჭეს მე რკინის სარები
ყველამ აიფარა ლოცვის ფარები
მხოლოდ მე დავრჩი მხოლოდ მე გავები
მხოლოდ მე დამხვდნენ ველური ავები.
ფურცლები, კალმები, ნაკითხი წიგნები
მეც მათხოვარი უმწეო ვიქნები
მელოდებიან კარებთან ციგნები
იყოს, დავრჩები გვირაბში ვიქნები.
გვირაბში ვიქნები, სინათლეს შევყურებ
დავიცობ, დავიხშობ, დავითხრი მე ყურებს
ოღონდ არ მითხრათ აქედან გადი
არ მომაძახოთ - ჯოჯოხეთს წადი.
გარეთ ისევე მგრგვინავი ქარია
გარეთ ისევე ცხელი წყალია
ახლა აღდგომის თეთრი ღამეა
მდუმარედ ლოცვის ჟამია.

* * *

ღმერთო! ჩემი საქართველო ნანას მიმღერს ობლად
გულში,

აამღვრია სევდის ტბა და გაამკვრივა რწმენა სულში,
რაც ეპოქამ ვერ დააკლო, რაც ვერ გვავნო ხორცით
მტერმა
ახლა გვებრძვის ციურ ქალთა ეშმაკური გამომტვერვა.
ღვთისმშობელო გვიწყალობე ღვთისმშობელო დაგვიფარე
ღვთისმშობელო ძალა მოგვეც, გვწამდეს როგორც
დაგვიბარე
ღვთისმშობელო ჯვარი შენი, საქართველოს გარდასახე
აგვარიდე ჯოჯოხეთის ეშმაკური, ლუცი სახე.
წმინდა ნინო ვაზი ლპება, ცრემლით დნება და იქცევა
თუ ქვეყანას ვერ მივხედეთ სატანთ კერძად გადიქცევა
ჯვარი შენი გარდაგვსახე, გულში იქმენ სასწაული
რომ მეორედ მოსვლისა ჯამს, ვიყოთ ედემს მიწვეული.
სამასსამოც ნაწილს ვითვლით წმინდა მოწამეო ჩვენო
ძალა მოგვეც,რომ სატანას რწმენა ჩვენი დავაჩვენო,
ზარ-ზეიმით გადმოგვეცი შენი წმინდა მახვილიო
რომ ძირს დავცეთ ავ ძალების ყველა გამომსახველიო.
უფალო უფლებათაო! გიხმობთ მმართველად სულისა,
რომ ქართველ ერში სათქმელად, რომ ყოფილიყოს სულისა:
“-უფალმა გონი გაგვიხსნა შემოიხუნა წმინდანნი
ღვთისმშობლის წილი ქვეყანა რწმენის ღრმა საწინდარი.
ზეცაში მყოფნო წმინდანნო, გულით გავედრებთ ლოცვასა
მოგვხედეთ, გზაგაგვინათეთ, ჩვენ ცოდვებს ვუზამთ ხოცვასა
ამას ვავედრებ მხევალი, სახელსა წმინდა მამასა,
მისსა ძეს, სულიწმინდასა-ამინ!-ს ვეტყოდე მამაცსა.



ცირა ბლუაშვილი

* * *

მომეცი ნება–
ხელზე ფრთხილად შეგეხო ხელით
და შენი სითბო ვიგრძნო
მომეცი ნება–
უხმოდ გითხრა სათქმელი ჩემი
შენად ჩამთვალო, ვინძლო.

მომეცი ნება–
ავგალობდე ტოროლას დარად
ჰანგი ავიდეს ცამდე,
მომეცი ნება–
შემოგავლო იმედის რკალი.
ჩემი იქნები მწამდეს.

* * *

ჩუმზე ჩუმი,
ნაზი, როგორც აბრეშუმი
ოცნება ჩემი ჩუმი
ჩუმზე–ჩუმი

უგდე ყური
ფრთხილად, ფრთხილად
გეპარება საყვედური
უგდე ყური.

თოვლი დაიწყებს დნობას,
მალე თოვლი დაიწყებს დნობას
და გაზაფხული მოვა
გამომიცხადე ნდობა,
გამომიცხადე ნდობა.

* * *

ნისლის ჩადრი
წვიმის ჩადრი
გაფრენილი მთათა ზედა,
ჩუმი ჭმუნვა,
ჩუმი დარდი,
ჩუმი ურვა,
ჩუმი სევდა
მთაზე მდგარი
კენტი ნაძვი,
წიწვებს აწვიმს
ტოტებს აწვიმს
კენტი ნაძვი–
მარტოსული,
მარტოდმყოფი,
უტკბილესი
დედის ლანდი

ჩუმი ურვა
ჩუმი დარდი.

პატარა მდინარეო

პატარა მდინარეო,
მოვსულვარ
თქმად საყვედურისად
შენსა წინარეო–
რატომ დამივიწყე,
რატომ უარმყავი,
რატომ მიღალატე,
პატარა მდინარეო.
სად გადამიმალე
კეთილი ფერია.
ბაგემცინარეო,
შენი ტალღები

სხვა ხმაზე მღერიან
პატარა მდინარეო,
რა უყავ ნაზი და
ლამაზი ფერები
სხივთა მფინარეო,
რატომ მომიძულე,
აღარ მეფერები,
პატარა მდინარეო,
სად გადამიმალე
ტკბილი სიმღერები,
პატარა მდინარეო

პატარა მდინარეო,
პატარა მდინარეო

იქსოვება

იქსოვება სევდის ფარდა,
იქსოვება რარიგ გზნებით,
ზედ რა ხელმა მიმოქარგა
ჩვენი ძნელზე–ძნელი გზები

ფერი? საწვიმარი ღრუბლის,
ანუ–ნაღველიანი ფერი,
ეს ნაღველი ტკივილს უდრის,
გული კვნესის, აღარ მღერის

და აღარ რა იპოვება
ცრემლის გარდა, ჭმუნვის გარდა,
იქსოვება,
იქსოვება,
იქსოვება სევდის ფარდა.

* * *

კლდის ნაპრალებში

მოწანწკარე თუ ნახო წყალი,
არ დაიზარო,
გაუკეთე პატარა ღარი,
გაივლის ახლოს
და დაგლოცავს დაღლილი მგზავრი.
ადამის ძეო,
ზე აისხი სიკეთე აბჯრად
იღე საკუთრად,
იღე თვისად
ტკივილი სხვათა.
ერთგულ ხარივით სწიე ჭაპანი,
გაავლე ქვეყნად კეთილი კვალი,
ნუ დაგერქმევა კაცი–ჯაბანი
შემოიფრგლე სინათლის რკალით.
ადამის ძეო,
შეებრძოლე ავსა და ბოროტს,
სიკეთე გწამდეს!
სიკეთე გწამდეს!
სიკეთე გწამდეს მხოლოდ და მხოლოდ!

ადამის ძეო,
შეიყვარე მოყვასი შენი.

ტყის ზღაპარი

გამოქცევია დედა გზა–შარას,
შემოპარულა ტყეში ბილიკი,
ისე თამამად, ისე აშკარად
ანცობს, ონავრობს, ცელქობს, ქილიკობს
ხან ასკინკილით მოჰყვება შეღმართს,
თავქვე ეშვება და კისერს იტეხს,
ხან ხუჭალობას ეთამაშება
კუნელისა და იელის ჩირგვებს.
დიდხანს ყოვნდება ხევში წყაროსთან,
ყურს უგდებს წყალის ამოდ დინებას,
აღარც კი უნდა ზევით ამოსვლა,

წყაროსთან ტკბილად ჩაეძინება.
არ შესცივდესო პატარა ბილიკს,
ეხურებიან ფოთლები საბნად
ეფერებიან შუქი და ჩრდილი
წყარო უყვება ღამეულ ზღაპარს.
იყო და არა იყო რაო,
ტყეში ცხოვრობდაო წყარო,
მასთან მეგობრობდა ნიკორაო
შუბლზე ხალიანი ხარო
ბილიკს კი სძინავს და
სიზმრად ხედავს
ვარსკვლავებიან ცარგვალს,
ხედავს უჯავრდება დედა
ხარიპარია ვარსკვლავს
უცბათ ეღვიძება პატარას
დედა მოენატრა, გზა–შარა

წყარო კი განაგრძობს ამბავს
–იყო და არა იყო რაო,
ხარიპარია ვარსკვლავს
ხარი მოუპარია ნიკორაო....

გამოღვიძება (სონეტი)

ფიჭვები იდგნენ გარინდებულ ბექობის ბოლოს,
ჰგავა აისი სიზმრისეულ წამთა ვანებას,
რომელსაც ძალუძს სულიის თრთოლვა უცხო ზმანებად
და მოწამენი მისნი იყვნენ ფიჭვები მხოლოდ.

და ირეკლავდა ცისფერ არილს წიწვები ხეთა,
ფოთლებზე - ცვარი, მიწას აჩნდა ნაპკური ნამის.
გამოღვძების დასტურ იყო ყოველი ჩქამი.
ცით მოილტვოდა მობრძანებას სინათლის დედა

და ერთადერთი, მოელვარე ცისკრის ვარსკვლავი
სხივთა ციაგით და უნაზეს ფერთა კამკამით

რად არ აპირებს ცის აღსავლის კარის დათმობას?

რად ეძნელება მიიხუროს ვიწრო სარკმელი,
ეგებ საიდუმლო დარჩა სათქმელი
და ვერ მიაგნო ვისთვისაც სურდა განდობა.

ნუ გიკვირს, ქარო

ქარი იჩოქებს ჩემს წინაშე,
როგორც წარმართი
იჩოქებს მზის წინ,
აი, ისე;
უნარს წამრთმევს
ჩემეულ ფიქრის,
ხან უდარდელი და მოკისკისე
ატეხავს ხოლმე დამცინავ სიცილს,
ხან უჩვეულოდ წყნარი და მშვიდი,
ო, უჩვეულო კრძალვით და რიდით
მკითხავს-ვინ ვარ მე,
ვისთვის ვცოცხლობ, ან რითი ვხარობ . . .
ჩემი დუმილი უკვირს, ო, უკვირს . . .
. . .
ნუ გიკვირს, ქარო . . .

ცაცხვის ყვავილობა

მაცნე-პირველი კვირტის მხილველი
წარვიდა თვისთა მოძმეთა ხმობად,
მალე ფუტკართა აურაცხელი
და დაუთვლელი ლაშქარი მოვა.
ულმობელია მათი მიზანი-
დამორჩილება, ძლევა და პყრობა;
შეუცვლელია მათი სურვილი,
მარტოდენ ბრძოლა, რბევა და მტრობა
. . .
ვერვინ დაგიცავს განსაცდელის ჟამს,
აყვავების ჟამს ვერვინ დაგიცავს . . .
. . .

ღა სასიამო სურნელება იფრქვევა ირგვლივ
თაფლივით ტკბილი სურნელება ცაცხვის
ყვავილთა..

ვინ?

ტაძრის კედელზე
ხვეულ ჩუქურთმად ასულაი ვაზო,
სიმწიფის ჟამი დასდგომიათ
შენს სავეს მტევნებს.
მარცვალთა მიღმა მოქცეული ათასი ვნება
გადმოიღვრება,
გადმოსკდება,
გადმოდინდება
თუ არ უშველა დროზე მერთვლემ . . .
. . .
ვინ ამოგკვეთა, ვინ ამოგტვიფრა,
ვინ ამოგქარგა, ვინ ამოგძერწა,
ვინ? ვინ გრძნეულმა . . .
ვინ, მარჯვენა ღვთითკურთხეულმა.

სურათი

დაკბილულ კბოდეს
ჩასდევს ბილიკი
და ზედ ატყვია
ნაბიჯის კვალი.
კბოდეს ღაწვებზე
უხმო ქილიკით
ანცობენ მნათის
სხივები მთვრალი
. . .
დაბლა ხევია
ანკარა წყალით
წყაროს წინ მდგარი
- დაღლილი მგზავრი.

* * *

თოვლის ფიფქებმა

არ იციან რა ელოდებათ,
ისე გულდაგულ დაეფინენ ფიჭვის რტოებზე
სამარადჟამოდ გაიკეთეს
თითქოსდა ბინა . . .
რა დაბლა – დაბლა დაიხარნენ ფიჭვის ტოტები,
იმდენად - დაბლა,
რომ შესწვდება პატარა ბავშვიც.
როგორ ძალიან უყვართ ბავშვებს
თოვლში თამაში,
თოვლით – თამაში
თოვლის ფიფქებმა ეს არ იციან.

. . . და ზეობდა მარადისობა

ამოიმათა ამოცურდა მთვარე ცის თაღზე,
ამოიყოლა უუნაზეს სხივთა ციალი,
მოულოდნელის უცაბედი ხილვით აღსავსე
ბუნებამ იწყო იდუმალი ჩურჩულ – შრიალი.

ყვავილმა იგრძნო, წყარომ იგრძნო, ხეებმ იგრძნეს,
სულ სხავაირად ამოიფრქვა სუნთქვაც მდელოთა,
მთვარის ნათელით შემოსილი ლამაზი სივრცე
სიცოცხლის დიად საგალობელს უხმოდ მღეროდა.

ვედრება იყო, იყო ლოცვა, იყო ზმანება,
წყალობა იყო, იყო თრთოლვა, იყო წამება,
ღვთაებრიობის ამ საოცარ ფერიცვალებას
მთვარე სამყაროს ზე ახვევდა დაუზარებლად.

არსთა სასუფლო უკვდავების სამოსს იქსოვდა
და ზეიმობდა – ზეობდა მარადისობა.

რა მელოდია . . .

თქვენ ნუ იქნებით ძალიან მკაცრი,

მე ხომ ისედაც მაშინებს მსჯავრი,
ძრწოლვით შევყურებ თემიდას სასწორს,
და გადასწონის ცოდვა თუ მადლი.

რა მელოდება: წყევლა თუ ლოცვა,
როცა დარეკავს განკითხვის ჟამი,
რა მელოდება, დამარხვა ცოცხლად,
თუ აღზევების ნეტარი წამი.

ჯერ კი მტკიცეა რწმენის კედელი,
გლუვი, არ უჩანს არსად ბზარები,
ჯერ ისევ ყვავის ჩემი ედემი
და ისევ რეკენ ჩემი ზარები.

სიცოცხლე ისევ მძლავრად ხმიანობს,
ძარღვებში ცხელი ნაკადი ბორგავს,
მესმის – იჩქარე, ადამიანო,
ფეხი აუწყვე არსებულ დრო – ჟამს.

არ გინდა ურვა და არც ნუგეში,
არც ოცნებები არ გინდა ფუჭი.
დღეს ამ დაძაბულ საუკუნეში
ყველას რაღაცა ტკივა და უჭირს.

მაღლა ასწიე შენი ალამი,
არ გაემიჯნო ხვალის იმედებს,
თამამად, ლაღად, დაუღალავად
თესე და თესე ქვეყანად სიკეთე.

ცნება “მადლი ჰქმენ!” სამყაროს მართავს
და შენც შენი გზით ისე იარე,
შენად იგულე ტკივილი სხვათა,
მალამოდ ექმენ სხვათა იარებს.

მაგრამ ხანდახან არსთა განმრიგე
ისე უცბად და ისე წამიერ

ცხოვრების დავთარს აწეწ – აგვირევს
ცოდვა გამოგდის მადლის მაგივრად . . . .
. . . . .
და მეც ამიტომ მაშინებს მსჯავრი
რა გადასწონის? ცოდვა თუ მადლი
რა მელოდება: წყევლა თუ ლოცვა,
როცა დარეკავს განკითხვის ჟამი . . .

მარიამ გრიგოლია

ეკონომიკურ-ჰუმანიტარული
ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი

ამონარიდი გულის დღიურიდან

ცივი ზამთრის თბილი დღეები

ცივ ზამთარში, ზღვისპირა ქალაქში თბილი ნიავი საეჭვოდ დაქროდა... რაღაც უნდოდა, ვიღაცას ეძებდა..... ნიავი თავისას მღეროდა ... გოგონა თავისას....ნიავმა გოგონა გემთან მიიყვანა....როგორ არ უნდოდა.... ალბათ გრძნობდა, გრძნობა უგრძნობლად დარჩებოდა, რომ ეს გრძნობა ატკენდა და დიდხანს გაყვებოდა....

ჩუმად... თანდათან... სევდიანი გოგონა მხიარულ ნოტაზე ამღერდა, გულმა აამღერა... რაღაცამ უბიძგა... ვიღაცამ ანიშნა, რომ ერთად ემღერათ ცხოვრების გზაზე... რომ ლამაზად ემღერათ. თავისი სიმღერით სხვებიც აემღერებინათ.... არ უმღერიათ!!! მხოლოდ იცეკვეს...ლამაზად იცეკვეს... ხელი ხელს შეეხო.... თითებმა თითები იგრძვნეს....ტანში რაღაც სასიამოვნოდ დაუარა... ის რაღაც რასაც ეძებდა... მთელი ცხოვრება ეძებდა ... მას ხომ სხვებთანაც უცეკვია. მის სხეულს ასეთი რამ არასოდეს უგრძვნია... სხეულმა თრთოლვა დაუწყო.... მისი სახე იმის სახეს შეეხო.... შემდეგ რამდენიმე სიტყვა... მისი ხმა... ის სურნელი, რომელიც მხოლოდ მის თავს გაახსენებს.... სხვას არავის.... ერტს მეორე მოყვა..მეორეს მესამე...რომელმაც ბედნიერება აგრძნობინა...გგონიატ თვითონ იცოდა რატომ ან ვის გამო?!...არა ვერ ხვდებოდა,რომ ეს იყო ვინც ფრთებს აჩუქებდა, რომ ცაში

ეფრინა...ვის გამოც ყველაფერს გააკეთებდა...ვის გამოც ცხოვრების გზას შეცვლიდა და ისევ უკან დაბრუნდებოდა,რომ ცაში ერთად ეფრინათ,ზღვაში ერთად ეცურათ ჰორიზონტამდე,რომ მზესთან მისულიყვნენ....მერე მთებიც გადაელახათ....იქაც ეცხოვრა,სადაც აქამდე ვერ იცხოვრებდა....ისე ეცხოვრა,რომ მხოლოდ ის ყოლოდა-მისი ცხოვრება.

ცოტათი გვიან მიხვდა,რომ ეს კი იყო,მაგრამ ის ამას ვერ შეძლებდა....მას მხოლოდ თავისი თავი უნდოდა ბედნიერებისათვის...არც ისე გვიან....მაგრამ მაინც მიხვდა...უკვე რაღა დროს იყო...მას ხომ მისი ყველაფერი შეჰყვარებოდა,მისი მკაცრი და თბილი თვალები მისი პატარა სახე...თითები,სურნელი...მისი მარტოობაც შეჰყვა-რებოდა, კამათი, ჩხუბი...მერე მისი ჩახუტებაც შეუ-ყვარდა...იშვიათად მაგრამ ხდებოდა ხოლმე...(ის საჭმელიც შეუყვარდა რომელიც სძულდა,ეხლა ის საჭმელი მის თავს ახსენებს).

ვერც იმ ქალაქს იტანდა აქამდე....ვერც მის ქუჩებს და ვერც მის წვიმიან ამინდებს...ეხლა კი ამ ქალაქში ყველაფერი ლამაზად ეჩვენება...მთვარის სილამაზეც ახალახან შენიშნა...ქუჩებში სიარული მოსწონდა...ყველგან და ყველაფერში მას ხედავდა...ცხოვრებამ ხალისი შემატა...სულ მღეროდა და თან ხმამაღლა....მისთვის სუყველამ აზრი დაკარგა.. რომელმაც უაზრო აზრიანი გახადა...მიზნები დასახა... სულ სხვა მიზნები...ოცნებებზე დაიწყო ფიქრი... სურვილები გაუჩნდა...ეხლა უკვე ისეთი აღარ როგორიც უწინ...მისი მიზნები,ოცნებები და სურვილები მხოლოდ იმ ერთს ეკუთვნოდა... .ფიქრითაც აღარაფერზე ფიქრობდა... არადა ყველაფერზე ფიქრობდა,იმ ყველაფერზე რომელიც მისთვის "ყველაფერი"იყო....ის მხოლოდ მასზე ფიქრობდა... მიხვდა, რომ შეცდა... მართლა მიხვდა... გგონიათ ნანობდა? არა! ის იმ ბედნიერ წუთებს არასოდეს ინანებს, არასოდეს იტყვის, რომ არ გაყოლოდა იმ ნიავს, რომელმაც გემთან მიიყვანა, მერე გემიდან რომ ჩამოსვეს, ნაპირთან მარტო დატოვეს... სულ მარტო დარჩა თავის ფიქრებთან... აღარავის მისი აღარ სჯეროდა და აღარავინ მიდიოდა მასთან.

ის მარტო იქნება ისევ ვარსკვლავებსა და მთვარეს დაელოდება, როგორც ყოველთვის, რომ მოუყვეს... გაანდოს ტავისი ფიქრები, მარტო არ იყოს... მას მთვარე ეყოლება, ის მთვარე რომელიც იმ ღამეს გაახსენებს, როდესაც მისი სილამაზე აღმოაჩინა... ვარსკვლავებიც

მასთან იქნებიან, მეგობრობას გაუწევენ, მის ტკივილს ეტყვის.. მერე იტირებს, ბევრს იტირებს, დარდებს განიქარვებს, წარსულ დღეებს გაიხსენებს და ბედნიერი იქნება, რომ ცოტახნიტ მაინც ყავდა ის, ვის გამოც ბევრს გააკეთებს... დაეძინება და სიზმარშიც მხოლოდ მას ნახავს, ისე როგორც უნახავს: ის სშორს დგას მისგან შორს და არ მიდის მასთან... სიზმარშიც ტირის, მაგრამ მაინც ბედნიერია... მან ხომ სიზმარში მაინც ნახა ცხოვრების დიდი ბედნიერება, რომელმაც ატკინა...

ის აღარავის ეტყვის რომ ფიქრობს მასზე... მისი აღარ სჯერათ მხოლოდ მთვარეს სჯერა მისი, რომელიც მასთან ერტად განიცდის და მთელი ღამე მეგზურად დაყვება...

დილით გაიღვიძებს და იგივე განმეორდება... არ იცის როდემდე... ხან მზე გამოვა, არა მისთვის არამედ სხვებისთვის... მერე გაწვიმდება, მხოლოდ მისთვის. წვიმა ხომ მასთან ერთად ტირის... მასთან ერტად განიცდის... უსველებს მის ფიქრებს... მის მარტოობას იზიარებს და ეუბნება, რომ გაუძლოს, აიტანოს უიმისობა... მხოლოდ წარსულით არ იცხოვროს და არ აატიროს წარსულმა; მომავლით იცხოვროს, ლამაზი მომავლით, რომელსაც აქამდე გეგმავდა... მის ცხოვრებაში აღარასოდეს ყოფილიყოს წვიმა და წვიმა დაპირდა, მის ცხოვრებაში აღარასოდეს მოვიდოდა და არ აატირებდა; სულ მზეს გამოუგზავნიდა ცხოვრების თანამგზავრად! მაგრამ...

....გული გულს უხმობს, ხელები მის ხელებს... თვალები მის თვალებს... ის აღარ მღერის, აღარ უხარია და ცივა, ძალიან ცივა...

ამ წამს ის თვალებს ხუჭავს, წარსულ დღეებს უხმობს, ფიქრად მასთან ბრუნდება...იმ ჩახუტებას იხსენებს, რომელიც მთვარეს ახსენებს... მერე ცრემლებით უსველდება თვალები... გული ტკივდება... და ასე უსასრულოდ გრძელდება...

თვალს ახელს, წარსულის ფიქრებიდან გამოდის და მაინც ფიქრობს, რომ არ ნანობს, დრო რომ დაბრუნდეს, იგივეს გააკეთებდა! თუნდაც მერე ტკენოდა, როგორც ახლა ტკივა... ის ხომ ცოტა ხნით მაინც იყო ბედნიერი...

ბექა გრძელიშვილი

ეკონომიკურ-ჰუმანიტარული
ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი

* * *

ყოველ ღამეს მოაქვს ფიქრი სიცოცხლეზე,
ყოველ დღეს მოაქვს ფიქრი სიყვარულზე
და ამ წუთისოფელმა მაგრძნობინა,
რომ სადღაც შორს არსებობს წმინდა ადგილი,
ის ადგილი, რომელსაც ჰქვია მზისფერი მხარე.
უკვდავების მზისფერი მხარე
მე ვერ მომერევა თვით სიკვდილი
მე არ დავუხრი თავს ამ შავ ძალას...
და ახლა ვხვდები რა არის უკვდავება,
რა არის ნამდვილი უკვდავების გზა და არსი.
უკვდავება სიყვარულია.
სიყვარული კი უკვდავება.

* * *

ღმერთმა იცის ყველა საიდუმლო,
ღმერთმა დააწესა კაცის სამფლობელო,
ღმერთმა დაგვბადა დაუსაბამო,
ღმერთმა გვიბოძა თავის სამყარო.
ახლა ღმერთო გთხოვ შენ დაეხმარო,
შენნი არიან შენი ნაწილნი,
შენი წვალების, შრომის ნაყოფნი,
შენი ნათელი სულის სარტყელნი.
ბნელით არიანკაცნი მოცულნი,
შავი აზრებით, შავად მოსილნი,
მათ დაეხმარე, ღმერთო შეგვედრი,
ყოვლად სუსტსა და დაუცველსა.

* * *

მზეს ავხედავ და თვალსა მჭრის,
ვერ გავუგებ თქმულს.
ცას გავხედავ, ის კი ქრება,
ემალება სულს.
მთაზე ავალ, მას გავუმხელ

ჩემი გულის დარდს,
ჩაფიქრდება და მიხვდება
ჩემი მისვლის აზრს.
სიახლოვეს მე დავდგები
და დავიცდი მას,
გამიღიმებს და გამიღებს
სიმარტოვის კარს.

* * *

მიხსენ, შენ ერთო, ჩემი თავისგან
მიხსენ წმინდაო ბნელი საქმისგან,
მიხსენ ლამაზი ფერის შხამისგან
მიხსენ, შეგვედრი შავი ქვეყნისგან.

იოსებ გაფრინდაშვილი

პროფესორი. ფიზიკის კათედრის
ყოფილი თანამშრომელი

პატრონი და ყმა

ერთი სამცხელი ვაჭარი
აბრეშუმს ყიდის არეშში.
ყიდიან აქაურებიც,
მოსულს მათ არემარეში.
უნდა ითქვას საქონელი
ადგილობრივს სჯობს მესხისა.
ამიტომ უცხოს შემოსვლა
ჰგავდა გავარდნას მეხისას.
ფასი დაადო იმდენი
ადგილობრივებს რაც ედოთ,
მაგრამ ზომით აქვს იმდენი
ბაზარს მთელი დღე რომ ეყოს.
ამიტომ გაჩნდა მოთხოვნა,
მესხმა დასტოვოს ბაზარი.

ძალით უტევენ. რადა ჰქნას,
საწყალს დაეცა თავზარი.
გაძალიანდა, არა თმობს.
არც არვინ არ ჩანს განმრიგე.
გამოჩნდა კაცი ჩოყლაყი
ორ მეტრზე მეტი სიგრძისა.
ხელები ჩამოუშვია,
მხოლოდ ფეხები ეძვრისა.
მესხის პირდაპირ გაჩერდა.
ხელით ანიშნა "წადიო".
რათა ბატონო, რას მერჩით?
-შენი გაგდება მწადისო.
-"ბაზარი ყველას ეკუთვნის,
შენისთანას კი არაო.
აქედან გამეცალენით,
გავცდი, ესეცა კმარაო".
ჩოყლაყმა გასცა ბრძანება:
"აკრიფეთ მისი ნივთები"!
რომელი ნივთი საითკენ?
მკითხველო ალბათ მიხვდები.
აბრეშუმი ხომ წაართვეს,
მერე წამოუქცევია,
ზედაც შემდგარა ფეხებით
და წიხლებით უცემია.
"ვიღაც პატრონი გყოლია,
წადი და მოიყვანეო"
დაცინვით წაუძახია!
"ბარგს დაგიბრუნებ ხვალვეო"
ისე არა ჰქნას, იმანაც
სავაჭრო დამინგრიოსო.
ან კიდევ ლურსმნით, ჩაქუჩით
ყური კარს მიმიჭედოსო"
მესხ ვაჭარს მისმა დაცინვამ
კუჭი საშინლად აუწვა.
ყველაფერი, რაც გადახდა
ყვარყვარეს ზუსტად აუწყა.
ამპარტავანი თავადი,
ყვარყვარე დიდად განრისხდა.
სასწრაფოდ ჯარი შეჰყარა,
არეშისაკენ გაფრინდა.
როგორც ჩანს, მესხეთის მთავარს
ქართლის დალაშქვრა ნდომია.

ვაჭრული ეს ინციდენტიც
ამისთვის შეუწონია.
ფარავნის გზით წამოვიდა,
გამოიარა დმანისში.
ორბელიანებს შეუვლის,
დროს გაატარებს ნადიმში.
ხუნანი გამოიარა
და გადმოკვეთა მან მტკვარი.
არეშს მოვიდა, მეგზურად
მოსდევს ნაცემი ვაჭარი.
ჩოყლაყ ვაჭარსაც მიაგნეს.
მისი სავაჭრო აიკლეს,
ზარალი ზუსტად აიღეს,
არაფერი არ დაიკლეს.
დანაქადის კვალობაზე
არაფერი არ დააკლეს.
ყურზე ლურსმნები დაადეს
ჩაქუჩით კარებს მიაკრეს
უკან ბრუნდება ყვარყვარე.
არა იმავე, გორის გზით.
შეიტყვეს ციციშვილებმა
გზა გადუკეტეს რა მიზნით?
მიზეზს ვერ ასახელებენ
და მეფის დასტურს ითხოვენ.
მეფეს შეატყობინებენ,
მის აქ მოსვლაზეც ფიქრობენ.
ქართლის მეფე კონსტანტინე,
სანამ ამას შეიტყობდა
მის მამულზე ჯარით გავლას
დაგმობდა ან შეიტკბობდა.
ყვარყვარე ამბობს: ჩვენს შორის
ყოველთვის იყო ძმობაო.
ურთიერთ მეზობლები ვართ
როდის დავკარგეთ ნდობაო?
ციციშვილებმა არა ქნეს
და მეფეს ელოდებიან.
მანამდე მესხთა ბანაკში
ეპისკოპოსსაც ხვდებიან.
მროველი ეპისკოპოსი
მკაცრად ესიტყვის ყვარყვარეს:
ან მეფეს დაემორჩილე,
ან შეგკრავთ, შეკრულს მიგართმევთ.

აქ წმინდა მამას ყვარყვარე
ადარ შეაწევს სიტყვასო,
მაშინ მროველმა უყვირა
“ძალა აღმართსაც კი ხნავსო”.
კონსტანტინე მეფეც მოდის.
შერიგება არ ხერხდება.
ძმათა შორის შეტაკება
კვლავაც გარდუვალი ხდება.
ბრძოლა მოხდა არადეთთან
სასტიკი, სისხლდამდინარი.
ამიტომაც ბრძოლის ადგილს
ეწოდება ცეცხლის ჯვარი.
მეფემ გაასწრო სიკვდილსა.
იმარჯვებს მესხეთის ჯარი.
არეშელ ვაჭრის არ იყოს,
მროველს სიტყვაზე იჭერენ;
ძმათა სისხლით სველ მიწაზე
აღმა და დაღმა ითრევენ.
ხომ ხედავ სისხლით სველ მიწას.
არც ქვა გიშლის ხელს, არც ხეო.
რადგან ძალა ხნავს აღმართსა
დაღმა იოლად ფარცხეო.
ალექსანდრე ბაგრატის-ძე*
ქუთაისში მყისვე გაჩნდა
მას მოცილე არვინ ყავდა.
ეკურთხა და მეფედ დარჩა.

*აქ ალექსანდრე ბაგრატისძე – იმერეთის მეფე 1483-1510წწ

ადიგენი და თელავი

ანუ რცხილაძის და კუბლაშვილის დუეტი

ჰე ადიგენო და ჰე თელავო!
ჩვენ გვახალისებთ, ჩვენვე გვთელავთო.
კახთა და მესხთა ძველსა თაობას
ხმალში არ ჰქონდათ თითქმის სხვაობა.
მეწინავეში შეტევა მესხთა
მტრისათვის იყო გავარდნა მეხთა!
გეგონებოდა ლომი გახელდა,
ისეთი იყო დარტყმა კახელთა.
მეცადინობით მესხთა და კახთა
მთლად საქართველო უძლევი გახლდათ.
ახლა აღარ გვაქვს ძველი დიდება
რაც საქართველომ მწარედ იგემა.
ბრძოლისა ჟინი წავიდა, გაქრა.
მისი ბადალი დღეს არა გვაქვს რა.
ეს რაღა ხდება, ერთადა დგანან?
მესხნი და კახნი კვლავ ერთურთს ჰგვანან?
ჰგვანან. კი ჰგვანან არა საქმითა,
თანამდებობით მხოლოდ გაქნილთა.
არ კი გეგონოთ რამ სასწაული,
ერთი ჰქონიათ დღეს საწყაული.
პრეფექტი ჰყავდა თელავს მედოლე-
-ავთო რცხილაძე თაღლით მედროვე!
გაიგო ხსნიან, მაინც მოასწრო.
დაბადების დღე ცოლის მოაწყო!
“შენ მიშველეო ჭკუავ და აზრო.”
ხალხს საჩუქრებით ტყავი გააძრო.
იმის შესახებ ბევრს ვიტყვით, მაგრამ
ეს ერთი ფაქტიც დასტურად კმარა.
ახლა ზის ცნობილ ციხე “გუბერნსკში,”
თავი ჩაურგავს შარვლის უბეში,
ჩასჩერებია “შაშას და კოლას”
ძნელი ყოფილა “კაი ყრმის” ყოლა.
ის დრო წავიდა. წავიდეთ მესხეთს.
დიაღ, ვიპოვით მსგავს რამეს ეგეთს.
ვნახავთ გამგებელს ადიგენისას
კუბლაშვილს-ავთოს მსგავსი გენისას.
კაცს სასადილოს კარკარ უვლია,
სპეციალობით მზარეულია!
ფეხთ ეგებოდა ვინაც შველოდა.
ვისგანაც რამეს გამოელოდა.
სავსე ქვაბების გამგე, მელია,
დღეს ადიგენის გამგებელია!

და განსხვავებით მედოლის კახთა,
კომერციულის სტუდენტი გახდა.
ჰა! ადიგენი თელავს გასძახის
ვითომ რას ვხედავთ საქმეს საძრახისს?
განათლებულნი კახნი, მესხები
მათ დამნიშვნელებს თავზე ვესხმებით:
უარყონ სუფრა მზამზარეული,
მიჰყვეს მედოლის გზას მზარეული.

ქართველი ამორძალი

შავი დღე ადგა წინა აზიის,
წარსულში ძლიერ, სეფიან ირანს.
მედგრად უტევენ ავღანელები
მათგან დაპყრობის შიშის ქვეშ გმინავს.
ავღანელები გაიძახიან":
"ერანელები ჩვენი ცხვრებია".
დაამარცხებენ, შეიერთებენ.
მანამ არასგზით არ დაცხრებიან.
მასაც ამბობენ, სამაგიეროდ
ქართველებთან ჩვენ თვით ვართ ცხვრებიო.
თვით ქართველები ლომებია
და არც ამაში არა ვცდებითო.
ამიტომაა მათთან ქუჩებში
ქართველები, რომ ლაღად დადიან.
ცუდს ვერავინ, რომ ვერ შეჰკადრებს,
პატივისცემა მხოლოდ სწადიათ.
ხშირად ქართული ტანისამოსით
მოგზაურები იქ სარგებლობდნენ.
შემხვედრი ხალხი კარგად იღებდნენ.
არ იცოდნენ, რომ მწარედ ცდებოდნენ.
ყანდაჰარიდან ისპაჰანისკენ
მოჰქრის მირ-მაჰმუდ რვა ათას მხედრით.
ერანელები გზაში ხვდებიან
ზავს თავაზობენ თავიანთ ხედვით.
ერანელები გაიძახიან,
იმეორებენ მუნეჯიბთ ცნობას:
"ვარსკვლავებია ჩვენს წინააღმდეგ
და რვა მარტამდე ვერ დავთმობთ დგომას."
ზავი არ შედგა. უნდა შეებან.

აქ, გულნაბადში ზუსტად რვასა მარტს.
ორივე მხარე დაელოდება
თვის გამარჯვებას ძალიან ნანატრს.
ერანელების მენიუშია
სარდლის შექმნილი, რაღაც წვნიანი.
მისი მიმრთმევი წამსვე გახდება
უჩინმაჩინი ადამიანი!
ჯარში ოთხასი ქართველი უდგათ
კარგი მებრძოლნი, გულით ხალასნი,
ორმოცდაათას გლეხს დაუმატებენ.
უსარდლებს როსტომ ყულარაღასი.
შაჰ-ხუსეინი ამ ომში
ნიშნავს ორ მთავარსარდალსა!
ერთი მეორის მომტერეს,
ორივ უნიჭოს და მხდალსა.
პირველი ითხოვს ბანაკის
გამაგრებას და თავდაცვას.
მეორე-გარეთ გასვლასა
და შეტევაზე გადასვლას.
უკვე დამდგარა რვა მარტი.
ორივე მხარე მზად არის
დგანან და ელოდებიან
იწყება ომი საზარი.
მირ-მაჰმუდ ცდილობს გაქცევას!
აუკანკალდა მთლად ტანი.
წინ გადაუდგა არ უშვებს
მას ამანოლა სულთანი:
ყიზილბაშების შიში გაქვს?
მიხედე ოთხას ქართველსა!
მიუშვი შენი ავღანნი
ვეღარ ნახავდე მათ მრთელსა.
ცენტრიც მოხსნეს და ფლანგიცა
და მიუსიეს ქართველებს
ჯორივით დადგა მირ-მაჰმუდ
უთხარით "მის წილ" სპარსელებს!
წყნარად გავიდნენ ბრძოლიდან,
შევიდნენ ავღანთ ბანაკში
და ალაფალა გამართეს
მსგავსი არ თქმულა არაკში.
ბრძოლის ველს მეორე მხრიდან
არხი რომ ჩაუდიოდა.
იქით მიაწვნენ ქართველნი

მტერი ცხენიდან ცვიოდა.
დაიწყეს არხზე გადასვლა
აჰა, გადადის როსტომი.
იბრძვიან მხოლოდ ქართველნი
ავღანელების მომსპობნი.
ცხენი შემზადდა ნახტომზე,
უკანასკნელად ამ ომში.
ჩამოუშვავდა სადგომი
გადაიჩეხა საფლოფში.
გაისმა ბღავილ-ჟღავილი
ყველა ახლო მყოფ ავღნისა.
ყველამ გასინჯა როსტომზე
როგორი ჰქონდა ფხა ხმლისა.
გაწყდნენ ქართველნი,
იძლივნენ სპარსნი.
გამარჯვებული დარჩენ ავღანნი.

***

ისპაჰანს მიდის რაზმით მირ-მაჰმუდ,
სატახტოსაკენ მიჰყვება ქუჩას.
გადაუხვია სასახლის მხარეს.
პირისახეზე ღიმილი უჩანს.
მთავარი ქუჩა ფარჩა-ატლასით
გამარჯვებიდან ჩქარა მოეგოთ.
წინ მიუძღვება თორმეტი მოლა
წყევლით, სეფიანთ ბოლო მოეღოთ!
მიუახლოვდა გადასახვევს და
აბასაბადის ხიდზე შეჩერდა.
ტანსაცმელი და აღჭურვილობა
ოცდაოთხ წლის კაცს ძლიერ შვენოდა.
ავღანელები ესალმებიან
ლამაზ-ლამაზი თაიგულებით.
ყიზილბაშები ქვებსაც ესვრიან
წყევლა-კრულვით და ავი გულებით.
მცხუნვარე მზეა, ხიდზე შემოდგა
ქართველ ცხენოსანთ ათეულია.
სწრაფ ქმედებაზე, “მზის მორგებაზე”
მათი ტაქტიკა აგებულია.
სწრაფად გაჩაღდა ცხენოსანთ ბრძოლა.
თავს არ იზოგავს არც ერთი მხარე.
შუბი თუ ხმალი, ცხენთა ძგერება

და ბადის ტყორცნა გულის გამხარე
ძლივს გაიმარჯვეს ავღანელებმა.
სიმრავლე მაინც თავისას იტანს,
თითზე სათვლელი დარჩენ ავღანნი,
ქართველები მთლად შემოეკლიტათ.

***

ამ შემთხვევიდან გაიარა
თითქმის ორმა თვემ.
ისპაჰინისკენ კვლავ ბრუნდება
მირ-მაჰმუდ ჯარით.
აბასაბადის ხიდზე შედგა
და გაახსენდა
ქართველებისგან შემოტევა
შუბით, ხმალ-ხანჯლით.
სიწყნარე იყო, არა ჩანდა
საეჭვო რამე
თვალში მომხდომი მოქმედება
ხალხთა ბანდების.
ხალხის ჟრიამულს თან ერთვოდა
წყნარი ჰანგები.
ცნობისმოყვარე ხალხს
გაევსო ქუჩაბანდები.
არ ჩანდა, მაგრამ გაიელვა
მოწმენდილ ცაზე
და როგორც მეხი ჩამოვარდა
რაღაც გრძნეულად,
თითქოს ზეციდან ჩამოიჭრა
უცხო მხედარი,
თავზე დაეცა ავღანთა ჯარს
ანაზდეულად.
“ცითმოვლენილი” დაბნეულ ჯარს
სჩეხდა სასტიკად.
ცხენიდან ყრიდა, ზედ უვლიდა,
გზაზე სრისავდა.
მათ გონს მოსვლამდე
ათზე მეტი დაასიკვდილა,
ურჯულოებსაც ეძახოდა
ღვთისგან რისხვამდა.
ავღანელები გამოერკვნენ,
ხმლები იშიშვლეს.
რას გვიშვრებაო ამოდენ ხალხს

ერთი ყმაწვილი.
“ცითმოვლენილმა” კიდევ შეძლო
ათის გამოკვლა,
მერე ცხენიდან გადმოეშვა
მძიმედ დაჭრილი.
მუზარადს ხდიან წამიერად
გონწართმეულსა.
უწვერულვაშო სახეს ფარავს
ხშირ თმის ტევრები.
თორიც გაუხსნეს, პერანს მისწვდნენ,
ქალის მკერდს ფარავს
ღრმა ჭრილობიდან მონადენი
სისხლის ღვარები.
სისხლს წყვეტენ, გონს მოიყვანენ
მაჰმუდს მოჰგვრიან.
ეკითხებიან ვინა ხარო,
სიდან მოსულხარ?
შაჰის მცველები გამოგვიკალ
ოც კაცზე მეტი.
რად ჩაიდინე ასეთი რამ
გვითხარ გონთ თუ ხარ.

***

მაშ მომისმინეთ, ორი თვის წინეთ,
როდესაც ხიდზე ფეხი შემოდგით,
თქვენ გამოგიხტათ ჯგუფი ქართველთა.
შემოგიტიათ ვეფხურ შემობმით.
რიცხვით მრავლობით გაანადგურეთ.
მათ რიცხვში იყო ჩემი მეუღლეც,
მე მისი ნახვა აღარ მაღირსეთ,
კარგი ოჯახი მოსპეთ, დამივსეთ,
შურისძიების გრძნობით აღვივსე
და გადავწყვიტე წამოსვლა მყისვე.
ორი შვილი და მთელი ქონება
ძმას დავუტოე და წამოვედი.
სიტყვით მეუღლის სანახავად და
საქმით შურის საძიებლადო.
ძლივს ამოიღო ენა მაჰმუდმა:
მიაპყრეთ მთელი ყურადღებაო
მან ჩაიდინა გაუგონარი
სიმამაცე და ვაჟკაცობაო.

მანუჩარ ათაბაგი

თბილისის ციხეს ოსმალნი დგანან.
სწრაფად სჭირდება მათ მიშველება,
რადგან სვიმონიც დაბრუნებულა
და კახთა ჯარიც მას ეხმარება.
ეს დავალება სულთანისაგან
დაეკისრება მეჰმედ ხადიმსა,
დიარბექირის ბეგლარბეგ ფაშას,
მამაცს, გამჭრიახს, უშიშს, თახსირსა.
ჯერჯერობით კი ოცი ათასი
მხედრით მოჰქრის და არვის სადაოდ,
ქართველებისგან, რომ "გამოიხსნას"
მათი ლამაზი, კერპი, სატახტო.
მან არზრუმიდან გამოვლო ყარსი
და ახალქალაქს უწია კიდეც
აქ კი მანუჩარ მუსტაფა შეხვდა
მესხურ ჯარებით. მზადყოფნით. მტკიცედ.
მანუჩარს ჯარის მეგზურობა ხვდა
და გამოუძღვა მათ ბორჯომის გზით.
გორში მოვიდნენ, აიღეს და ციხისთავს სვამენ,
მუხრანის ველზე გაჩნდებიან დღისით და მზისით.
ბანაკი დასცეს. სვიმონს შეეტყო
და სწრაფად ჯარით თავზე დაეცა.
სასტიკი ომი გაჩაღდა და მტერი დამარცხდა.
დამარცხებული ნაფლეთები სვიმონს გაექცა.
მიასწრეს თბილისს და ციხეში გამოიკეტნენ,
40 საპალნე ოქრო ქართველებს დარჩათ.
სვიმონი ჯარით თბილისის ციხეს გარს შემოეწყო,
შუბს და ხმლის გარდა იარაღი მას არ გააჩნდა.
მეორე დღესვე მეჰმედ ხადიმი
ოქრო ციხეში გადავიდა, იქ დაბანაკდა.
დიდი მარცხი და ზარალი ნახეს თურქებმა.
მას არც სულთანი აპატიებს, არც სერასკირი.
ვიღაცას უნდა დაბრალდეს, რომ პასუხი აგოს.
სწორედ მანუჩარ მუსტაფა მსჯავრშესაფერი.
ამ ენაბრჯგუ და გულჩახვეულმა მესხმა-ქართველმა
თურქი მხედრობა მოიყვანა უცნობ ადგილას.
უცნობი გზებით ატარა და ამცნო სვიმონსაც,

უეცრად თვაზე წამოგვასხა, დიაღ, ნამდვილად.
თავის კარავში ზის მანუჩარ ჩაფიქრებული.
იანიჩარი შემოვიდა და მოახსენა:
სამხედრო თათბირს ატარებსო მეჰმედ ხადიმი,
მანუჩარი ზე წამოდგა, ღმერთი ახსენა.
ჯართან მივიდა დაარჩია ორმოცდაათი.
ნაღდი მესხი; ტანადნი და გულით ჯიგარნი.
ისიც დასძინა: "ქართველებო" თუ მოგაყვიროთ
მომეშველენით, არ დაგჭირდეთ თქმა სამძიმარის.
ხმალი მოიხსნა, რომელიღაც მებრძოლს გადასცა,
კარგი შეაღო, დაინახა ათამდე კაცი,
ფეხზე დამდგარნი, ხმლის ვადებზე მოჭიდებულნი
და სკამზე მჯდომი მაჰმადი, კაცი თვალთმაქცი,
სამარისებრი სიჩუმე წევს, ხმას არვინ იღებს.
მწარედ ინანა მანუჩარმა იქ შესვლა უხმლოდ.
რას მიბრძანებთო, დააშტერდა მეჰმედ ხადიმსა
საჭურისის წინ წყნარად მდგომი უხმლოდ და უხმოდ.
ზე წამოიჭრა, თვალი თვალში გაუყარა და
ესროლა სიტყვა:"გაამზადე შენი მესხები!
ხვალ ბანაკიდან უთენია, ადრე გავდივართ."
-"აღესრულება ეგ ბრძანება, მკაცრად ვეცდები."
სწრაფად მანუჩარ კარებისკენ შემოტრიალდა,
უკან ვიღაცამ ჩოხის კალთას მოუვლო ხელი,
ქარქაშიდან მხლის ამოსტვენის ხმაც ყურში მოხვდა,
გვერდ გადაზნექვაც აღარ იყო მოულოდნელი.
მარჯვენა ხელით ხმალს გამოგლიჯავს.
მარცხნით ჩამოგლეჯს თავიდან ჩალმას.
ისეთი ძალით უჭირავს თავში
ჭიპამდე აპობს მეჰმედის დაცვას.
ხმალი დააძრო და გაექანა მეჰმედისაკენ.
წინ გადაუდგნენ ხმალშიშველნი მისი სარდლები.
ხმალდაკვესებით ჩაუკაფა ხმალი თვითეულს.
მამა უცხონდათ ღვთის წინაშე იყვნენ მართლები?!
მეჰმედ ფაშას წამოეწია, გზა გადუღობა,
ანაზდად ხმალი შეაგება მეჰმედ ხადინმა,
დაასწრო მესხმა სარდალმა და შემოკრა ხმალი.
ძლიერად მოხვდა, დაიზმუვლა როგოც ნადირმა.
მერე ბოსნიელ მეჰმედ ფაშას დაათალა ლოყა და ყური.
"ქართველებო!"-ო ხმა გაისმა, რაღას უცდიდა?
მიწას აგდია ცოცხალმკვდარი მეჰმედ ხადიმი.
მის სხეულს ორჯერ თვისი ხმალი კვლავაც უწვდინა.
მესხები, როგორც გრიგალი, კარავში შეიჭრებიან.

ქვის ბატონს შემოერტყმიან, დაქცეულ სისხლს იკმარებენ.
გარეთ გამოიყვანენ, შეკაზმულ ცხენს მიართმევენ.
კვლავ ქრისტეს სჯულს უბრუნდება,
მესხნი გულით იხარებენ.
მესხთა მთავარი მესხთა ჯარით ქართლისკენ მიჰქრის.
ისევ ქრისტიანი არის, ისევ ქართველი.
ისევ მანუჩარი ჰქვია, ყრმობის სახელი.
სვიმონთან მიდის სვიმონისვე თანამზრახველი.
დიდ მისართმეველს უგზავნის შაჰი მას და დედამისს.
სოფელ-ქალაქებსაც ჩუქნის მათ ახლომახლო.
მესამე ძმას-თვალშვენიერს ახსნის ბორკილსა.
გვერდით მოისვავს ვით მეგობარს, ძმას და მორჩილსა.

ლაშქრობა იერუსალიმში

მეთექვსმეტე საუკუნის
პირველ მეოთხედის ბოლოს,
საქართველო დაშლილია
სამ სამეფოდ, ერთ სამთავროდ.
სამეფოებია ქართლის,
კახეთის და იმერეთის.
სამთავრო არის სამცხისა
და ქართლი სამეფოს ერთვის.
მეფეებად სათანადოდ
ზის გიორგი, ლევან, ბაგრატ.
მთავრად ყვარყვარე მესამე,
ვინც თავნებობს ცოტა მკაცრად.
ათასხუთასოცდაექვს წელს,
თურქეთის დიდმა სულთანმა
ამათ ყველას მოციქული
დაუგზავნა, შეუთვალა:
ხომ ხედავთ იერუსალიმს,
სპარსელებს რომ დაუპყრიათ,
წმინდა საფლავი ქრისტესი
წაუბილწავთ, შეურყვნიათ.
წმინდა ქალაქის გამოხსნა
მე კი თქვენთვის მომინდია.
მოცილე არ გეყოლებათ,
ქართველთათვის მომიძღვნია.
პალესტინიდან ფადიშაჰს
სურდა სპარსელთა გარეკვა.

მომავლისათვის მათ ომში
ქართველთა გულის მოგება.
სამივე მხარემ მიიღო
სულეიმანის ეს რჩევა.
ჯვაროსნულ ლაშქრად მიდიან,
დამთავრდა ლაშქრის შერჩევა.
ქრისტიანულ ვალს იხდიან
მებრძოლნი, მტრის სისხმლჩქეფენი,
თავის არწივებს უძღვნიან
ქართული ქვეყნის მეფენი.
იერუსალიმს მოადგნენ უკვე
ქალაქის კარში ყარაული დგას.
კარი ჩაკეტა. არვის არ უშვებს
და იწყებს მათთან თავის აზრის თქმას.
სტუმრად მოსულხართ?
ერთობ ბევრი ხართ.
თუ საბრძოლველად?
-ძალიან ცოტა.
-საომრადა ვართ
მაგ ადგილისთვის,
რაც დაგიპყრიათ.
არა გვსურს მოცდა.
ამის თქმა იყო
კარი გაიღო და
ციხიონი გარეთ იჭრება.
იწყება მეტად ძლიერი ომი
ბრძოლის სასწორი
არსით იხრება.
კარგა ხანს ბრძოლა
ჩვეულ ტემპშია,
შემდეგ გაფიცხდნენ
ისევ ქართველნი.
ვეღარ გაუძლეს ერანელებმა.
ვერ გახდნენ ბრძოლის
ტემპის მომთმენნი
და უკუიქცნენ, მაგრამ საითკენ?
როგორც აღმოჩნდა
ისევ ქალაქში!
ჩეხითვე მიჰყვნენ
მათ ქართველები
და ჰგავდა ბრძოლას
ართქმულს არაკში.

ქუჩები მკვდრებით ჩაიხერგა,
სისიხლით მოირწყო.
მსოფლიო ქრისტიანიზმის ჭიპი
ქართველს უპყრია.
თითზე სათვლელი
დალასლასებენ ერანელები
და ბრძოლის ველიც ხომ ამისი
მოწმე უტყვია.
სულეიმანი ფადიშაჰი კმაყოფილია.
ქართველ მეფეებს დიდ მისართმევს
და ძღვენს უგზავნის.
“სიგლით მტკიცითა” დაუმტკიცებს
სხვადასხვა პუნქტსა*
ეჭვი ნუ შეეპარება
ქვეყნად ნურავის.

* ქრისტეს საფლავი, ქაჩალგორა(გოლგოთა), ბეთლემი, ჯვარის მონასტერი და სხვა მონასტერნი ყოველივე.

სამასი არაგველი I

რუს და ქართველთა მოყვრობა
სპარსეთის შაჰებს აშინებს.
ქართლსაც დაკარგვენ კახეთსაც
მოსჭრიან ველებს გაშლილებს.
ჭამაში მადა მოუვათ,
სპარსეთსაც დაიმორჩილებს,
არ შეისმინა ერეკლემ
მოთხოვნა შაჰთა კარისა:
რუსთან გაწყვიტოს კავშირი
ტრფობა ჰყოს სპარსთა მხრისა.
არა და დასჯის მაჰმად ხან,
ქართლზე მუქარას ახშირებს...
3,5 ბევრ* ჯარს შეკრებს:
ყაჩაღთ, ავაზაკთ, თახსირებს,
თბილისზე გამოილაშქრებს.
გადმოკვეთს საზღვრის ნაპირებს
ფონიჭალაში ბანაკს სცემს
დილით შეტევას აპირებს.
ერეკლეს ჯარი არ მოსდის
ოთხი ათასს ძლივს ათავებს.

მარჯვნივ მტკვრის ნაპირს ამაგრებს
დაცვით ხერხს უყრის სათავეს,
  ინათლა, ბრძოლა დაიწყო
ზარბაზნით, ხმლით და თოფითა
დორბლებს აფრქვევდა საჭურის
გურჯი ბრძოლაში ჯობნიდა
სპარსელებისგან დაიდგა
ცხედართა ურმეულები
და ეცემოდნენ ქართველნიც
სიმცირეს შეჩვეულები
დაბნელებამდე გაგრძელდა
სასტიკი ხმალთაკვეთება.
უკან იხევენ ქართველნი
კრწანისის მისადგომებთან.
მთლად შეიშალა მაჰმადხან,
რომ გადახედა დანაკლისს
გამოიკეტა კარავში
აღარ უხსნიდა დანა კბილს,
და გაიხსენა წარსული,
სად რა ბრძოლაში უვლია,
მაგრამ ასეთი აფთრული
ბრძოლა არ გამოუვლია.
დასკვნა: გაცლა სჯობია,
სანამ კიდევ მყავს ჯარიო.
ბოლოს მომიღებს ერეკლე
და მისი ქრისტეს ჯვარიო.
ბრძანება გასცა გააწყვეთ
აღალ-ფორანი სრულებით
დილით ადრიან გავდივართ
ჩვენს ქვეყანაში ვბრუნდებით.
საარაგვოდან დაბრუნდა
ბატონიშვილი ვახტანგი,
მცირედი ჯარი ეშოვნა
ვაჟ-კაცნი, კალმით ნახატნი.
მთა მუდამ იყო სამშობლოს
გმირულ დამცველთა ფესვიო
თვის სიტყვას იტყვის სამასი
გუდამაყრელი მწყემსიო.
  გათენდა. სპარსთა არმიას
თავისი ჯარით საჭურვლით,
სპარსეთისკენ გზად შემდგარს
უკან მისდევდა საჭურის.

ეს გამარჯვება ნიშნავდა
დასტურს ქართველთა ზეობის
გუშინდელ ბრძოლის ნაყოფის
გამომბრწყინავი მზე ომის.
მაგრამ სად იყო სად არა
გამოჩნდნენ მოღალატენი:
ბებუთაშვილი იოსებ,
არარატიანთ არტემი.
სპარსელი ელჩი ერეკლეს
ჩაგდებული ყავს დილეგში.
მის გაპარება არტემამ
უკვე გამოსცრა კბილებში.
გადაწყდა: გააპარებენ
შინდისით, ტაბახმელითა.
თავს წამოყოფენ გველები
შაჰის წინ მიწის ხვრელიდან:
ერეკლეს ჯარი არა ჰყავს
მის გარდა რაც, რომ დარჩაო.
დაბრუნდი თბილისს აიღებ
აღარას გარგებს დაცდაო.
რაც ვაჟკაცობა წაართვეს
სტანჯავდა გულისტკივილი.
იმ დღიდან მის მჭკნარ ბაგეებს
პირველად მოსწყდა ღიმილი.
ჯარს განუცხადეს: ვბრუნდებით,
ჩვენ-ჩვენ ადგილებს ვიჭერთო,
გურჯების ომსა ხვალ დილით
განმეორებით ვიწყებთო.

***

სამასი არაგველი დგას
სუფთა ფოლადებრ დნობილი.
წინ შვიდი ძმადნაფიცია
მკლავი-მკლავს გადაჭდობილი
სამას წყვილ თვალთა არწივულ მზერას
მოხვდა ერეკლეს თვალთა ისრები
და სწორედ ამ დროს სამასმა ბაგემ
ერთხმად იქუხა დასაფიცები:
“ვფიცავ მეფესა და საქართველოს
ან გავიმარჯვოთ, ან დავიხოცოთ”.

დაიგრიალეს ჯვარი ისახეს,
ამოიგლიჯეს გველის პირული.
გამოჩნდა რაზმი მოქალაქეთა,
მეთაურობით დავით მაჩაბლის.
მუსიკისა და კომედიანტის,
თბილისისათვის ტრფობით დაღლილის
ბარბითსა სცემდა, მოიმღეროდა
“შადიანს საომ-ცეცხლოვნად გათვლილს
მისამღერებში ლამაზად ჟღერდა
“სახელოვანი სიკვდილისათვის.”
რა მიადწია განკუთვნილ ადგილს
სიმღერა შეწყდა,სიჩუმე იდგა,
მაჩაბლის გვერდით ადგილს იკავებს
რაზმი კახელთა, კერძოდ ქიზიყის.
ვინ შეაჩეროს მათი შეტევა!
მტერთან ბრძოლაში თვის სიტყვას იტყვის.
სამას არაგვლის მარცხენა მხარეს
ყველაზე მეტი მთიულებია,
-ქართველთ მშვენება შრომაში ომში.
ქრისტე ღმერთს ეგრე უნებებია.
ჯარი რიჟრაჟზე ერეკლე მეფეს
საომრადა ყავს დალაგებული.
წინ, იოანე ბატონიშვილი
შეტევისათვის გამზადებული.
მარცხენა კერძს კი, მტკვარს რომ მოჰკვრია
ნდობს იოანე მუხრანბატონი.
შუაგულში დგას თავად ერეკლე
ურთიერთობის ამწონ-დამწონი.
მტერი გამოჩნდა. წინ მოიწევენ.
ჩვენნი სანგრებში ელოდებიან.
რა მოადწიეს სათოფე მანძილს,
მეტად ძლიერი ცეცხლით ხვდებიან
ასეულობით ჩაწვა სპარსელი.
სულში ჩამწვდომად ჟღერს შადიანი,
ამოაგელეს გველიპირული,
მოქნევა და ჭრა აქვს მადლიანი.
გადათქერავენ სპარსელთა გვამებს,
მათ სიმრავლესაც ზღვარი ესმება.
საოცრადა ჩეხს გველისპირული,
მაგრამ მუმლისებრ მოდის შევსება.
სპარსელთა ჯარში წინ ხაზზე
ყიზილბაშები არიან.

უკან მოსდევენ თურქმანნი
და განლაგება მყარია.
რადგანაც მათ ორთავეს
ერთმანეთი ძულთ ძალიან
უკუქცეული სპარსელი
თურქმანისაგან მკვდარია.
ომი განახლდა თუ არა
მომხვდურმა პირი იქცია.
თურქმანთა ტყვიამ და ხმალმა
უკანვე შემოაქცია.
ასასკაცობით წვებოდნენ
ირანელები მიწაზე,
მაგრამ მოსდევდა რიგი რიგს
და მთელდებოდა იმ წამსვე,
ეტყობოდათ რომ სიმრავლით
სურდათ გატანა თავისი.
ჯერ არ უგრძვნიათ მათ სრულად
სიმრავლე ქართველთ მკლავისი.

***

წინ იჭრებიან არაგველები,
უმოწყალოდ ჭრის გველისპირული,
თავიანთ აღქმის შესასრულებლად
სამშობლოსათვის თავგანწირულნი,
დაწინაურდა შვიდი ძმობილი.
სუფთა ფოლადებრ გამოდნობილნი.
მთა-ჭიუხებში ვეფხვთან მებრძოლნი
მამულის მცველად გამოხმობილნი.
თვალი ჰკრეს სპარსთა საომარ დროშებს,
სულ მთლად გამხეცდნენ არაგველები
უკან გარბიან ყიზილბაშები,
ვერ აკავებენ მათ თურქმანები.
ეკვეთნენ სპარსთა დროშების მცველებს
და გადასჩეხეს ყველა ალმედად,
მის შეხედვაზე შაჰი-კაცუნა
შეშინებული თითქოს ბრმავდება.
არაგველები დროშებს ითრევენ.
დროშების ტარებს მუხლზე იმტვრევენ.
ლომის ღერბიან ბაირაღებსა
ვეფხვისებურად კბილებით ფხრეწენ

ამის მნახველი შაჰი-კაცუნა
კვლავ იმეორებს ზემორე ნათქვამს:
ჟრუანტის მგვრელი ასეთი ბრძოლა
არსად ომებში რომ არ უნახავს.
ქართველთა მხრიდან თოფი გავარდა
აღა მაჰმადზე დამიზნებული.
ტყვია ცხენს მოხვდა. მიწაზე გდია
კაცუნაც მიწას დანარცხებული.
სწრაფად მოართვეს მარქაფა ცხენი
კაცუნა შეხტა და დაიძახა:
ვისაც ვუყვარვარ უკან გამომყვეს,
წყალმა დამახრჩოს? გმართებთ დამარხვა
ქუსლი ჰკრა ჩიამ თარაქამულ ცხენს,
და გადაეშვა პირდაპირ მტკვარში.
სამიათასი თურქმანი მიჰყვა
თავიანთ ბატონს დაუდგა მხარში.
სამი ათასი ცხენოსანიდან
მხოლოდ სამასი დაახრჩო წყალმა.
დანარჩენები გაღმა გავიდნენ,
მტკვრის მდინარებას აუყვნენ მაღლა
ორთაჭალაში კვლავ გადალახეს
და გადავიდნენ მარჯვენა მხარეს,
უნდათ ქართველთა ჩასმა ალყაში,
შეძლეს, უწყობენ განსაცდელს მწარეს.
არაგველებმა კვლავ შეუტიეს
აღას სისხლიერ თურქმანთა მხრიდან,
ისე ძლიერად, ერთი მოქნევა
ზოგჯერ მიწაზე ორ თურქმენს ჰყრიდა
გასჩეხეს ალყა, გადაჭრეს რკალი
და გადათქერენ ჩახოცილ გვამებს,
ერთი მეორის მიჯრით, მიყრდნობით
ზურგშეუქცევლად, პირით მტრისაკენ
ამის მნახველი აღა მაჰმადი
მთლად შეიშალა, ჭკუას გადვიდა.
შეტევა ბრძანა მთელი ძალებით
თითქოს ომს იწყებს ახლა თავიდან
ქართველთა ჯარის მარცხენა კერძი
მუხრან ბატონის მეთაურობით,
ბრძოლაში ებმის თავგამეტებით,
წინაც წაიწევს მაგრამ დროებით.
ერეკლემ თვალი ჰკიდა ფრონტის ხაზს
და საჭიროდ სცნო დახმარებოდა,

ბრძოლაში უხმო თავის “შუაგულს”
მებრძოლთ, რომ ეგზომ გახარებოდათ.
ყველამ ერთბაშად ფრთები შეისხა,
მოქალაქემ თუ არაგველებმა.
მოზღვავდა სპარსი მუმლისებურად,
ერეკლე მეფე მოჰყვა ალყაში.
უნდა დაიხსნა თუმცა ძნელია.
არ შეუქმნიათ მასზე განგაში.
შემოიკრიბნენ არაგველები,
ძლივსღა ადგენენ ორ-სამ ათეულს.
და სხვებთან ერთად ბრძოლის სადავეს
კვლავ იბრუნებენ მტრისგან წართმეულს.
გაჩეხენ ალყას, ხსნიან გასასვლელს
უკანასკნელი არაგველები.
სამშვიდობოსკენ მიაცილებენ
ერეკლე მეფეს მისი მცველები.
მეფემ ავლაბრისხიდს გააღწია
და უწმინდესი ფიციც აღსრულდა
სული სამასი არაგველისა
სამარადისოდ ცაში წასულა.
მათვე აჩეხილ მკვდრებზე ესვენენ
უკანასკნელი არაგველები.
შორიდან ნასროლ ქვიბურებით
და გმურებით მკერდშელეწილები.

2009წ.

სამასი არაგველი II

რვაათასიან მხედრობას
ქალბალი ხანის სარდლობით,
საჭურის გზავნის გორისკენ
სიკვდილის თესვის თანხმობით.
მცხეთაში გასვლისთანავე
დაიწყეს ნგრევა საყდრების
გაბრაზდა ქალბალი ხანი
მხილველი ასეთ ამბების:
“თაყვანსაცემი ადგილი ღვთისა
და არც ადგილი მეფეთ სამარხი.
არა ჯერ არსო შეურაცყოფად”

დააგდებინა საქმე საძრახი
შემოურბინა თავის მხედრობას
სალოცავთაგან გაჰყარა გარე
ან ჯოგს ან ფარას დაიხელთებენ,
ისადილებენ ამასთან ბარემ
საკბილო ვერაფერი იპოვეს,
ერთურთს უმზერენ შიშით და ოხვრით
ხალხი შორ მთებში გახიზნულია
მთელი ოჯახით, ცხვარით და ძროხით.
ხანს საჭურისის დავალება აქვს
უნდა შეიპყროს ერეკლე მეფე,
ნამდვილად იცის, რომ თავს აფარებს
ზემო არაგვის ხეობის სოფლებს.
ოთხი ათასი ყიზილბაში გორის გზას გაჰყვა,
გზად გაიარეს მუხრანი, ჭალა.
ვერ-რას წააწყდნენ, მშივრები დარჩნენ
რაც ჰქონდათ ისიც შემოეჭამათ.
გორიც პირწმინდად გახიზნულიყო,
ციხე ეჭირა მცირე ციხიონს.
წამსვე მომხდურ მტერს ჩამოეგებნენ,
აფთრული დარტყმა მტერმა იხილოს
თოფები დასცეს, ხმლები იშიშვლეს
და ატორტმანდა მტრის ჯარი ოდეს,
ძირს გადმოეშვნენ, გამოედევნენ
ცხინვალის მხარეს მთებში აოტნეს.
აქაც იგივე სურათი დახვდათ,
სოფლები იყო სულ მთლად დაცლილი.
შემოუბრუნდნენ კვლავ მტკვრის ხეობას
დამარცხებული და შერცხვენილნი.
ლამისყანასთან რა მოაღწია
ირანელების გროვამ ასპიტთა,
მათ გამოუხტათ ბატონიშვილი
და დაამარცხა მეტად სასატიკად,
შერცხვენილსა და დამარცხებულ ხანს
გულში იმედი კიდევ რჩებოდა,
რომ ის ერეკლეს დაატყვევებდა,
მაჰმადის რისხვას გადურჩებოდა.
ჟინვალამდე არ შემოხვედრიათ
ადამიანის რამ ჭაჭანება,
საკვირველია, იყო სიცხადე
დასტურ ნამდვილი არა ზმანება.
იქვე მახლობლად იალაღებზე

შამშადილოელთ ძოვდა ნახირი.
მწყემსთა ბელადი-ალისულთანი,
ერეკლე მეფის ყრმად შენაფიცი.
და სწორედ ამ დროს ჟინვალს მოადგა
300 მწყემსი თუშ-ფშავ-ხევსურნი.
გვიან გაეგოთ მათ გასაჭირი
და სამხრეთისკენ შურობდნენ "მგლურით"
ქალბალი ხანის ჯარიც გამოჩნდა,
ჟინვალს ქვემოდან შემომავალი,
ჩვენები იყვნენ ძალიან ცოტა,
ამიტომ მტერი ჩანდა მრავალი.
ჩვენმა მწყემსებმა თუშ-ფშავ-ხევსურმა
ალ-სულთანს თხოვეს მტრებთან კავშირი,
ისიც დათანხმდა მთლად უყოყმანოდ,
შედეგს გადაწყვეტს ბრძოლა გაშლილი.
სამასმა მწყემსმა თუშ-ფშავ-ხევსურთა
და ალი სულთნის ორასმა კაცმა
სწრაფად იბრუნა პირი უკანვე
და წყნარად აღმა აუყვა არაგვს.
ალი-სულთანის მწყემსებში ჭარბობს
მწყემსები ხმალთან ერთად თოფებით.
მათ მოსახვევში ჩაასაფრებენ,
ბრძოლას ელოდნენ მშვიდად, მოთმენით.
ქალბალი ხანი, რომ ამოივლის
და ამოსცდება ალი-სულთნის ჯარს,
მათ ეკვეთება არაგველები
ძლიერ შეტევით დასცემენ თავზარს.
ასედაც მოხდა სინამდვილეში
გული იჯერეს სპარსთა ჩეხვითა
როს ქვემო მხრიდან ცოტა შეუშვეს
უკვე გარბოდნენ კისრის ტეხითა
პირი იქციეს ყიზილბაშებმა
დაბლა დაეშვნენ გამეტებითა
ალისულთანმა ცეცხლი გაუხსნა
გზა დაიფარა მკვდარი მტრებითა.
თავიანთ მკვდრებზე გადადიოდნენ,
გადასწრებას კი ყველა ცდილობდა
ვიწრო გზის გამო ერთურთის ჯახით
ცხენკაციანად წყალში ცვიოდა.
სადაც არაგვი ვაკეზე გადის
არაგველებმა დევნა შეწყვიტეს,
რომ მიღწეული ეს გამარჯვება

დამარცხებასთან, რომ არ შეწყვილდეს.
ქალბალი ხანი თბილისში მიჰქრის
რით გაახარებს იგი საჭურისს:
“ერეკლეს ჯარი თითქმის მზადა ჰყავს,
ნაკლებობა აქვს მხოლოდ საჭურვლის.
რუსეთიდანაც ჯარს ელოდება,
ჯარით დაძრულა იმერთა მეფეც”
არაგველები მეფეს ეახლენ
ქალბალიხანთან გამარჯვებული,
მიულოცავენ მეფეს მტრისძლევას
ათიოდ ტყვით ხელდამშვენებული.

2009წ.

თევდორე მღვდლის გახსენება

(დასჯიდან 400 წლისთავის გამო)

ოთხასი წლის წინ ცხირეთი
სულისშემძვრელი ჩრდილები.
მაგიდას შემოსხდომიან
ქართლის სამეფო პირები:
მეფე ლუარსაბ მეორე,
სარდალი ციციშვილიო
და სააკაძე გიორგი,
სხვებს შორის გამოცდილიო.
ბჭობა აქვთ მესხთა შესახებ
თურქთა წინა წლის მარცხისა,
ახალი ლაშქრობით დასჯის
ელენეს, მანუჩარისა*.
აქ თურქებს ადევნებია
ყირიმელ თათართ ჯარია.
იგივე “მგლისტყაოსანნი”
ჰკლავთ ძარცვა-გლეჯის ჯავრია.
აუდიათ ახალციხე,
გაუძარცვავთ გვარიანათ.
ელენე და მანუჩარი
გახიზნულან ადრიანად.
ლუარსაბს და სააკაძეს
თადარიგი დაუჭირავთ.

ქართლის გზების სათვალთვალოთ
ყარაული დაუნიშნავთ.
ზაქარიას, იარალის,
მათ ორთავეს ბარათაშვილს,
გადაეცათ მცირე ჯარი,
არავინ თხოვს ბრძოლას გაშლილს.
გაერთიანებულ ურდოს
ხელმძღვანელობს ფერად ფაშა,
ქართველი მაჰმადიანი
მოაგელვებს თავის ლაფშას.
გადმოთქერეს ჯავახეთი,
თრიალეთი, მოვლენ მანგლისს.
მოსახლობა გონს მოეგო
ხელს სტაცებენ ცელს, ცულს, მარგილს.
ზაქარია, იარალი
თვით ხედავენ მათ შეცდომას,
სამოცათასს თურქს, სტუმრებით

---

* მანუჩარი, იგივე მანუჩარ ათაბაგი ანუ მუსტაფა. ელენე – მისი მეუღლე, სვიმონ მეფის ქალიშვილი

უმართავენ სასტიკ ბრძოლას.
მათ მოასწრეს რამდენიმე
სოფლის სულ მთლად ამოწყვეტა,
გადაწვა და აოხრება,
გაძარცვა და ამოგდება.
თურქებს ცნობა ჰქონებიათ
ლუარსაბის ცხირეთს ყოფნის.
კაცს ეძებენ სამეგზუროთ,
მოთმინება აღარ ყოფნით.
თევდორე მღვდელს იხელთებენ,
მეგზურობას უბრძანებენ.
იუარებს ლახტი ხვდება.
შემდგომს იცდენს, დათანხმდება.
მას მხარმკლავი გაუკოჭეს,
იანიჩრებს წინ გაუგდეს.
მღვდელი ფიქრობს მოტყუებას,
სიცოცხლედაც რომ დაუჯდეს.
გულში ამბობს:"ცალკე კაცის
საწუთროა წამიერი,

ცხოვარი საქართველოა
მხოლოდ მარადჟამიერი”.
მე მწყემსი ვარ სოფელ კველთის,
მცირე სამწმყოს ყურად ვიღებ,
მაგრამ თავი უნდა დავდო
სამშობლოსთვის მესმის ვიგებ.
სად მოვედით? გოსტიბეში.
ცხირეთი კიდევ შორია?
არც ისე შორი არ არის,
რაც სწორი არის,სწორია.
ზურგს შუბის ტარი აძგერეს.
აბა გასწიო! გასწიეს,
მღვდელი კვლავ გაჰყვა ფიქრის გზას
გუმანით ხვდება გასწირეს.
კვლავ ფიქრობს. მისი სხეული
ჯერ ებჯინება მიწასა.
ეს მიწა არის ქართული;
ითხოვს თოხს, ბარს და ფიწალსა.
სად მოველთ? ერთაწმინდაში.
მოკლედ პასუხობს მღვდელია.
აღარ აღირსა ცხირეთი.
მეგზური სულისმხდელია?!
აქ ორი გზაა! ორი გზა.
ცხირეთში მიდის მარჯვენა.
აბა გასწი! და გასწიეს.
ცხირეთის დარჩა მარცხენა!
თევდორეს ქვენადრისისკენ
მიჰყავს მტრის ურდო ნამდვილად.
ქვენადრისი ჯერ შორსაა
ვერ გადაირბენ ადვილად.
და გულში ფიქრობს მანმადე
მეფე შეიტყობს ჩვენს ამბავს,
ღმერთმა ჰქნას შეტყობილიც აქვს
და გამარჯვების გზებს სახავს.
მე მაწამებენ სასტიკად,
მერე მომკვეთენ თავსაო,
მაგრამ იგივე მოუწევს
ამ მაღალ ფაშას, ავსაო.
თუმცა მე ვერ მაწამებენ,
აწამებენ მხოლოდ სხეულს.
სულს კი ვერას დააკლებენ
ჩემს სხეულში განსხივებულს.

სუბუქია ჩემი ტვირთი
და უღელი ჩემი ტკბილი.
ვერ იხილონ საქართველო,
ვერავისგან დამხობილი.
აჰა! სოფელიც გამოჩნდა.
აბა რა ჰქვია ამასო!
ქვენადრისიო პასუხობს,
ნეტავ შხამით რამ გაგავსოთ?
მერე ცხირეთი სად არის?
იქ არის სადაც არისო!
ორივე საქართველოა
დამფასებელი თავისო.
შეიქნა თურქთა ბღავილი,
თევდორე იდგა კოშკისებრ.
შემოეხვივნენ თურქები
“კოშკმა” დაიწყო ქუხილი:
გველნო, იქედნეს ნაშობნო,
გული რად დაილახვრენით?
სამშობლოს არ ვუღალატე
მკლავთ?ამ დონეზე დახვედით?
ამდენი ხანი გზაში ხართ.
მეფემ შეკრიბა ჯარია
გაწყდებით ჩვენსა მიწაზე,
გვიფარავს ქრისტეს ჯვარია.
კისერში დარტყმა მიიღო
სასტიკი ტკენა შეიგრძნო,
იატაგნებით დააცხრნენ.
ძარღვთა დასერვა შეიცნო
უკვე აღარა სტკიოდა,
მის სული ქრისტემ შეინდო.
ისმის საზარი ჭახანი,
თითქმის ბუნება გარინდდა.
თავი დაგორდა წყაროსკენ,
სული შორს ცაში გაფრინდა*

---

* სანამ თევდორე თავდამსხმელებს აღმა-დაღმა ატარებდა, მეფემ შეძლო ქართლის ყველა სადროშო და თბილისის სპარსული ციხიონიც სრული შემადგენლობით შეეკრიბა. სხერტის ჭალაზე დაწყებული ბრძოლა სოფელ

ნახვეტართან ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. სამოცათასიანი მტრის არმია მთლიანად განადგურდა.

მეფე ლუარსაბ II თევდორეს დასჯის ადგილზე მცირე ზომის ქვის ეკლესია აუგო, რომელიც ამ ოცდაათიოდე წლის წინ კიდევ არსებობდა!

მარიამ–ჩემპიონი

ზამთარს აღარ შესწევს ძალა
მილასლასებს დაზაფრული.
თოვლს და ყინულს გასდის ყავლი.
ახლოვდება გაზაფხული
ყოჩივარდებს დაუფარავთ
გზისპირები, ტყის გულები
ფუსფუსებენ პატარები,
მომავალი დევგმირები.
დილით ადრე ფანჯარაზე
შემომჯდარან ბედურები.
პატარების მიძღვნილ საკენკს
მიირთმევენ რუდუნებით,
ყველა ჩიტზე უფრო დიდი
ფანჯარას ცემს მოგრძო ნისკარტს
დიასახლისს ვით გადასცეს
„რაც უთქვია გაშლილ მის კარტს".
აწკრიალდა ტელეფონი.
სტამბოლიდან რეკავს ზარი
მომავალში უფრო მეტად
გამოჩნდება მისი გვარი!
მარიამმა მისი ბაღი
გვარიანად ასახელა
ჭადრაკის ჩემპიონია
ეს ექვსი წლის ცუგრუმელა. 05.03.10

სახალხო დამცველი

ბ–ნ გ. ტუღუშს

ბ–ნ გიორგის ვახლავარ
ახალ სახალხო დამცველსა
რა კარგი არის, აბა ჰა!

ჭირი თქვენ ავად მზარხველსა.
ჩვენს დიდებულსა გაზეთში
გამხდარხარ „გვირგვინოსანი,"
ასავალ-დასავალს გვიმკობ
როგორც, რომ ვარდი სოსანი
გამოცდილება გაკლია,
მაგრამ მიიიღებ აქ არ ხარ?
მერე ეგ განა ნაკლია?
ვაჟკაცი კაცი ხარ და ხარ!
აბა ვინ გაგვაცნობდა ჩვენ
ამსტერდამ–ჰააგის მერებს.
ალერსით, გინდაც შიშითა
ვინ აუფრენდა მათ მწყერებს.
მოკლედ რომ მოვჭრათ თქვენ უქებთ
მათ ჰომოსექსუალობას.
ქართულად თუ გადმოვითანთ
უმღერით მამათმავლობას.
ჯერ არ გვქონია შემთხვევა
შენ კი გვთავაზობ მოჩეხვას
სიცოცხლის ხეზე იმ ტოტის,
რასაც მართმადიდებლები
კბილებით ვიცავთ იცოდე,
მისი მოტრფენი ამ ქვეყნად
ქარცეცხლში უნდა იწვოდენ.
მამათმავლობა არ არის
ახალი დროის მოთხოვნა,
მაგრამ თავს იჩენს მცირედა,
როგორაც ავად მყოფობა.
მისი ძლიერი მტერია
რწმენა-მართმადიდებლობა.
ძველ დროში სოდომ–გორომში
სქესის აღრევა დასრულდა
უზენაესის წყალობით
მათი ცხოვრებაც აღსრულდა..*

2010 წ.

---

* რაც შეეხება ზურაბ ჟვანიას ნათქვამს: “ მე ვარ ქართველი, ე.ი. ევროპელი, სულაც არ მიშნავს ჩვენ ჰომოსექსუალები ვიყოთ. თუნდაც ევროპაში ბევრი სახელმწიფოა მართლმადიდებელი.

ნინო მინდელი

უნივერსიტეტის
კურსდამთავრებული

მადლის მომდურება არ ივარგებს

მტერი გაუმრავლდა საქართველოს,
მტერი – შენიღბული, უსახური,
მტერი – გარეული, შინაური,
მტერი – უწმინდურის, „თფუ", მსახური.

ბედი არაფერში ხომ არ გვწყალობს,
ვინც კი მივითბეთ და ჩავიკარით,
თითქოს, არც ვინ დარჩა მადლიერი,
უფრო მრავლად იყო გარეწარი...

დროა ჩაფიქრების, ცოდვის შვილებს,
ცოდვის მამაძაღლი ხელი გვმართავს,
მადლი, ნათელ სახლში იფურჩქნება,
და იქ თაობების ტოტებს ხლართავს.

დილას, ლოცვა უნდა შევაგებოთ,
მოთქმა, ვაი-ვიში სულ დაგვაგდებს,
მადლი კურთხევაა, ქართველებო,
მადლის მომდურება არ ივარგებს.

მაშინ, ვეღარც მტერი გალაღდება,
ვეღარც შინაური ჩაგვცემს ლახვარს,
ჰიმნად აჟღერდება ერთგულება,
ხსნის გზას სული უმალ დაინახავს.

უფლის კურთხევით და სიყვარულით,
პირს ჯვარს დედის ხელი გადაგვსახავს,
და ჩვენც, იმედით, რომ გვიცავს ღმერთი,
ყველა დაბრკოლებებს გადავლახავთ!!!

IX. 2008 წელი
(ღვთისმშობლობა)

სიყვარული, ქართველებო, ბედის საწნახელია

მოქარგული მომავალი,
ღვთის დიდებით იწყება,
მერე, კაცის მონდომებით,
მიწა ოფლით ირწყვება.
მერე, ბუნების ზეობით,
ხან წვიმს, ხანაც დარია,
და მარჯვენის ნამოღვაწარს,
მზისკენ მიუხარია.
მერე, ყვავის დედამიწა,
იჩითება ფერებით,
ასე იცის, დალოცვილმა,
თუკი მივეფერებით.
მერე, სახლში დოვლათია,
ირეცხება ქვევრები,
საწნახელში იწურება
მადლიანი მტევნები...
მოჩუხჩუხე მაჭარს ფერი,
ალი დაჰკრავს მზიური,
და იღვრება, იფურჩქნება
სურნელება ღვთიური...
(ჩურჩხელების მოლოდინმა
გული დააბადაგა,
პაწაწინა ონავრები
გამოათრო ბადაგმა)...
მარანს ჯვარი, აქ ხვავია,
ბაღიც წითლად ბრდღვიალებს,
სადაც სული ღვთიურია,
იქ, სულ მადლი ტრიალებს.
ოქროსთმიან თავთავებშიც
პურის ბრწყინავს მარცვალი,
თავქოჩორა ტაროც მრავლობს,
იბერტყება კაკალიც..
სადაც გული გულს უგალობს,
იქ წყალობის რთველია,
სიყვარული, ქართველებო,

ბედის საწნახელია!!!
16. XI. 2008 წელი

იავნანა

ძილის დროა, ძილის დროა,
უჩურჩულა ბავშვებს მთვარემ
და ზღაპრების სამყაროში
გააქროლა არე-მარე.
მზესაც რული მოეკიდა,
აიკეცა სხივთა კაბა,
აისამდე, მორთულობა,
ოქროს სკივრში ჩაალაგა...
დაგიმძიმდა წამწამები,
იავ, ნანა, ვარდოვ, ნანა,
დაიძინე და სიზმრებში
გაბრწყინდება ეს ქვეყანა.
ფრთებს შეისხამს ოცნებები,
სიყვარული გაშლის მკლავებს,
ჩაგიხუტებს, და ალერსით,
მთელი ღამე განანავებს.
მთელი ღამე იღიღინებს,
ლოცვად შექმნილ იავნანას,
დაიძინე, გენაცვალე,
ღმერთი იცავს ჩვენს ქვეყანას!!!
6. V. 2009 წელი
(გიორგობა)

არაფერია უფრო ძვირფასი

ბინძურ ჭაობში ეფლობა სული,
ტალახისფერი ხალხი მომრავლდა
და მეშინია, რას ვიფიქრებდი,
მე თუ ქართველზე დარდი მომკლავდა.
დაღონებულა ძირძველი მუხა,
(რამდენი ტანჯვა გამოიარა),
ერის ტკივილი უფრო წყლულდება
და მოშუშება უჭირს იარას.
მზე კი ანათებს, მაგრამ სასახლეთ,

ორღობეებში ბნელა ძალიან,
დრო ხელთ უპყრიათ დროის კაცუნებს,
მწყინს, სიკეთისთვის არა სცალიათ.
ქანცგაწყვეტილი მშობლის ფიქრებში
საზრუნავია მხოლოდ მრავალი,
თვალებში ცქმუტავს შიშის ნაკვესი,
არსაიდან სჩანს გამოსავალი.
ბობოქრობს წყალი, ირყევა მიწა,
ჩვენ კი, ღვთის რისხვის მიზეზს ვერ ვხვდებით
და სხვისი ჭირიც გვეუცხოება,
ვიდრე განსაცდელს თავად შევხვდებით.
თავდახრილია ერის სინდისი,
მრევლი ლოცულობს, აღსდექ, ქართველო,
სადაველები უნდა გეჭიროს,
რომ ააღზევო შენ საქართველო.
გადიწმინდება ცოდვის ღრუბლები,
აანთებს ზეცას სხივთა ციალი
და შეისმება სადიდებელი
შენი, მამულო, სავსე ფიალით.
დაიმუხტება გულის ძარღვები,
ახალი ძალით იხუვლებს გენი,
არაფერია უფრო ძვირფასი,
ვიდრე სიცოცხლე, სამშობლოვ, შენი.

9. V. 2005 წელი

გამკვირვებია კაცისა

ცოდვამ იფესვა, ივარგა,
გრძნობა წალეკა ცოდვამ,
გამკვირვებია კაცისა,
რატომ გასწირა მოდგმა?!!
შეისისხლხორცა ტყუილი,
სულ დაივიწყა ღმერთი,
თავი რად დაისახიჩრა,
გამაგებინა ერთი!..

ვლოცავ

ვლოცავ, ჯიშიან გვარსა და ჯილაგს,

მას, ვინც თვისების მადლით სულდგმულობს,
და, ვისაც ძალუძს, ყოველი წამი
აამღეროს და გაასულგულოს.

მას, ვინაც შევა ოჯახში ბურჯად,
წარმოჩინდება ქალის ხატებად,
ჩაიქსოვება ფესვების წნულში
და ნათელ სხივად ჩაიხატება.

მომავლის ნერგებს ღმერთს შეავედრებს,
აუჩუქურთმებს წინაპრის სახელს,
ვლოცავ, იმ ნანას, გულს რომ ადნება
და უხმო გრძნობის ალერსში გაგხვევს.

ვლოცავ, მკერდიდან წამოსულ ძალას,
სულის საკვებად გაღებულ მირონს,
და სიყვარულით დამტკბარ-დაშაქრულს,
დედა-შვილობის მადლს, უნაპიროს.

ვლოცავ, ღამეულ ჩურჩულში შექმნილს,
ორთა თათბირში დაგეგმილ ხვალეს,
მზიური სხივით გაცისკროვნებულ,
კრძალვაჩახატულ უღრუბლო თვალებს.

ნათელ ალიონს, გაბრდღვიალებულს,
იმედის მომცემს, ცეცხლისენებას,
უფლის საყდარში შეკრული ფიცის,
ღვთიური შუქით შემომშვენებას.

წმინდა ფიქრებით აგებულ ტაძარს,
შეუდარებელ ღიმილს კაცისას,
მას, ვისაც უყვარს მოყვასი თვისი
და გვერდით უდგას თვისტომს განცდისას.

5. II. 2007 წელი

ფუტკარი

აკაციის ყვავილებს
შესევია ფუტკარი,
დაზუზუნებს, მუშაობს,
(უსაქმურს რა ვუთხარი).

ზამთრის სარჩოს იმზადებს,
სხვებზეც ზრუნავს, მადლია,
ღვთის დალოცვილ უჯრედში,
დალოცვილი თაფლია.
ყვავილს ყვავილს აყვარებს,
დასტრიალებს თავთუხებს,
სიყვარულის ნექტარი
სიცოცხლის ჰიმნს აქუხებს.
საოცარი ფორები
წვეთით, წვეთ-წვეთ ივსება,
უკვდავების სურნელით
სახლი გადაივსება.
მოედება გარემოს
სიცოცხლედ და საამოდ,
ბევრს დაათრობს, უფრო ბევრს
დაედება მალამოდ.
კაცი დაილოცება,
ღმერთს კენტ სანთელს აუნთებს,
შუამდგომლობას უფალთან
კვლავ ფუტკარი გაუწევს.

24. VIII. 2005 წელი

მრავალჟამიერ ჩვენი სიცოცხლე

მრავალჟამიერ ჩვენი სიცოცხლე,
გვწყალობდეს მიწა, მადლი ბუნების,
ნუ ჩავიმუხლებთ, ნუ დავეცემით,
ნურავის შიშით გავიტრუნებით.
ნუ დაგვარწყულებს ცრუ იმედები,
ნუ დაგვაბრმავებს უცხო ნათელი,
ბრწყინავს მხოლოდ მზე, და უფრო მეტად,
ეკლესიაში წმინდა სანთელი.
ნუ მივცემთ უღვთოს ძალას – წაგვბილწავს,
ნუ შევიფარებთ მკვლელს – კვლავაც მოკლავს,
ნუ გავჩუმდებით, ზოგჯერ დუმილი,
ძალიან ძვირად გვიჯდება მოკვდავთ.
განუკითხავი უსამართლობა,
უმართავ ზვირთად გადაიქცევა,

ერის ტკივილი, თუ არ უწამლე,
უფრო წყლულდება, უფრო იზრდება...
ღვთისნიერთ გულში – სიყვარულია
შენებისა და წინსვლის ღადარი,
სამშობლოსათვის, სიკეთის ქმნისთვის,
დაუმადლებლად მუდამ მზად არის.
სულიც წმინდაა, სუფთა, კრიალა,
გამოცდილებას თან ახლავს რწმენა,
უღვთოს და უწვრთნელს კი მხოლოდ თავის
სიდიადის და სიმაღლის სჯერა.
ქილიკით, ლანძღვით, ლაფს ასხამს სხვის ღვაწლს,
არ ეძიება თუმცა საბაბი,
ის, ეროვნული ნიღბით მოსული –
ერის მტერია, ერის ყასაბი.
მამულიშვილთა ყველა ცდილობა,
ამაო არის, ცრემლიც მწარეა,
გაწამებული ამდენი დარდით
ქართველი, კვლავაც გულმდუღარეა.
სჯობს, ღვთისნიერ კაცს ეპყრას სადავე,
ცრუ დაპირებებს ნუღარ ვენდობით,
დე, გავიმარჯვოთ და აღმავლობის
ხანა დავიწყოთ, ხალხო, შენდობით.
რა გზას ავირჩევთ, ჩვენი ნებაა,
მაგრამ თუ ვიღწვით გადარჩენისთვის,
მზად უნდა ვიყოთ, ამ გზის ბოლოში,
უზენაესი განაჩენისთვის!..

30. V. 2007 წელი

მე ადვილად არ ვეცემი

აწამწამდა წვეთი თვალზე,
წამებს ითვლის წამ-წამ წუთი,
მე ასეთი გულჩვილი ვარ,
ნაღვლიანი და სათუთი.
წკაპა-წკუპით მოდის წვიმა,
მოწანწკარებს ფეხქვეშ წყარო,
მე ლოდინი შემიძლია,
იქნებ მანაც შემიყვაროს.
წლების სვეტებს უტევს ქარი,
წამდაუწუმ ოხრავს გული,
მე სიცოცხლის მსახური ვარ,

სიყვარულით გათანგული.
    წარსულ დროზე ვიწუწუნებ,
საოცრებებს ველი წლეულს,
მე ადვილად არ ვეცემი,
ვერც ვერავინ მნახავს ძლეულს.
    წარმატებებს დრო-ჟამს ვანდობ,
ღმერთი მინდა მედგას მხარში,
მე სინდისის ნასხლეტი ვარ
ჩემს დალოცვილ ქვეყანაში.
26. II. 1991 წელი

ღვთის მოწყალებას არ აქვს საზღვარი

    კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს,
მოეკითხება ცოდვიანს მკაცრად,
და იმედია, სინდისის ქენჯნით,
ინატრებს – ღმერთო, მომკალი კაცად.
    კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს,
და არც ჯოჯოხეთს ანათებს მუდამ –
ფულის მზეობა, სიცოცხლეშივე
სულის სინათლეს ვუკმევდეთ უნდა.

    მონანიება კარგია, მაგრამ,
ხომ აქვს საზღვარი კაცის სიმდაბლეს,
ღმერთი მოწყალე ყოფილა მართლაც,
რომ არ გაგვწირა, კიდეც გვიმართლებს.
    სიყვარულია უფლის მახვილი,
იცის სად ცრუ და სად მართალია,
თუმც, ყველა მოკვდავს თანაბრად მოძღვრავს,
(მართლაც ღვთიური სამართალია).
    აბა, კაცისას ვერას გაიგებ,
ხან ქვემძრომს მოყვრობს, ხან ძმის მტერია,
სულ ერთი წუთით ცას რომ ახედოს,
შეიგრძნობს, რარიგ მშვენიერია.
    მაგრამ იმ წუთში განსაცდელს იწვევს,
შურისძიების ღვიძლი შვილია,
გაწყვეტილი აქვს ნამუსის ძარღვი,
გადაცემული, შეპყრობილია.
    ცოდვის მორევი სანამ ჩაითრევს,

სცოდავს და სცოდავს, სული აქვს ავი,
და ვიდრე ცოდვა იფესვიანებს,
კაცური კაცი ჰგონია თავი...
მოიდრიკება ამაყი ქედი,
აღაპყრობს ხელებს, ალბათ ინანებს,
ოდესმე კიდევ, იქნებ გულწრფელად,
ირწმუნებს უფალს და შეინანებს...
ღვთის მოწყალებას არ აქვს საზღვარი,
ქმნის და გარდაქმნის, ნერგავს სიკეთეს,
თუ აღსარებით მივეახლებით,
ის, მადლს კურთხეულს, გამოიმეტებს.
წინ გაგვიძღვება, გზას გაგვინათებს,
მერე მრავალგზის კიდევ გამოგვცდის,
შთამომავლობის ფესვს დაგვილოცავს,
მიგვაახლოვებს კართან სამოთხის.

5. VII. 2005 წელი

ქართველებო, არჩევანი ერთია

ჩვენი ქვეყნის ძლიერების საიდუმლო –
სიყვარულთან უფლის რწმენის ხლართია,
სიცოცხლისთვის – ტაძრის გულში მთელი სული
მთელი გრძნობა, გრძნობით ჩაგვიხლართია.

საუკუნეს საუკუნე აუგია,
ხორბლის ნამცეცს პური გამოუცხვია,
დედას შვილი სამშობლოსთვის გაუზრდია,
მერე ომის ცეცხლში გამოუცდია.
თხილის გული ცხრა ძმას ძმურად გაუყვია,
ცხრა ძმას ერთი დროშა უტარებია,
ბრძოლის ველზე დაცემულა ცხრა ვაჟკაცი,
ცოცხალთ მათი ბედი უნატრებია.
მომავლის გზას წარსულის მზე გაანათებს,
არ ჩაქრება, უფლის ნებით, სიცოცხლე,
ერთგულების ერთგულებით ერთგულები
ჩვენ, თვისებით კიდევ დიდხანს ვიცოცხლებთ.
თუმცა, კაცი სიავკაცეს ვერ მოითმენს,
კაცუნიებს ვერ ენდობა, დარდია,
დღეს მოკეთეს სანთლით ვეძებ, ვცდები ხოლმე,
არასოდეს ასე არ მიდარდია.

სევდის სევდა თუ რა არის, კარგად ვიცი,
გულსაც ბევრჯერ უტირია ძალიან,
მაგრამ, დღეს რომ ცრემლი ცრემლობს, ეს ცრემლები,
უჯიშობის აღზევების ბრალია.
მოძღვარს – ჩუმად ჩრდილში ყოფნა ურჩევნია,
გვმოძღვრავს ნდომით გლახაკი და ავყია,
სამართალი მმართველს თავად შეურყვნია,
შეულანძღავს, თავად შეულახია.
კაცი კაცის სიავკაცეს თურმე ითმენს,
კაცუნიებს ქედსაც უხრის „ლაქია",
გზა მივეცით – უგვაროს და უმოწყალოს,
განვადიდეთ – მდაბალი და მარქვია.
დაცემაა, სხვა ამ ყოფას რა ვუწოდო,
დაცემაა, სხვა ამ ყოფას რა ჰქვია,
მუმლმა მუხა დააჩოქა და ამჯერად,
ბედმა მუმლის მორჩილებად გვაქცია.
საქართველოს ძლიერების საიდუმლო –
სიყვარულთან უფლის რწმენის ხლართია,
სიცოცხლისთვის – ტაძრის გულში მთელი სული,
მთელი გრძნობა, გრძნობით ჩაგვიხლართია.
საუკუნეს საუკუნე აუგია,
ჯიშის ფესვი დედის ძუძუს უზრდია
და ღვთის მადლით დალოცვილი ქალ-ვაჟები,
ღვთის კურთხევით, გმირად გამოუზრდია.

ჰოდა, მუმლი როგორ უნდა გათამადდეს,
ვის უნახავს, მეფედ იქცეს მაქცია,
გამოფხიზლდით, ქართველებო, ამ ძილქუშმა,
სათამაშო თოჯინებად გვაქცია.
გასხვისებულ სამშობლოში, დაჩოქილნი,
მონის სტატუსს ვიხვეწებით, ახია,
ვის ვთხოვთ რამეს, მძარცველს თხოვნით – გაგვიძეხო,
თავად ხალხმა კალთა შემოახია.
ვის ვთხოვთ რამეს, დამნაშავე, თითს დავადებ,
პასუხს ვაგებ, დავიფიცებ – ხალხია,
ჰოდა, ვიდრე მზის სხივები მოგვენატრა,
ვიდრე ყველას არ ჩაგვიცვამს თალხია –
აღვიმართოთ მამულისთვის ცოცხალ ზღუდედ,
წინამძღოლი ჩვენი – მხოლოდ ღმერთია,
გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ, ქართველებო,
გაიღვიძეთ, არჩევანი ერთია.

19. II. 2005 წელი

(ნათლისღება)

სად შეყუჟულხარ, კაცის სინდისო

ქართველმა კაცმა რომ ჩაიმუხლა,
მაშინ დაიწყო ერმა დაცემა,
დრო კი იხელთა ვიღაც უჯიშომ,
არ გაუჭირდა ქვეყნის გაცემა.
საოცარია, არ სჩანს ნათელი,
თითქოს არც უნდა გამოდარება,
ყოველ ნაბიჯზე გულისწყვეტაა,
ყოველ კუთხეში გადაგვარება.
გამოწვდილია ხელუკეები,
დამშეულია ბევრი ძალიან,
ჩვენ რას ვაკეთებთ? – ვდებავთ ფასადებს,
შიგ მცხოვრებთათვის სადა გვცალია.
ვთესავთ "სიკეთეს", ვაი იმ თესვას,
ვლხინობთ, რა ლხინი, არის ღრეობა,
თვით სიყვარულიც გადაგვავიწყდა,
სიყვარული და მეოხეობა.
ძარცვავს ქვეყანას ხელმრუდე კაცი
და მოსყიდული იცავს სამართალს,
„გულშემატკივარს" ქვის გული უდევს,
სატანა სდევნის ალალს და მართალს.
ჰოდა, დაკარგა გულმა ფუნქცია,
უცხოა ახლა მისი მისია,
გაციებული, გრძნობით და სულით,
ადამიანი, რისი ღირსია?..
სად შეყუჟულხარ, კაცის სინდისო,
რად ჩაიქნიე ხელი, ივარგე,
ვერ გადარჩები, თანაც ჭიანი
შთამომავლობა, რადას ივარგებს.
ნუ დაგიყრია ძველი ფარ-ხმალი,
სულ უბრძოლველად ნუ ჩაბარდები,
ვერც შენახული იზამ სიკეთეს,
გადაგვარდები, დასამარდები.
გადაშენდები უხმოდ, უჩუმრად,
გამრავლდებიან ქოსა-ლაჩრები,
შენ კი უბრალო ლეგენდის გმირად,
შორ მოგონებად თუდა დარჩები.
ვინ დაგისერა ღერძი, ფესვები,

სად შეეუჟულხარ, კაცის სინდისო,
ჩვენი ქვეყანა გალახულია,
შენ უნდა შესძლო და ისინდისო.

1. VIII. 2005 წელი

სამყაროს ხსნა და გადარჩენა იქ მეგულება

სადაც მჭვირვალებს ცისფერი ცა, კამკამებს წყარო,
სიცოცხლის ძალით იფურჩქნება დიდებულება,
სადაც მზის გულის ფიალიდან იღვრება სითბო,
სამყაროს ხსნა და გადარჩენა, იქ მეგულება.
სად მგალობელთა მრავალხმიან საგალობელში
შეეკვარებულსა და მოხიბლულს მელის ცდუნება,
სადაც შვლის ნუკრი დანავარდობს გალაღებული,
სამყაროს ხსნა და გადარჩენა იქ მეგულება.
სად ბროწეული იბრაწება სხივების ალში
და იქარგება საოცარი ფერით ბუნება,
სად იასამნის სურნელება იფრქვევა მძაფრად,
სამყაროს ხსნა და გადარჩენა იქ მეგულება.
სად სიყვარულის და სიკეთის ღვივდება თესლი,
ქათქათა მტრედი საამურად მეღუღუნება,
სადაც თვალები ასხივებენ მადლსა და რწმენას,
სამყაროს ხსნა და გადარჩენა იქ მეგულება.
სადაც მღერიან წრფელი გულით მრავალჟამიერს,
სიცოცხლის ძალით იფურჩქნება დიდებულება,
სადაც მზის გულის ფიალიდან იღვრება სითბო
სამყაროს ხსნა და გადარჩენა იქ მეგულება.

7. VI. 2003 წელი

გაზაფხული საქართველოს მრავალჟამიერია

მზის ნათელი სულის სიმებს არხევს, ესალბუნება,
მოსირმული გულისპირით თავს იწონებს ბუნება.

იკვირტება სიყვარული, იფურჩქნება, მშვენდება,
კვლავ მიჯნურთა ნატერფალზე მომავალი შენდება.

იჩითება კერა ფერად, ფერად-ფერად ფერებად,
დედა გულში შვილს რომ იკრავს, შვილს რომ მიეფერება –
ხელისგულზე გაშლილია თითქოს მთელი სამყარო,
გთხოვ, უფალო, მსგავსის ხილვა არასოდეს მაკმარო.

დე, ებარტყოს მყარ ფესვებზე საუკუნო სიცოცხლეს,
დე, ქართული იავნანაც საუკუნოდ ისმოდეს.
დავივიწყოთ წარმავალი და რაც წამიერია,
გაზაფხული – საქართველოს მრავალჟამიერია.

გაზაფხული – საქართველოს სულის აფეთქებაა,
იმედი და უკვდავება, სუნთქვაა და შვებაა...
იჩითება კერა ფერად, ფერად-ფერად ფერებად,
ნერგო, ლოცვად აღმოცენდი, მამულის მოფერებად.

16. I. 1992 წელი

სიზმარეული, ცხადივით ცხადი

ირგლივ ფოთლების სასაფლაოა
და წართმევია ყოველს ხალისი,
არსად მინახავს მე პეიზაჟი
სადმე ამგვარად შესაბრალისი.
გაფარჩხულ ტოტებს შუბლი შეუკრავთ,
ცას შესევია ღრუბლები მკაცრი,
ნათელს წყვდიადი შებრძოლებია
და უჯობნია ბრჭყალებით ბასრით.
მიწას ძარღვებად გადაჰფარვია –
ამოხეთქილი ფესვები ხეთა
და შესევიან ზედაპირს დამსკდარს,
ვითარც გველები ორგანიზმს მფეთქავს.
ისმის შორიდან გრიგალის გრგვინვა,
მთებს აზანზარებს მისი გრიალი,
ვერ ჩააჩუმებ გულის ხმას ეხლა,
ზრუნავს ამაზე – ქარი ტიალი...
ცა კვლავ ამღვრეულ მდინარეს მოჰგავს,

ღრუბელიც ხატავს კაცებს ეშვებით,
სისხლისმწოველთა გარემოცვაში,
თითქოს ჭაობის შლამში ვეშვებით.
სიმშვიდის არ სჩანს აქ ნიშანწყალი
და შიშის ზარი ტოკავს წყეული,
წვეულებაზე თითქოს მარტოდენ
ავი ძალები იყვნენ წვეულნი...
ირგვლივ ფოთლების სასაფლაოა,
დიდ, თვალუწვდენელ ხალიჩას მოჰგავს,
სიდამპლის ფერით მოსილ ფარდაგზე
შავი სიბნელე ცეკვავს და როკავს...
არსად მინახავს მე – პეიზაჟი,
სადმე ამგვარად შესაბრალისი,
წყვდიადის ფერთა მიერ ჩაკლული,
ნათლის ბრწყინვა და ნათლის ხალისი.
ზეიმი ძალთა – ავთა და შავთა,
დიდება – გახრწნილ, ფესვმომპალ ძალის,
არსად მინახავს სადმე ამგვარი
ასარიდები სურათი თვალის...
რომ არა შუქი იმ მყრალ წუმპეში,
ვინ იფიქრებდა მაშინ ზღაპარზე,

მეც სხივისაკენ გავქანდი უცებ,
მდგომი სიკვდილის წყეულ საზღვარზე.
ფოთოლი საღი ავიღე უმალ,
ოჰ!!! შვებისაგან ამოვიგმინე,
ვერც შევამჩნიე, რომელიც მძულდა,
იმ ხალიჩაზე როგორ ვირბინე.
მკვდარ გულში რწმენა ჩამიდგა ძალად –
ფრთებისშემსხმელი და უძლეველი,
აღარ ვუფრთხოდი გაფარჩხულ ტოტებს,
აღარც ცა იყო დაუძლეველი.
იმ ერთ ფოთოლში თითქოს ხსნისათვის
მაგიურ ძალას ედგა ფესვები,
ავხედე ხეებს, გაკვირტულიყვნენ,
ხასხასა მოლზე მედგა ფეხები.
ირგვლივ ნათელი – სუფთა და წმინდა,
სხივების კონად ღვრიდა სიკეთეს,
ყვავილდებოდნენ შემოგარენი,
სუნთქვას იწყებდნენ და მოიკეთეს...
სიზმარეული, ცხადივით ცხადი,
გასახარელი გულის და თვალის,

არსად მენახა მანამდე მსგავსი,
გამოღვიძება მძინარე ძალის.
ირგვლივ ფოთლების ჭრელი ხალიჩა,
მზერათა სითბო, ფერთა ხალისი,
აქ არვინ იყო მოწყენილი და,
რაც მთავარია, შესაბრალისი.

10. X. 1998 წელი

ღმერთო, მოგვიბოძე სინათლე!!!

(ცხრა აპრილი – ქართველთა უმძიმესი ტრაგედია)

ზარები, ზარები გუგუნებენ,
მწუხარედ დახრილან თავები,
მსგავსი ტკივილებით მრავალტანჯულს,
რუსთაველს დაშვენდა შავები.
ზარები, ზარები გუგუნებენ,
ჩემს ნარიყალასთან ბინდია,
დგას ქართლის დედასთან
მუხლმოყრილი –
დავითი, გიორგი, მინდია...
მტკვარი გულის ცრემლმა აადიდა,
უფრორე დადინჯდა მთაწმინდა,
სისხლმა ქართველობა აამხედრა,
მთელი საქართველო განწმინდა.
მთელი საქრთველო შეაერთა,
ქუჩები შემოსა ძაძებით
და დღეს მორწმუნეთა ვეღარ იტევს,
მამა-პაპეული ტაძრები.
სანთლები გლოვა და განცდაშია,
ტირიან ქაშვეთის კედლები,
(უმწეო მლოცველებს გაუსწორდნენ,
ბოღმით გაბერილი „დედლები”).
სული გვიტირის და ამ ყოფაში,
განცდა განუზომლად მძაფრია,
გველის ენები კი ჩვენს ჭრილობებს,
ურცხვად ზედ მარილსაც აყრიან.
ალბათ სურვილი აქვთ შიშვლად დაგვრჩეს,
დაღი ცხრა აპრილით დასმული,

მიტომც მოამზადეს ასე კარგად,
მძივად ტყუილები ასხმული.
და, რაკი ასეა, დე, ქართველებს,
ნურც მოგვშუშებოდეს იარა,
მდაბალს გავუსწორდეთ ღირსეულად,
ბრძნულად, აჩქარებით კი არა.
მდაბალს ვაჟკაცობით ვუპასუხოთ,
მტრის წინ დავიოკოთ განცდები,
ტკივილს ნუ შევჩივლებთ არაკაცებს,
თორემ თანაგრძნობას ავცდებით.
როგორც ცხრა აპრილის წმინდა დილას,
ყველას ერთი გვენთო ლამპარი,
როგორც ვლოცულობდით მუხლმოყრილნი,
უფლის სიყვარულით გამთბარნი.
მუდამ ქართული და დიდებული
დროშის ჩრდილქვეშ ვპოვოთ საფარი,
(ერი თუ იჩოქებს მტრის წინაშე,
ციხე შიგნიდან არის გამტყდარი).
ერთგულთა სიმრავლის იმედი მაქვს,
სიწმინდის – ქართული ბუნების,
ღმერთი ჩვენთან არის! ის დაგვიცავს
ბოროტი კლანჭებისგან ცდუნების.
მაშ, ნუ შევილახავთ, მამა-პაპის
სისხლით გადმოცემულ ღირსებას,
მახვილით განვგმიროთ ორპირობა,
ვახაროთ სითბო და თვისება!
მტერი ავსული და პირშავია,
ბასრი აქვს ძლიერი ეშვები,
სატანის ჩინებით შემკულია,
მისი მკლავები და ფესვები.
თვალებში ჩახედავ, დაინახავ
ალბათ „სიდიადეს" წყვდიადის,
თუმცა, ამ ბნელეთმა ვერ დათრგუნა
ქართული ბუნება – ზვიადი.
მაინც დაცალების შიშით ვორთივარ,
სიმდაბლის ბევრია მქმნელია,
ღმერთო, რატომ არის შინაურიც
მოქმედებს, ვითარცა მტერია.
ან რატომ ზეიმობს უკეთური,
რატომ ითგურნება სიკეთე,
რატომ ბოროტება მხრებს იშლის და
ბუდეს ჩვენს შორისაც იკეთებს.

რატომ? – საქართველოს წილი მიწა,
უცხოთ დავუმტკიცეთ საკუთრად,
რატომ? – მოწოდებებს მუვეჩვიეთ,
შრომა აღარავის არ უნდა.
რატომ გაგვიმეტეს ასე ძლიერ,
რატომ დაგმეს გრძნობა უმანკო,
რატომ მოგვიწამლეს სული ჩვენი,
სული უმწიკვლო და უნაკლო.
რატომ დავისაჯეთ ასე მკაცრად,
ღვთის წინ რაში გვიძღვის ბრალია?
განა ეკუთვნოდა საქართველოს –
„მეფეც", „ვეზირებიც" მხდალია?!.
რატომ? რატომ? რატომ? – ისმის კითხვა,
ო, რა ბევრი „რატომ?" გვქონია,
ვაი, რაც ვთქვი მხოლოდ წვეთი არის,
მე კი ოკეანე მგონია...
ჯანღი გადაჰკვრია ცის კაბადონს,
ბნელით მოცულია სიმართლე,
ღმერთო! შენ გვიშველე
მრავალტანჯულთ,
ღმერთო! მოგვიბოძე სინათლე!!!
1989 წელი. ივნისი.

ადამიანო!

ადამიანო! სუსტი ხარ მაგრამ,
ეცადე, ცოდვა არ ჩაიდინო,
მერე, ვინ იცის, შენი სისუსტით
იქნება ბევრი ააქვითინო.

უსასრულოა მთელი სამყარო,
ამოუცნობი კაცის ბუნება
და ყველა გულის სიმყუდროვეში
ჩამალულია დიდებულება.

ნუ ჩაეშვები თავით წუმპეში,
ის ღირებული აღმოაჩინე,
გადაარჩინე სული სიკვდილს და
გაჩენის არსიც გადაარჩინე.
2003 წელი. აგვისტო.

ნიავქარივით მიჰქრის ცხოვრება

ნიავქარივით მიჰქრის ცხოვრება,
ბოლო არ უჩანს დახუნძლულ ფიქრებს,
ერთი წამის წინ უბედურ მოკვდავს,
ბედნიერება სიხარულს მიკმევს.
ხან ცრემლის წვიმა თქაშუნობს ფეხვეშ,
ხან მზის ღიმილი მინათებს გზა-კვალს,
ხან სიხარული გაუცხოვდება,
ხან გრძნობის სითბო ეღვრება მარცვალს.
ხან სინდისს უჭირს, ხან უსინდისოს,
ხან სიმართლე სჭრის, ხანაც ტყუილი,
ხან გაყიდული სამშობლო კვნესის,
ხან გამყიდველის ისმის ღმუილი.
ხან უსამართლო სისხლი იღვრება,
ხან გონიერი უსისხლოდ იბრძვის,
ხან ერთის ჭკუა სანატრელია,
ხან საბადოა გარშემო სიბრძნის.
ხან დამნაშავე ტკბება დღის შუქით,
ხან მართალია იქ, სადაც ბნელა,
ხან მუხთალ სულში სიკეთეს ვეძებთ,
ხან ერთგულს უღვთოდ ზურგს ვაქცევთ ყველა.
ხან იბადება სიცოცხლე, კვდება,
ხან სიზმარივით ხდება ოცნება,
ხან მოშუშდება ჭრილობა უმალ,
ხან საუკუნოდ არ შეხორცდება.
ხან სიძულვილი დაფრთიანდება,
ხან სიყვარული იმკის მოსავალს,
ხან თავს დაუხრის კაცი ცხოვრებას,
ხან თავადა სჭედს ბედს და მომავალს.
ხან დიდებული გათრობს სურნელი,
ხან ყარს გარემო – სული კნინდება,
ხან ჩაიმუხლებს ღირსების გრძნობა,
ხან სამართალი აბიბინდება.
ხან დაეცემი მწარედ მიწაზე,
ხან ზეცას გწევენ წმინდა ფრთოსნები,
ხან გატეხილი სიტყვა დაგსეტყვავს,
ხან სიტყვის ხიბლით შეიმოსები.
ხან უძღებია კაცის ბუნება,

ხან ვიღაც წვეთის არს მადლიერი,
ხან აღზევდება ნიჭიერება,
ხან გენიოსი კვდება მშიერი.
ხან მელოდიით კურნავენ დარდებს,
ხან ტყუილია სიმღერა დიდი,
ხან პირში მთქმელი გვყოლია მტერი,
ხან მეგობარი გვგონია ფლიდი.
ხან გაუმართლებს კაცს სახელიანს,
ხან, უფრო მეტად, ბილწსა და წყეულს,
ხან დაფნის გვირგვინს ადგამენ უღირსს,
ხან, იშვიათად, ერთგულს და რჩეულს.
ნიავქარივით მიჰქრის დრო-ჟამი,
ბოლო არ უჩანს დახუნძლულ ფიქრებს,
ხან ცრემლის წვიმა თქაშუნობს ფეხქვეშ,
ხან მომავალი ვარსკვლავებს გვინთებს.
და ამ ცხოვრების ორომტრიალში
დაძრწის სიკვდილი, იბრძვის სიცოცხლე,
მწამს, იზეიმებს სიმართლე მარად,
ვიდრე სიკეთის ძალა იცოცხლებს.
ვიდრე მომავალს შევყურებთ რწმენით,
სხვის განსაცდელში ჩვენს ტკივილს ვხედავთ,
დაუცველისთვის უკან არ ვიხევთ,
მადლის და სიტყვის შეწევას ვბედავთ.
ვიდრე საყდარში იწვის სანთელი,
არ დაშრეტილა სინდისის წვეთი,
გამოიდარებს, გამარჯვებისკენ
გზას გაგვინათებს უფალი ღმერთ

30. V. 2004 წელი

სწორედ ის მზარავს

სულის ძარღვებით მდიდარი კაცი
მტლად დასდებია ერის ჭირ-ვარამს,
ასეთი კაცი რომ იკარგება,
რომ ვერ ამჩნევენ, სწორედ ის მზარავს.
ასეთი ღვაწლი რომ იღვენთება,

წვეთობით უნდა ვკინძავდეთ ღვთის მადლს
და ვუღიმოდეთ მთელი არსებით,
უფლის ბოძებულ ბედსა და იღბალს.
ჩვენ რას ჩავდივართ? ვახვევთ შხამ-ქსელში,
ვგუდავთ უღმერთოდ, უსისხლოდ ვგუდავთ,
ჰოდა, ქვეყანას ახლა ძარღვებში,
სისხლის მაგივრად ბალღამი უდგას.
ის ღირსეული კი იღვინთება,
წლებით ივსება დროის ფიალა,
ფუჭად დაღვრილმა ოქროს წამებმა,
ჩარხი უკუღმა დაატრიალა.
ახლა დუმილი არასწორია,
არ უნდა ჩავკლათ მომავლის რწმენა,
სამშობლოს ტაძარს სჭირდება სული,
გვეყო სიჩუმე და ჭირთა თმენა.
20. VI. .2004 წელი

გიორგი მინდელს

ღმერთი გფარავდეს, ჩემო ბიჭუნავ,
უფლის ანგელოზს მიჰყევი კვალად,
ღვთის მადლის ნათლით განათლებული
სისხლი გიდუღდეს ძარღვებში ძალად.

შენ ქართველობა ძღვენად გებოძა
და გაწევს მხრებზე უდიდეს ვალად,
სულ ახოვანი, სულ წარბგახსნილი,
სულ მომღიმარი მენახე თვალად.

სიწმინდე იყოს დიდი ნათლია
და არსებობის არსი სიმართლე,
ნუ დაეცემი, სულით ამაღლდი,
თავად მოგძებნის ხოლმე სინათლე.

განათლებული ადამიანი
თავმდაბლობით არს გამორჩეული,
მირონი გცხია, არ დაგავიწყდეს,
რომ გიორგი ხარ, რომ ხარ რჩეული.

ღმერთი გფარავდეს, ჩემო გიორგი,
უფლის ანგელოზს მიჰყევი კვალად,

შენ ქართველობა ძღვენად გებოძა
და გაწევს მხრებზე უდიდეს ვალად.
14. X. 2005 წელი
სვეტიცხოვლობა

(და გაირინდა სამყარო წამით)
(მეუღლეს)

ფერების ალში ეხვევა ღამე,
ცეცხლის ქარბუქი მძვინვარებს მთებში,
მე შენ მიყვარხარ, შენ გელოდები,
შენი სიცოცხლე ღუღუნებს ჩემში.
ზეცის კალთაზე კოხტაობს მთვარე
და შარიშურობს სიო ფოთლებში,
ვარდის სურნელში ნებივრობს ეზო,
მე გელოდები ახლა რომელშიც.
დღეს გელოდები, დღეს მიგრძნობს გული,
შენზე უსაზღვროდ შეყვარებული,
რომ მე ვიცეკვებ, ამ ეზოს გულში,
შენს ძლიერ მკლავებს შეფარებული.
რომ ავივსები გრძნობის ქარ-ცეცხლით,
ალმოდებული ღამის ფერებით,
და, ფოთლებში რომ დაშარიშურობს,
იმ ნიავივით მოგეფერები...
ვარდის სურნელში ნებივრობს ეზო,
დაცვარულია ბალახი ნამით,
ჩემი თვალები შენს თვალებს შეხვდა,
და, გაირინდა სამყარო წამით...
5. VII. 1993 წელი

თითი მშობელს მიანდო

ღობის ძირში, მაყვლის ბუჩქთან
ბავშვი ვნახე, რა ბავშვი,
ხელს ეკალი ეამბორა,
შესთავაზა თამაში.
მას კი თვალნი აუცრემლდა,
გაუვარდა კალათი,

სისხლის წვეთი დასრიალდა,
დაუსვარა ხალათი.
გაებუტა მაყვლის ბუჩქებს
სახლისაკენ გაქანდა,
ის ტკივილი, საშინელი,
დედის კოცნამ გაფანტა.
ჩაუგორდა კალთაში და
თავი მკერდზე მიადო,
მალე მშვიდად ჩაეძინა,
თითი მშობელს მიანდო.

20. VII. 1999წელი

კაცს გამარჯვების რომ სჯერა

კაცს გამარჯვების რომ სჯერა,
ღიმილის საბაბს იბედებს,
ვისაც წაქცევა არ უყვარს,ა
მწამს, აისრულებს იმედებს.
კაცს გამარჯვების რომ სჯერა,
მარცხის ამსახველ სურათებს
არ აღრღნევინებს გონებას,
რწმენა ცხოვრებას უნათებს.
კაცს გამარჯვების რომ სჯერა,
გზა თითქოს მისთვის ხსნილია,
ყველა ლამაზი სურვილი,
ნახევრად ახდენილია.
კაცს გამარჯვების რომ სჯერა,
მწამს, გამართლების ღირსია,
ოცნებებს ფრთებს ვინც შეასხამს,
სიმაღლეებიც მისია!..

1. VII. 1998 წელი

ლერი ნოზაძე

ფინანსებისა და აღრიცხვის
დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

ცირა ბლუაშვილის სხოვნას

ვანთებ სანთელივით ტკივილს – მოგონებას –
კრძალვით მომაწოდეს დებმა – გოგოებმა.

სითბოდ უსაზღვროდ და დარდად უსასრულოდ
გულში ჩაგვრჩენილხარ რითმის სულთა-სულო!
განცდა – წმინდაა და გვმატებს შემართებას.
ჯერ მცირედ გისტუმრებთ, - ბევრი გვემართება:
ცრემლი, - მირონივით რომ წააცხე ნაწერს,
აგვალაპარაკებს შენ ფიქრსა და ღვაწლზე.
და წრფელი წამები აამაღლებს სივრცეს
სადაც ბევრს უყვარხარ, სადაც ბევრი გისმენს.
სად კრიალა ნაკადს ობოლ მარგალიტის
მოძებნი და წამსვე შეერევი სიტყვით.
...შენ ცაში ხარ ახლა. აქედან რას ვიზამთ?
მაგ შენ ლამაზ სახელს დავამკვიდრებთ პრიზად.
სულის ამაღლება ხარ და იგიზგიზებ
ძგერიდან – ძგერამდე ... და სიმიდან – სიმზე.

01.05. 10

მე ვარ ჭურჭელი ასეთი ფორმის.
მამა-ვახომ რომ ინება შექმნა.
და კიდევ ორი
კავშირით შორით
დამაახლოვა განგებამ მერქანს.
        გამოდის, დამაქვს მე ვალი სამი.
        რასაც ნელ-ნელა ლაღად ვისტუმრებ.
        გამოხუხებულ ვახოთი – ცხადი
        ფუნქციით ვიკმევ გენთა სისრულეს.
ო, ამ ბიო-ვალს როდის მოვრჩები...
თუმც, ეს ხომ უნდა გადავავლო!
როს გაჩნდებიან ირგვლივ ნორჩები
მანამ, მე ვიდრე გაღმა გავალ როო...
        მეორე ვალი - სიამაყეა
        სრულიად ყოფის, ღირსთა ფერების
        და რომ ვრჩებოდე, და რომ ვჩემობდე
        და ვგრძნობდე სიღრმეს უკვდაველების...
„კვალით ნათელით“, „წიგნით – სანთელით“
ხამს კიდევ შევძლო შემოძახება!-
რწმენით, - რაც ცოტას მოვითლი ჩემთვის,
უკვდავსაყოფად მეტი დარჩება.
        მესამე ვალმა, მსგავსად მეორის,

მასთან, უწყვეტმა, ჩუმმა, გულსევდამ,
გადასახდელმა სიცოცხლეშივე
ისეთად, - ღირსთ რომ სულში უსხედან...
თითოეულსა და ყველას ერთად
გამოსარჩევად მისეულ ფერთა,
თანამშრომლობის გზაზე რჩენილმა –
ისე შეგვავსო და შეგვაერთა,
თითქოს ამისთვის გვედგას სულები.
და ჯერ შორს ჩანდნენ დასასრულები.
ვით სიკვარცხლბეკე ნამსახურების,
ისე საღია, ისე უბრალო..
ჩემი ადგილი ამ სიმდაბლეში...
სიმსუბუქისთვის გმადლობ უფალო!
განა საგულე წყურვილს რამე შლის!...
უკეთუ გულსა დარჩა რამე შინ –
უნდა სულ გარეთ გამოიტანოს!
ნურც შეაჩერებ ასე დაგეშილს.
ამ შვებისათვის გმადლობ, უფალო!
- შეშვებისთვისაც სიანკარეში.
ამიტომაც ვარ ისეთი ფორმის
მამა-ვახომ რომ ინება შექმნა.
რათა მშვიდად და რათა უბრალოდ
დროდადრო მსგავსი საქმნელნი მექმნა.
რათა მშვიდად და რათა უბრალოდ
დროდადრო მსგავსი საქმნელნი მექმნა.
09. 05. 10

* * *

რაც უფრო ბუნებრივად ვიქმთ, -
გარშემო ვტოვებთ მეტ კვალსა.
ო, ჯანი როგორ მიაქვს ფიქრს...
გვსპობს, როგორც ჟანგი მეტალსა.

ნურაფერს იტყვით ბევრს, ჩემზე
თვალში გეცემათ რაც დამღა.
ნურც დითირამბებს ინებებთ,
ანუ, მხცოვანის გადაღლას.

ესა თქვა ისე სიწრფელით
ზე-სიმშვიდითა და ლაღად...
გადაეფინა ნათელი,

დაჯდა და უფრო ამაღლდა.
26. 09.10

* * *

ისე დამარხვდა, წესიერად ვერ შევისრუტე
ცხოვრება, - ვისთვის შარბათი და ...
და ვისთვის – ტუტე..
კაცი მაშინ ხარ, - შეება და ღირსად ატარო
ხვდომილი ტვირთი
და დროდადრო ცად გაატანო
ცხოვრების ფრინველს
გასაზომად შენი სიმაღლის.
რომ კიდევ უფრო მეტად იქცე
მკვიდრთა მიბაძვით!

* * *

ერთ საქართველოში ორი შენნაირი
(ჩემი არ იყოს!) - ბევრია!
იმყოფებოდნენ უნდა ჩეროში,
თაკარ მზეში რომ ვერ ვლიან.

განსხვავებას კი .... მაინცა ვხედავ
სიარულის დროს – ნაპირზე –
არც შენ აპირებ ხმის გაღებას და
მეც დანა ტყუილა გავპირე.

მე მართალი ვარ. სხვა ნათალი ვარ.
ყველა კანონის თანახმად.
ორგან ეთესა ყანა მავანს და ...
ა! – მხოლოდ ერთგან გადახმა!

საიდან მოდის, ნეტავ ვიცოდე
ასე ალალი აზრები?
ისე ვბერდები, ხელს არ მჭერია...
რითმაში ჯდება – ვაზნები!
07. 11. 09

* * *

რაღაცას ისეთს ჩავიდენ, -
მიწაში ლაღად ჩავიდე.
ჯერ კი... შუაგულ დარდებში
როგორც ყულფსა თუ ბადეში
ისე გამაბა განგებამ –
არც ძალა მაქვს და არც ნება
გადახრის, განზე განდგომის...
არც ყოფის, არცა მთავრობის!
ამიტომ, ისეთს ჩავიდენ, -
მიწაში ლაღად ჩავიდე.
.... და რასაც კრძალვით ვეპყრობი,
სხვაც ეპყრობოდეს კრძალვითვე!
რაღაცას ისეთს ჩავიდენ....

15. 11. 09

* * *

ისე მისად უთხრა ისა, -
ლამის დაასაჭურისა.
მანაც აღარ დაახანა, -
შეახსენა ჰარამხანა.
ხოლო მე მათ დანახვაზე
მოვინატრე სხვა ცა, სხვა მზე.
ცამაც ისე დაიქუხა,
რომ გააპო სამი მუხა.
.....
მხოლოდ ღვაწლით მოიყრები
ღირსეულად, კაცად, სრულხნად.
ამიტომაც, იშრომე და ..
განერიდე სახეს მწუხარს!

07. 11. 09

როლანდ სინატაშვილი

უნივერსიტეტის ყოფილი
თანამშრომელი

* * *

სიმართლეზე მსურს დავწერო ლექსი
სიმართლეზე მსურს ვთქვა ჩემი სიტყვა
სიტყვა იყოს აწყობილი, მარდი,
ლექსი იყოს,-სიხარულის დარდის
ლექსი იყოს გაღვიძების, ბრძოლის,
დრო გავიდა უაზრობის, წოლის.
ეს მოყმე რომ უსაქმურად დადის,
ვერა ხვდება? რო არ უცდის,-გარბის.
დედამიწა ორბიტაზე ბრუნავს,
უძლიერეს კაცს აბერებს,-ღუნავს.
ის ცხოვრება-ისე იონ
ეს ცხოვრება-ასე არის,
ზოგი კაცი-ზე, იწევა,
ზოგი კიდევ,-დაბლა ჩადის
ზოგი გამძღარ, გაბერილი,
ზოგი კი ენატრება ჭადი.
თანამდებობას ვინც ჰკარგავს,
ოპოზიციაში გარბის...
ხელისუფლებას მილანძღავს
მოსყიდული ძუკნა, ხვადი.
მამულს სითბოს თუ ვერ ჩუქნი
რადღა ცოცხლობ? წადი! წადი!
რა ფასი აქვს ლამაზ სიტყვას,
ლექსის წყობას, მარცვალს რითმას?
ჩემი ერის საფიქრალი,
გულის დარდი თუ არ ითქვა,
თუ არ ითქვა, რატომ მოკლეს,
ყიფიანი, ჭავჭავაძე,
იქ ზვიადი, და მერაბი,
დიდი ცოდვა მხრებზე გაძევთ,
თითებს სხვისკენ ნუ კი იშვერ,
შენც ხარ დიდი დამნაშავე,
დამინგრიე საქართველო,
აქეზებდი მტრებს და შავებს.
რუსთა თარეშს, ბოროტებას
შენც ხელს უწყობ მაგ ყიყინით,
შენ! სუფთა ხარ!-უბადრუკო,
ვერაგობის შენც გაქვს ჟინი.
თავდამსხმელი, მოღალატე,

პიდარასტი, კაცის მკვლელი,
ქურდი, ხარჭა, ნარკომანი
მახინჯები, დებილები.
განვიწმინდოთ უნდა მათგან,
საჭიროა ცვლილებები.
არა!-უცხო აზროვნებას!!
არა,- უცხო დინებები!
ვნატრობ, და ღმერთს ვევედრები
ქართველების ერთად დგომას,
შერიგებას, მტრის მოსპობას,
გამარჯვებას და აღდგომას!
მტკიცე ოჯახს სრულყოფილი,
ბურჯად ედგეს პიროვნება,
სასახელო შვილებს ვზრდიდეთ,
იყოს ღმერთის, ჩვენი ნება.
qar Tvel i da saqar Tvel o ,
დამილოცე ღვთისმშობელო,
უკვდავი ჰყავ ჩვენი გვარი!
საქმე ჩვენი სასახელო!

***

მოსპობა, ნგრევა
გადაშენება
სუყველა იმას -
ვინც ბინძურ ხელით
ეპოტინება,
ჩვენ ქართულ მიწას!
უბედურება თავზე დაატყდეს,
ფეხი გაუხმეს -
ქვეყნის დაცვისთვის
ვინც არ მოვიდა,
როდესაც უხმეს!

იცოდეთ! გახსოვდეთ!

1956წ. 9 მარტი!

ცოცხალ ი. სტალინს ვერაფერი დააკლეს სხვადასხვა რჯულის მყეფარებმა. მიცვალებულზე იყარეს ჯავრი. მერე ლ. ბერიაზე იყეფეს, მერე შ. რუსთაველის ღირსეული მამულიშვილების და ჩვენი საამაყო გმირული

წარსულის დამდაბლება-დამცირება მოინდომეს. რუსულ ქოფაკს ეროვნული უმირესობის უჯიშო, ქეციანი ლეკვები აყვნენ... (მაგ: მნაცაკანიანი...)

ღორისადმი ნ. ხრუშჩოვის ბრძანებით და რუსეთის (სსრკ) ხელშეკრულების თანხმობით, რუსეთის ბანდიტურმა ჯარებმა სასტიკად დაარბიეს მშვიდობიანი სამშობლოს მოყვარული ქართველი ახალგაზრდები. დახოცეს ავტომატებით, ხიშტებით (150-მდე ადამიანი) ბევრი დაჭრილი მტკვარში გადაყარეს. ჩვენც - მე, ლევან ბაქრაძე, ოთარ ურუშაძე, 53-ე სკოლის მე-9 კლასელი ამხანაგებიც იქ ვიყავით, ვნახეთ, გადავრჩით, ვერ დავივიწყებთ, არ ვაპატიებთ.

ვერ მოუშუშა კრემლის მთავრობამ,
ქართველს ტკივილი და იარები
სასტუმრო "თბილისს" დღესაც ატყვია
რუსეთის ჯარის ნატყვიარები.
ამ დღეს თბილისში უდა ისმოდეს,
რწმენის, იმედის, ხსოვნის ზარები,
არასდროს უცხოს აღარ გაუღოთ,
გული, საზღვარი, სახლის კარები!
მოსკოვში რუსის სისხლი დაიღვრეს
როგორც თბილისში ქართველთა სისხლი
იქნებ მას შემდეგ მიხვდეს დამპყრობი
[მართალ სიტყვის თქმას ვერვინ დაგვიშლის]
რაოდენ მძიმე დაგვრჩა ტკივილი.

1959წ.

რა არის ნატვრა სინატაშვილთა ყველა ღირსეული მამულიშვილთა?

საყოველთაო სამხედრო სამსახურმა რუსის ჯარში მეც მომიწია. 1956 წლის შემდეგ ჩემი თაობის ბიჭებს რუსიც შეგვძულდა და მისი უსამართლო, მოძალადე ჯარიც. მაინც არ დავმალულვარ. წავედი... სამორიგეო ნაწილში მორიგეობისას ვახე კედელზე გაკრული დიდი რუქა, რომელსაც რუსულად ეწერა СССР(სსრკ) ხოლო მათი იმპერიის დედაქალაქი წითელი ხუთქიმიანი დიდი ვარსკვლავით იყო გამოსახული, წარწერით- Mockva(მოსკოვი) არც ჩემი სათაყვანებელი საქართველო, არც უკრაინა, ბელორუსია, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი,

მოლდავეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ინგუშეთი, ჩეჩნეთი და არც სხვა(არის რუსეთი და მორჩა...სხვა არავინ!) ყველაფერს მყრალი, მძიმე ჩექმა და მძიმე ბნელი ბურუსი ფარავდა. როგორ უნდა სცე პატივი და მეგობრად ჩათვალო ასეთი რუსეთი?!

ვზივარ მარტოკა აქ მაგიდასთან,
შუქი დამნათის მე, ელნათურის,
მხოლოდ ნუგეშად, აქვე, მახლობლად
წიგნი მაქვს ქართული ლიტერატურის.

მარტო? რად მარტო? ჩემთან არიან
დიდი ილია და სხვა წმინდია,
მანუგეშებენ, რწმენას მმატებენ
იმედს მაძლევენ, ცრემლსა მწმინდიან.

ქართველი ხალხი არ გაჩერდება -
ქართველი ხალხი იბრძოლებს მუდამ!
მსოფლის რუქა ელის შენს სახელს!
ჩემი ნატვრაა, და ღმერთს ეს უნდა!
ძალიან მიყვარს ჩემი სამშობლო,
როგორც სიცოცხლე, შვილი და დედა,
ავამაღლებთ და ჩვენც ავმაღლდებით,
უკვდავება და დიდება შენდა!

1960

თბილისს

მკვდარ ქალაქად გადაქცევას,
ახლაც ნატრობს ზოგიერთი,
ავ მზრახველებს, მტრებს, ჯაშუშებს,
ჩვენ თუ არა – დასჯის ღმერთი.
ჩემო თბილისო, წვიმაა
თუ თვალში ცრემლი მადგება,
რად გინდა ისეთი შვილი,
შენ თუ არ გამოგადგება.
თოვლი მოსულა, თუ თმებში
ჭაღარა გამომერია
მე სიყვარულში თბილისის
ვერავინ ვერ მომრევია.
ეს დედამიწა გუგუნებს
თუ ჩემი გულის ძგერაა

წარსულის მოგონებაა
თუ, – მომავლისკენ მზერაა.
ნამდვილ ქართველთა რწმენა ხარ
დიდებით საგალობელი,
საბრძოლო დროშა ფრიალა
და მტრისა დამამხობელი.
ჩვენი ქართული დროშა ხარ,
ერის ფარი და მახვილი,
არასდროს არ დაგვენახოს
ეგ დროშა დაბლა დახრილი.
ეს არის ჩვენი ქალაქი,
ჩვენი ქართული დიდება
ხვალინდელი დღე დიადი,
ნათელი მზით რომ ბრწყინდება!

ჩვენი თბილისი

ვის ვადარო, რას ვადარო
დალოცვილი ჩემი მხარე,
საქართველო, მარგალიტი,
მზის სხივებზე მოელვარე.
გადახედე საქართველოს,
განახლებულ დედა – თბილისს,
იზრდება და ლამაზდება,
მხრებსა შლის და სახეს იცვლის.
<u>უცხო სახელს ნუ დაარქმევთ,</u>
<u>ამ მშვენიერ ქუჩებს,</u> სახლებს..
ქართულ ტაძრებს, სიწმინდეებს
დაუბანელ ხელს ნუ ახლებთ.
მოიშორეთ თავხედობა,
უზნეობა და ტკივილი
<u>წმინდა ქართულ მეტყველებას</u>
მოაყოლეთ თან ღიმილი.
ayvaveba, dRegr Zel o ba,
deda qal aqs, deda enas
gaumar j o s saqar T vel o s!
gaumar j o s Cvens mar j venas!
2010

* * *

სულით, სხეულით, თავგანწირულნი
ერისთვის მხოლოდ ვიბრძვით რჩეულნი,
samSo bl o ჩვენთვის სალოცავია,
და მორჩილებას არ ვართ ჩვეულნი.
თქვენით ვამაყობთ ქართლის შვილები
ფარნაოზ, ქუჯი, დავით, ილია..
T u saqar T vel o kvl av saqar T vel o bs,
Seupo var no , T qveni wvl i l i a.

იზო ღონღაძე

უნივერსიტეტის სამეცნიერო
ბიბლიოთეკის თანამშრომელი.

მუხრან მაჭავარიანს

არგვეთში კაკლებს ფესვი შეერყათ
და აღარ ისმის შრიალი ხეთა,
ლაშურამ უკვე საყვედურს უკლო,
იზვარამაც კი ჩაიგდო ენა.
ყვირილამ – ყვირილს მეტად უმატა
ამ ხმაში სევდა უფრო მძლავრია,
მოგლიჯა მდელო, გაავებულმა
და იმერეთი მთლად გადარია.
ჯერ ახალგაზრდა ჭაბუკი, ბიჭი
“ჩვენებურების” ისმენდით ნათქვამს,
ხედავდით გლეხი ჭრიალა ურმით,
რომ აშურებდა საჩხერის ბაზარს.
გამზრდელი დედა, თქვენ ვინაც გშობათ
ჩვენც გვასწავლიდა სიტყვის თქმას მართალს,
ამდენი სითბო, რომ ჩაგაქსოვათ
უნდა ვუმადლოთ, ქალბატონ თამარს.
მე ეს ქალაქი მიყვარდა თქვენით
და მშვიდად ყოფნა მინდოდა მუდამ,
ლექსი დატოვეთ ხალხის დამცველად

ერის ტკივილო, ბატონო მუხრან!
პირში ბურთივით ჩაგეჩრათ სიტყვა
სხეულმა იწყო ფერისცვალება,
ამას ხომ სიკვდილს ჩვენ ვერ დავარქმევთ
მოდი ვუწოდით გარდაცვალება.
მთაწმინდის მიწამ გულში ჩაგიკრათ
შემოგეგებნენ რჩეულნი მთისა,
ერთად დადგებით და კარგად მესმის,
რომ დამცველი ხართ, უღრუბლო ცისა.
ბუმბერზი ხართ, თქვენით ვამაყობთ
ყველა ქვეყანამ გაგიცნოთ კარგად,
კაცური გულით იცხოვრეთ ქვეყნად
და კვლავ დარჩებით, ყველასთვის კაცად!
22. 05. 2010

აღსდექი დავით

ჰაი დედასა, ვინ გაკადრა შენ საქართველოვ
ჰაი დედასა, ვერ დაგიცვა მამულო ჩემო,
სად ხარ გიორგი, დემეტრე, თამარ
დავით აღსდექი, გვჭირდები – ღმერთო.
გონება, ჭკუა, გამჭრიახობა
გონივრულ აზრით გადაჭრა საქმის,
ვინ გადაგვარჩენს, ვინ გვიერთგულებს,
ვინ, თუ არა თქვენ, ბატონო დავით!
არაფრისათვის იღვრება სისხლი
ჩვენს საკუთრებას დაღმუის "დათვი",
იქნებ როგორმე გადაგვარჩინოთ,
შეგვინარჩუნე მამული – დავით!
გელათის მიწა ვიცი რომ გმინავს
და ოხშივარი ამოსდის დარდის,
ვიცი, რომ გიჭირთ, ძვლებს ვერ ასვენებთ
რადგან სიმშვიდე არა გვაქვს – დავით!
ყველა იჩემებს, რომ ვარ პირველი
და იბრალებენ გაძღოლას ერის,
ქრთული მიწა ცრემლად იღვრება
რადგან არა სწამთ არავის ღმერთის.
ვტირით მეფეო, ცრემლად ვიღვრებით
არ შეიძლება მეტის მოთმენა,
უნდა გერებად გვაქციონ ჩვენ და

და “მამინაცვლებს” დარჩეთ ცხოვრება.
საქართველოში მოსული მტერი
ბევრჯერ განდევნეთ მუქარა – დავით,
მოდით და ერთხელ კიდევ გვიშველეთ
კვლავ აღგვიდგინეთ მამული – დავით!.

09. 01. 2010

რა ლამაზად ჩახატულა ჩემი ზეცა

რა ლამაზად ჩახატულა ჩემი ზეცა
აგერ წყარო მოჩუხჩუხებს წმინდა,
გული არსად არ მიმიწევს ჩემო მხარევ
შენთან სულში ჩახუტება მინდა.
რომ წავიდე უკეთესი სად ვიხილო
“ხელის ჭუჭყში” შენ ვერ გაგცვლი, ვფიცავ
არად ვაგდებ არ მჭირდება მე სიმდიდრე
სიყვარულს კი, დარაჯივით ვიცავ.
ვის ვეფერო, თუ არა შენ ჩემო კარგო
ჩემს სამშობლოს და სალოცავს არა?
მაშინ ტყვია უმჯობესი იქნებოდა
და სხეული დამიჯიჯგნოს ყვავმა.
აღორძინდი უფრო მეტად, ჩემო ტკბილო
მტრების გული დაანარცხე მიწას,
მოღალატეს და ავისმქმნელს გაუმკლავდი
ის ღმერთისგან განწირული იქნას.

02. 07. 2010

როგორ სწრაფად გამიფრინა წლები

ეს ლექსი ეძღვნება ჩემი შვილიშვილების, სალომე ქიმაძის და გიგა ჩოქურის პირველ მასწავლებელს, ქალბატონ დოდო დანელიას. მასწავლებელი ყოველთვის იყო და არის ის პიგმალიონი, რომელიც ოჯახის გარეთ მშობლად გვეგულებოდა. ასეთია ქალბატონი დოდო. მზრუნველი, განათლებული და შემართული, ბავშვების გული და სული.

როგორ სწრაფად გამიფრინდა წლები
ყველაფერი თითქოს გუშინ მოხდა,

უსუსური ჩაგაბარათ დედამ
ჩემი თავი გასათლელად მოგცათ.
მრუდე ხისგან გამომთალეთ ძელი
და მასწავლეთ სიყვარული ერის,
ჩემო ტკბილო, ქალბატონო დოდო
იცოდეთ რომ რჩეული ხართ ღმერთის.
მასწავლებლის საპატიო სიტყვა
თქვენმა სითბომ შემაყვარა მეტად,
ვისურვებდი და ხმამაღლა ვიტყვი
თქვენნაირი ბევრი იყოს ნეტავ.
დიდი სხივი წამოსული თქვენგან
თითოეულს გულზე მოგვფენია,
თქვენს სიყვარულს სხვას ვერ ვუწილადებ
ქალბატონო, დოდო დანელია.
დამცველი ხართ და მეორე დედა
მოციქული უდიდესი სიბრძნის,
სიყვარული და სიცოცხლე ჩვენი
მტარებელი სხვაზე მეტი გულის
გამოგვზარდეთ, ფრთები გაგვიშალეთ
აი უკვე სხვას გვაბარებთ ახლა,
დარიგებას და ბრძნულ გამონათქვამს
ჩავიბეჭდავთ, თან ვატარებთ საგზლად.
ერთი მინდა მოკრძალებით გთხოვოთ
ჩვენს შესახებ აუხსენით ყველას,
თუ კი ვინმე შეგვიყვარებს თქვენებრ
მას ღალატი არ ექნება ჩვენგან.
გაიხარეთ, თქვენ იცოცხლეთ დიდხანს
სანამ მტკვარში წყალი დაგვლევია,
მეგობრებო, მოვეფეროთ ერთად
მასწავლებელს – დოდო დანელიას.

27. 02. 2010

წიგნის სიყვარული
(ეძღვნება ბიბლიოთეკის დღეს)

წერენ და თხზავენ, არ ისვენებენ
მეცნიერება კვლავ იპყრობს მწვერვალს,
სწორედ წიგნია ამის მიზეზი
გზას, რომ გვიკაფავს და გვაძლევს ხედვას

ჩვენ თუ დღეს კიდევ რამეს ვაკეთებთ
ეს ყველაფერი წიგნისგან ვიცით,
წიგნმა გვასწავლა ავი, თუ კარგი
წიგნია ჩვენი მშობელიც, შვილიც
და მის სიყვარულს, როგორ უარვყოფთ
მამა – პაპური სიბრძნე დევს მასში,
კომპიუტერმა შეცვალა, მაგრამ
წიგნმა ასწავლა მის შემცვლელს მაინც.
ომში იბრძოდნენ და ოცნებები
არ ასვენებდათ მშობლიურ მიწის,
ქართველ მებრძოლებს საველე ჩანთით,
ღრმა სიყვარულით დაჰქონდათ წიგნი.
მან აპრილის თვეს სიცოცხლე დათმო
მისი ხმის კილოს, მთის ედო ვალი,
ლექსებს წერდა და წიგნად კინძავდა
ომით დაღლილი, ყრმა გელოვანი.
საუკუნეებს ითვლის წიგნები
ბრძენი ხალხისგან შექმნილს და გაშლილს,
და გადამრჩენი დიდ რელიქვიის
ბიბლიოთეკის საცავი არის.
ყველას გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს
დიდ სიხარულს, რომ აღიქვამთ ვიცი,
მაგრამ სულ სხვაა მის სიყვარულში
ბიბლიოთეკარს, რომ უდევს წილი.

30. 04. 2010

როგორ გაუძლოს გულმა ამდენ ფიქრს

როგორ გაუძლოს გულმა ამდენ ფიქრს
ჩემს თავზე ოდნავ არა მაქვს დარდი,
მინდა, რომ ყველამ იცხოვროს მშვიდად
ლაღი ცხოვრებით, რომ კრიფონ ვარდი.
ნუდარ იქნება ომი და რისხვა
ნუ დაიდვრება უმიზნოდ სისხლი,
ნუ გადაგვივლის შავი ღრუბელი
კაცთკვლას სჯობია, მშიერი ვივლით.
მინდა ისევე აყვავდეს ვაზი
ქართველ კაცს შრომის ქონდეს ხალისი,
კვლავ მრავლდებოდეს ქართული გენი
ღმერთმა გვიმრავლოს ცოტნე, დავითი.

ქართველ ქალების ის სიფაქიზე
კვლავაც აფრქვევდეს სამშობლოს სითბოს
კვლავ მოგვევლინონ ამ ქვეყანაზე
ქეთევან, თამარ და წმინდა ნინო.
მერე ხომ შიში აღარ გვექნება
რადგან გვიცავდით მტრისგან მანდილით
აღსდექით ხალხნო, ძლიერ გვჭირდებით
კვლავ დაგვიცავით, სიტყვა გაგიჭრით.
09. 09. 2010

წკაპუნა წვიმა

წვიმის წვეთებმა ჩემს ფანჯრებში შემოაღწიეს,
და მის წკარა – წკურს ვხედავ უკვე არ უჩანს ბოლო
ფიქრებში მყოფი წვიმის ხმაურს ავყევი, მაგრამ
ვატყობ ფიქრებში ჩავიძირე და იცით როგორ?
ნახევრად შიშველ ხის ტოტებზე ქარი ნავარდობს,
ყვითელ ფოთლებში მობუზულა ჩიტი ნიბლია,
ცად აჭრილ ღრუბლებს კაბა მუქი შემოუცვამთ და,
ბუნება ისე იყურება თითქოს ბინდია.
წკაპუნა წვიმა შეაჩერებს ცრემლების დაღვრას,
ციმციმა წვეთებს ცელქი სიო აქა – იქ გაშლის,
ქარი წყლის გუბეს ტალღებივით შეათამაშებს
წინანდებურად ცაზე მზის სხივს ფერებად დაშლის.
10. 12. 2008

ახალგაზრდებს

ყველაფერი, რომ ბრუნდება ვიცით
გაზაფხული – ზაფხულს გულში იკრავს,
შემოდგომა და ზამთარი ისევ
ყოველ წელში თვალს ლამაზად გვიკრავს.
გული მაინც კეკლუცობს და ხარობს
თუმცა უკვე გაილია დღენი
მენანება, როგორ სწრაფად გაქრა
დაბრუნებას აღარასდროს ველი.
მერე რაა ჩვენ, რომ წავალთ იქით
მომავალნი დაიკავებთ ადგილს,
უფრო მეტად აყვავდება ერი
და ცხოვრებას თქვენ შეიქმნით ადვილს.
ეს ცხოვრება დღეს თქვენია შვილნო,

დასაცავად არ გჭირდებათ ხიშტი
გონივრლად აუყევით ადმართს
და დამცველად გაიხადეთ ნიჭი.

10. 04. 2010

ანთიმოზ ივერიელს

წმინდანი იყავ, მიწა არ გედირსა
მდინარე დულჩიამ ჩაყლაპა გვამი,
რისთვის გაგამწარეს, რისთვის ჩაგისაფრდნენ,
რისთვის აგკუწეს მორწმუნე კაცი.
პატარა მოგიტაცეს, მშობლები დაგიხოცეს
თურქებს ჩაუვარდი ტყვედ,
სტამბულში გაგყიდეს მონათა ბაზარზე
დოსითეოსმა გიყიდა შენ.
ანდრია გერქვა, სახელი გადაირქვი
და ანთიმოზად მონათლე თავი,
ივერიელი ქართველს ნიშნავს და
ქართული სისხლი გიჩქეფდა ძარღვში.
ნიჭი გიჭრიდა, ბევრ ენებს ფლობდი
მოქანდაკე და ჩუქურთმის მჭრელი,
ძირით ქართველი, სისხლით უბიწო
იყავ სამშობლოს მცველი წმინდანი.
ვლახეთ – რუმინეთის მიტროპოლიტობა
დიდხანს არ გქონია წილად,
ბრალდებებს მოერიდე, ნებით გადადექი
თურქებს შეეწირე მსხვერპლად.
მონასტრებს აგებდი, სიწმინდეს ძერწავდი,
სულიერ კულტურას, წინ სწევდი ამით,
ხალხმა აგიტაცა, წმინდანი გიწოდა,
თვითონ მოიპოვე წოდება საქმით.

14. 02. 2010

დედის მონატრება

უხალისობა. დილა სევდიანი
ფიქრები, ფიქრები, ტრიალებს თავში
დღეს ოცდაშვიდია, თებერვლის თვეა
და სწორედ ამ დროს გაფრინდი ცაში.
სანთელი ავანთე, მოგიხსენიე

შესანდობარი შევსვი.
თურმე რა ძნელია, ეს რა ტკივილია
ხმა რომ გენატრება დედის.
მონატრება და მერე როგორი
ვერ ვეგუები, გესმით?
ზოგი ალბათ იტყვის, წლები გაფრინდა და
რა დროს ვიშვიშია დედის,
ასე არ ყოფილა, ცუდი ნათქვამია
სიყვარულს ვერ ზომავ წლებით,
დედა – დედაა, უსაყვარლესია,
ყველამ იამაყეთ დედით.

27. 02. 2010

დედა – შვილობას უმღერის ჩიტი

ხიდან ჩიტუნას ჭიკჭიკი მესმის
საამურია მოსმენა ამის,
პატარა ბარტყებს თავს დასტრიალებს
თავის ნისკარტით ჩაკოცნოს ლამის.
დედა –შვილობას უმღერის ჩიტი
თავის პატარებს არ აკლებს ზრუნვას,
საცოდავს შიშით გული უსკდება
პატარა ფრთებით, თავის მტრებს ზღუდავს.
ჩიტსაც ხომა აქვს დედური სითბო
და სიყვარული მასაც ხომ ესმის
და იმ სიცოცხლეს ვუმღეროთ ყველამ,
ვინც დედა –შვილურ სიყვარულს ეტრფის.

12. 08. 2009

ბებერი მუხა

ბებერ მუხიდან ყვავ – ყორნების ჩხავილი ისმის
საცოდავ ტოტებს ფოთლები მთლად შემოძარცვიათ,
კორტნეს, დაჯიჯგნეს, გააშიშვლეს, კორდად აქციეს
მაგრამ მის ფესვებს სიძლიერე შემონახვიათ.

ნუ შეშინდები ჩემო მუხავ, ფესვებმაგარო
სალი კლდესავით აღუდექი წინ ჟამს დარდიანს,
შიშველი ტოტი კვლავ ფოთლებით ააჩუქურთმე,
ვერას დაგაკლებს ყვავ – ყორნები ძლიერს, მადლიანს.

15. 12. 2008

კიდევ რას ითხოვთ?

რას ემართლებით საქართველოს, რა გინდათ მისგან
ყვავ–ყორნებივით, რომ დასჩხავით არ აკლებთ რისხვას,
კიდევ რას ითხოვთ? იქნებ გულიც ამოგვიშანთოთ
ხომ წაგვაგლიჯეთ ნაჭერ – ნაჭერ ნაჯაფი მიწა.
მოგწონთ ეს მთები? ზღვები და მდელო?
გლეხკაცის შრომით დარგული ვაზი?
ეს მთაც ჩვენია, ეს ტყეც ჩვენია,
არ გაპატიებთ ქართველი კაცი.
სტუმრად გვეწვიეთ? ტკბილად მიგიღებთ
არავინ გერჩით, შეირგეთ მშვიდად,
შენ თუ ფარ – ხმალი აიღე ხელში
მე ხელშეკრული მივაღწევ მიზანს?
ეს იმიტომ, რომ ყველას ვსტუმრობდით
ჩვენში არ იჯდა გარჩევა ერის,
ეჰ, საქართველოვ, კვლავ მედგრად დადექ
ჩვენს გადარჩენას ეცდება ღმერთი.

02. 07. 2009

მაშინ ვინა ვართ

თუ კაცი გქვია და შენს აზრებს გავიზიარებ
ნუ მიღალატებ, რად გჭირდება ამისთვის ფიცი,
ძმობას რად უნდა შესაცნობად ფუთი მარილი
შემოგხედავ და გულში რა გაქვს იმ წუთში ვიცი
ღალატს სჯობია, რომ ქვესკნელში გადაიკარგო
მინდობილ კაცს თუ გაუცრუე რწმენა – იმედი,
მაშინ რა არის ერთგულება, კაცობა, მითხარ
თუ ერთმანეთთან ვაჟკაცურად აღარ ვიდექით
თუ ჩემს ძარღვებში, შენი სისხლის ნაკადი არ
ჩქეფს
თუ შენი გული, ჩემს სხეულში არ იდებს ბინას
რაა სიცოცხლე, თუ სამშობლო არად ჩავაგდეთ
და არ ვადიდეთ საყვარელი, მშობელი მიწა.

წმინდა სალოცავს, თუ უღმერთოდ მხარი ვაქციეთ,
თუ სიყვარული არ ვადიდეთ მაღალი ღმერთის,
მაშინ ვინა ვართ, რანი გვქვიან, რისთვის ვარსებობთ
ღირსნი ვიქნებით "აღვიგაოთ მიწისგან პირის"

დედა შვილს ეძებს

ქარი ბობოქრობს და ტყვიების ზუზუნი ისმის
აგერ კუთხეში ანგელოზი ცრემლად იღვრება,
რაო პატარავ, რატომ სტირი, რად აფრქვევ ცრემლებს
მამა მოგიკლეს? იმ ჯალათმა ეს რად ინება
იცის რომ დედა ცოცხალია, სადღაც ასცილდა
დედა შვილს ეძებს ღობე – ყორეს სწრაფად გაივლის
თვალი მოლანდა, საკუთარ შვილს, გულს ეფინება
მაგრამ მეუღლე ამ მიწაზე ვეღარ ჩაივლის
სადღა წავიდეს ფეხშიშველი, მშიერ – მწყურვალი
და იმ პატარას რა აჭამოს, თვითონ არ იცის
თავი მოიკლას? საიქიოს რა პირით წარსდგეს
გლოვით და ტანჯვით გადაღლილის გმინვა მოისმის.
წინ იწევს მაინც, აქ შვილია, ვერ უღალარებს,
მხრებჩამოყრილი, გულჩამკვდარი მძიმედ აბიჯებს,
ნუგეშისმცემი დაკარგა და იმასდა ჰგოდებს
ამ გაჭირვებას, დარდს და ვარამს ვინ ააცილებს
რა უთხრას მის შვილს, პატარა რომ კაცად იქცევა
რატომ ანთხია მისმა მამამ მიწაზე სისხლი,
უთხრას სიმართლე? ამას შვილი ბოღმად ჩაიდებს
და დამნაშავის ძირს და მოდგმას აიკლებს რისხვით.
ყველაფერს ამას ისტორია შემოინახავს
ნორჩი თაობა ამ საუნჯეს ფურცლებად გაშლის,
პასუხს მიაგებს მის წამომწყებს, ამაოხრებელს
იმედს იტოვებს საქართველოს ვერავინ დაშლის

11. 11. 2008

ლილი ჯანგველაძე

უნივერსიტეტის სამეცნიერო
ბიბლიოთეკის თანამშრომელი

თეთრ ნაბადში გახვეულა
ეს თბილისი ლამაზი,
სამეჯლისოდ ემზადება
მთაწმინდა და ვარაზი.

მტკვარი ქნარზე დაამღერებს,
გააკეთებს ილეთებს,
გორგასალთან რომ ჩაივლის
მას თბილისზე უმღერებს.

ნარიყალა ტაშს შემოჰკრავს
და მეჯლისზე მოხვდება,
დაბრძანდება ამაყად და
წარსულ ამბებს მოყვება.

06. 01. 08

ქალი

ქალი ყველა ლამაზია,
თან დაყვება ეშხი,
ხშირად თუ არ მოეფერე
ჩაგაჭკნება ხელში.

კაცი მთაა აღმართული
და მტკიცე აქვს სული,
მასაც უნდა მოფერება,
რომ მოულბეს გული.

16. 07. 08

ადამიანი

დაბადებული ადამიანი
ვარდის კოკორის შესადარია,
მაგრამ პერიოდი ხანმოკლე არის
და ეს ძალიან დასანანია.
შემდეგ ბავშვობის ხანა დადგება
ლაღი ცხოვრება და უდარდელი
მშობლები თუ გყავს გასახარია
და თუ არა გყავს დასანანია.

ჟამი რომ მოვა დიდ ბრძოლის ველზე,
მარტო იბრძოლებ თავგამოდებით,
თუ გაიმარჯვებ გასახარია
და თუ დამარცხდი დასანანია.
როცა სიბერე მოგიკაკუნებს
გული დაგწყდება და დაღონდები,
თუ დაგიფასეს გასახარია
და თუ დაგწიხლეს დასანანია.

19. 10. 05

მოგზაურობა კახეთში

თავი სიზმარში მეგონა
სიღნაღში როცა ჩავედი,
ეს რა ქალაქი ყოფილა
ზემოდან გადასახედი.

არ ვფიქრობ ვინმემ გაუძლოს,
ალაზნის ველის მშვენებას
და გულში აღარ შეუდგეს
ოცნების კოშკის შენებას.

შორიდან ვხედავ ტაძარსა –
ალავერდს განათებულსა,
ქართველ მეფეთა სახეებს
ყველასა დადარდებულსა.

წინ მათ მიუძღვის კვირიკე –
მეფეა ტაძრის ამგები,
თან მიყვებიან მეფენი
ჭირ-ვარამისა გამგებნი.

მეფენი მუხლმოდრეკილნი
უფალს შესთხოვენ შენდობას
და ღმერთსა ევედრებიან
ქართველთა ურღვევ ერთობას.

14. 06. 08

თვით იშრომე

მე არ მინდა სხვისი შრომით

გავმდიდრდე და გავიხარო,
მე მინდა რომ მძიმე შრომა
არასდროს არ დავიზარო.

სხვისგან აღარ მოინდომო
სიმდიდრე და საჩუქარი,
ეცადე, რომ თვით იშოვო
შენთვის სარჩო-საბუდარი
27. 11. 06

თანამედროვე „ვაჟკაცები“

ყმაწვილები შეკრებილან.
ყველა ტკბება ყურებით,
ისეთ სიტყვებს წარმოთქვამენ,
მსურს არ მქონდეს ყურები.
    თავის დედებს აგინებენ,
    უწმაწური სიტყვებით,
    ამის შემდეგ ეს მითხარით,
    ჩვენ რა ერი ვიქნებით?
მართალია, გარეგნულად
ვაჟკაცები არიან,
მე მგონია, შინაგანად
მხდალ–მშიშრები არიან. 09.10. 2009 წ.

ნიჭი და წლოვანება

საქმის სწორად გაკეთება
ნიჭს და ცოდნას ემყარება,
აქ არაფრის როლს თამაშობს,
ადამიანთ წლოვანება.
    ღმერთი ბადებს ნიჭიერსა,
    ძალით ნიჭსა ვერვის შეძენ,
    ნიჭს თუ ცოდნა დაემატა,
    ნებისმიერ საქმეს შეძლებ.
ნიჭი თუ კაცს თან არ დაყვა,
წლოვანება ვერ უშველის,
ცოდნას ის ვეღარ შეიძენს,

დახმარებას სხვისგან ელის.
18.07. 2010 წ.

ჩემი საქართველო

ოცნების ფრთები შემესხა,
გადავიფრინე მთა-ბარი,
ისეთი განძი ვიხილე,
არსად არ მისი სადარი.
    აქეთ მთებია მაღალი,
    სადაც ბუდობენ ორბები,
    მთების ფერდობზე ამაყად
    დადიან ირმის ჯოგები.
იქეთ, რომ გადაიხედავ,
მინდვრები არის მრავალი,
არ შეიძლება არ დატკბეს,
კაცი იმ გზაზე მავალი.
    დიდი სისწრაფით ჩანჩქერი
    მთიდან გადმოქუხს შხუილით,
    მდინარედ გადაიქცევა,
    ზღვას უერთდება დუმილით.
ეს ჩემი საქართველოა,
ოქროს ძაფებით ნაქარგი,
მადლობა ღმერთო მაღალო,
რომ მოწყალებით დაგვნათი.
    მე შენს სიყვარულს გულით ვატარებ,
    ჩემო სამშობლოვ, ედემის დარო,
    შენი ტკივილი მინდა ვიტვირთო,
    არ მინდა შენ, რომ ცრემლები ღვარო.
რამდენსა მტერსა ოდითვე,
მონდომებია შენი გათელვა,
მაგრამ ღვთისმშობლის ღვთიურმა ძალამ,
საქართველოდან ყველა განდევნა.
    ყველა ცდილობს დაგიმონოს,
    ყველა შენსკენ თვალს აპარებს,
    საქართველო ამაყად დგას
    და მტერს ახლოს არ იკარებს.

18.05. 2009 წ.

ადამიანი ის აღარ არის

ადამიანი ის აღარ არის,
ვინც ამბობს მხოლოდ ბოროტ ტყუილებს
და ვინც მუდმივად ისრულებს,
მის თავში მოსულ მზაკვრულ სურვილებს.
    ადამიანი ის აღარ არის,
    ვინც ყველას ლანძღავს და ემტერება,
    თვითონ ჭამსა და უზომოდ ძღება
    და სხვისთვის ლუკმაც არ ემეტება.
ადამიანი ის აღარ არის,
ვინც ითვლის სხვისა ქონებას
და ჭკვიანურად აღარ იყენებს,
ღვთისგან ნაბოძებ თავის გონებს.

21.07. 2010 წ.

კაცის გატანა

ქვეყანა მუხანათია,
გზა აირჩიე სწორი,
შეიძლება, რომ დიდხანს იცხოვრო,
მაგრამ ვერ ნახო ტოლი.
    ზოგი გაქებს და გადიდებს
    და ჩაგთვლის თავის ძმად,
    ზოგი უამრავ სიკეთეს გიზამს,
    მერე კი გადენს ძმრად.
დავეხეტები იალქნით ზღვაში,
ნაპირი არის ჭაობი, ტლაპო,
ნავსაყუდარი ვერსად ვიპოვე,
ვერ შევარჩიე ადგილი სანდო.
    ზურგიდან გულში გიყრიან ისარს,
    რა მწარე არის ამის ატანა,
    ღმერთმა გვაშოროს ჩვენ ისეთები,

ვინც ადარ იცის კაცის გატანა. 23.02. 2009 წ.

საყვარელო ემა

ემა ხვიტიას

დაბადების დღეს გილოცავ,
გულით მინდა გაიხარო,
შენი დიდი შემართებით
მსურს, რომ ყველა გაგვახარო.
    ბავშვობიდან შენს ოცნებას,
    თვით შეასხი ფრთები,
    შენი ნიჭით და შრომითა
    გადალახე მთები.
შენ გინდოდა ექიმობა,
არჩევანი იყო სწორი,
ღმერთმა ნატვრა აგისრულა,
გახდი პროფესორი.
    უშიშარი მებრძოლი ხარ
    და შენ აღწევ მუდამ მიზანს,
    ვინც არ უნდა წინ აღგიდგეს,
    ავსა საქმეს ვერვინ გიზამს.
მოგისურვებ ჯანმრთელობას,
იყავ მუდამ ბედნიერი,
ფრთებგაშლილი, გულგაშლილი,
ლამაზი და მშვენიერი.

23.04. 2010 წ.

დავიწყებული ტრადიციები

მეაბრეშუმეობის ს/კ
ინსტიტუტის თანამშრომლებს

პირველი თოვლი თბილისს ეწვია,
ლილის ვერაზე არვინ ეწვია,

ეზოში თეთრი ფიფქი ბევრია,
ტრადიციები ალბათ ბლეფია.
    ალბათ სიბერე თქვენ შეგეპარათ
    და ძველებურად არ ფეთქავს გული,
    ნუთუ არ გყოფნით ძალა და ღონე,
    რომ დაიბრუნოთ ის ძველი სული.
დრო იყო როცა ერთი ფანტელი,
გეჩვენებოდათ თოვლის დიდ გუნდად,
ახლა რა მოხდა, რა დაგემართათ,
ნუთუ თქვენს გულებს ლხინი არ უნდათ.
    მე ვხედავ, რომ ძველი სითბო
    არ გამოგყვათ არავის,
    თუ არავის ვედარდები,
    არც მე ვდარდობ არავის.
საყვედურებით აგავსეთ,
ალბათ თქვენ გული გატკინეთ,
თქვენი არ მოსვლით იცოდეთ,
მეც გული მწარედ მატკინეთ.
    პატიება, ხომ რჩეულთ ხვედრია
    და დავივიწყოთ ამბიციები,
    იქნებ რჩეულად ჩვენც დავიბადეთ
    და აღვადგინოთ ტრადიციები.

25.05. 2010 წ.

უკვდავად იქეც

ვუძღვნი გურამ შარაძის ხსოვნას

საქართველოვ, ეს რა ხდება,
სისხლი რისთვის იღვრება?
ნუთუ ჩემი საქართველო,
სისხლის გუბედ იქცევა.
    მეხის გავარდნა იყო თუ,
    გურამ შარაძის მკვლელობა,
    ჯალათმა სისხლი დაღვარა
    და დაიმძიმა ცხოვრება.
დევგმირის მოკვლა ვინა სთქვა,
ის მხოლოდ გარდაიცვალა,
მიწიერეთი დატოვა

და ცაში გადაინაცვლა.
    შეიძრა მთელი ქვეყანა,
    ვისმენ მოთქმას და გოდებას
    და თითქოს საფრთხე შეექნა,
    ენას, მამულს და სარწმუნოებას.
შენ ხომ ვერავინ ვერ მოგკლავს,
შენი ლამპარი ანთია,
მას ვერვინ ვერ შეეხება,
წმინდაა როგორც ხატია.
    შენთვის ნასროლმა ტყვიებმა
    ჩვენ დაგვიკოდა გულები,
    მოულოდნელი ამბისგან
    აფორიაქდნენ სულები.
სამშობლოს მოსიყვარულევ,
თავი დადევი მისთვისა
და უკვდავებად იქეცი,
ჩვენ ყველამ ვიცით რისთვისა.
    მუდამ სიმართლეს იცავდი,
    შენ სიტყვებს არვინ აგდებდა ბანად,
    მოვა დრო შენ ამაღლდები
    და შეგრაცხავენ წმინდანად.
20.05. 2007 წ.

ობოლი სული

ქმრისა დაკარგვა ქალაუ,
ნუღარ გგონია ადვილი,
გულში დაგრჩება იცოდე,
შენ გაყინული ადგილი.
    გაყინულ გულს ვერ გაათბობ,
    რაც უნდა ბევრი ეცადო,
    მისა გალღობას ვერასდროს,
    ვერავინ შეძლებს ქვეყნადო.
ვერვის გაუმხელ გასაჭირს,
განა გაგიგებს ყველაო,
თუ მასაც არ განუცდია
ეს მტკივნეული ღელვაო.

დამემსხვრა ოცნების კოშკი,
მას გაყვა ჩემი გული
და დამრჩა ქვეყნად მარტოკა
ჩემი ობოლი სული.
25.08. 2010 წ.

გულით გლოცავთ

ეს პატარა ჩემი გული
მე ვგრძნობ, რომ ძგერს ნელა,
როგორ მინდა ამ ჩემს გულში
ჩაგახედოთ ყველა.
მსურს, რომ მუდამ თქვენთან ვიყო,
მინდა თქვენი ნუგეში,
რომ შემეძლოს ყველას ერთად
ჩაგისვამდით უბეში.
თქვენ ყველანი ჩემს გულში ხართ,
სიყვარულით გმოსავთ,
ყოველ წუთს და ყოველ წამში
მთელი გულით გლოცავთ.
03.09. 2005 წ.

ქალ-ვაჟის პაექრობა

ვაჟი:
სად არის, ნეტავ სად არის,
ამდენ ხანს რატომ არ მოდის,
ის ვეღარა გრძნობს, რომ მასზე
მე მზე და მთვარე ამომდის.

(ქალი გამოჩნდა)
ვაჟი:
შენს გვერდით მინდა, რომ ვიყო
და გითხრა მხოლოდ ნანაო,
ეს ჩემი გული საწყალი
უშენოდ დაიტანჯაო.

შორიდან ცქერამ დამღალა,
აღარ მაღირსე ღიმილი,
როდემდე უნდა ვითმინო
შენგანა გულის ტკივილი.

ქალი:

დამეხსენ ბიჭო, დამეხსენ,
რად არ მაშორებ თვალსაო,
შენ, რომ შემხვდრბი მგონია,
მიპირებ რაღაც ავსაო.

ვაჟი:

შენმა ნათქვამმა დამძაფრა,
აფორიაქდა სულია,
ნუთუ ვერ ხედავ, რომ ვცდილობ,
დავიპყრო შენი გულია.
მიყვარხარ. მხოლოდ მიყვარხარ,
როგორ გიპირებ ავსაო,
სხვამ, რომ შენ ავი გაკადროს,
იმ წუთს შევაკლავ თავსაო.

ქალი:

ვაჟკაცო, ბოდიშს მოგიხდი,
ეჭვებმა გული დალია,
მე თუ შენ აღარ გენდობი,
არ არის ჩემი ბრალია.
ზოგმა ვაჟკაცმა ტყუილით
მოხიბლა ბევრი ქალია,
ისეთი რამე დამართა,
რომ დაუბნელა თვალია.

ვაჟი:

ეგ რა მაკადრე ძვირფასო,
რატომ დამწამე ცილია,
ვერ ხედავ როგორ ჩამოვდნი,
შენს გამო არ მაქვს ძილია.

ქალი:

ვხედავ, რომ ძლიერ გიყვარვარ,
სიტყვებით ნურას მოყვები,
თუ მიღალატე იცოდე,
შენს თვალწინ უმალ მოვკვდები.

ვაჟი:

ჩემს თავსა შენ განაცვალებ,
არასდროს არ გიღალატებ,
სულ ხელის გულზე გატარებ,
მსოფლიოს შემოდატარებ.

09.05. 2009 წ.

საყვარელო დედა

ვუძღვნი ჩემს დედას
აგრაფინა დანელიას

გულში გგლოვობ, გულში ვტირი,
ჩემთან მინდა, რომ იყო,
მენატრები, მენატრები,
ჩემო ტკბილო დედიკო.
    დედა მუდამ დედა არის,
    წლოვანება არა აქვს,
    მის სიყვარულს შვილისადმი,
    ზომა, წონა არა აქვს.
გვერდში დედა როცა გიდგას,
თავისუფლად დალაღობ,
იმიტომ, რომ არასოდეს
დედა შვილს არ ღალატობს.
    დედის სითბო, დედის სიტკბო,
    მუდამ დაგზდევს თანხვედრად,
    იმიტომ, რომ მას ვერავინ
    ვეღარ შეცვლის ამ ქვეყნად.
დედა როცა გარდიცვლება,
გული შეგეკუმშება,
შეკუმშული გულით ივლი,
სევდა დაგეუფლება.
    დედის გული გაიხარებს,
    თუ გაქვს გონიერება,
    დაიხსომე, რომ არსებობს
    კანონ—ზომიერება.

10.02. 2006 წ.

მეგობარო ლიანა

ლიანა ჯალაღონიას ხსოვნას

სიკვდილი ვერ დაგვაშორებს,
ხარ ჩვენი გულის ძგერა,
შენ ჩვენთან ყოფნა გიყვარდა,
ლიანა, ეს ჩვენ გვჯერა.
    რამდენი გეგმა გვქონდა,
    რამდენი კარგი აზრი,
    მოულოდნელად წახვედი
    და დაგვიტოვე დარდი.
ბევრი ცრემლები ვღვარეთ,
გულები დავიღარეთ,
წარსული უკან დაგვრჩა,
გოდებით დავიღალეთ.
    მუდამ ჩვენს გვერდით მგონიხარ,
    ვერ დაგივიწყებთ ლიანა,
    რამდენი დროც არ გავიდეს,
    არ მოშუშდება იარა.

09.01. 2005 წ.

მისალმება

თუ კი გამორჩევით
ესალმები ხალხს,
მაშინ შენი ქცევით
თავზე ისხამ ლაფს.
    ზოგი სალამს ვერ იმეტებს,
    ისე აგივლ-ჩაგივლის,
    თითქოს მისი მისალმებით
    მილიონებს ჩაგითვლის.
ზოგი ჩუმათ გაგიღიმებს,
ზოგი თვალებს ჩაგიკრავს,
მას გონია მისი სალმით,
სასახლეებს დაგიდგამს.
    ზოგი კიდევ თავის სალამს,

გულმოსულად მოგიგდებს,
მას ჯერა, რომ ცხოვრებაში,
თითქოს რამეს მოიგებს.
ყველა ზემოთ ჩამოთვლილი
თავმომწონედ დადიან,
მოევლინენ ამ ქვეყანას,
უზნეონი არიან.
ცნობილია, რომ პირველად
აღზრდა სალმით იწყება,
თუ ოჯახში არ გასწავლეს,
დიდი ცოდვა იქნება.
თუ კი სალამს ვერ იმეტებ
მაქნისიხარ რისა?
დაიხსომე, რომ სალამი,
არის მხოლოდ ღვთისა.
05.02. 2007 წ.

სიყვარული

ვაჟი:
მთაში ირემმა იყვირა,
ბარში ხმა მისცა ძერამა,
ძილი არ მომცა ღამითა
ამ ჩემი გულის ძგერამა.
შენთანა მოველ ლამაზო,
არ დამეძინა ლაღადა,
არ მინდა ძალა ვიხმარო
ადექ, გამომყევ თავადა.
ქალი:
ვხედავ ფრთები გამოგისხამს
და დაფრინავ ლაღად,
ეს მითხარი რას მიპირებ,
თუ არ მოვალ თავად.
ვაჟი:
ალბათ სხვისკენ მიისწრაფი,
გსურს მამყოფო დარდში,
მოგიტაცებ, გაგაქროლებ

და დაგმალავ მთაში.

ქალს გაუხარდა, გაწითლდა,
თვალებით უთხრა თანხმობა,
ცოტახნის შემდეგ ისმოდა
ამ ორი გვრიტის გალობა.
    გახარებული ქალ-ვაჟი
    ირგვლივ ვერავის ამჩნევდნენ,
    ღმერთმა იმ გზაზე ატაროს,
    რომ მრავალ შვილებს აჩენდნენ.
30.11. 2006 წ.

ეკა ჭინჭარაული

ჟურნალისტიკის სპეციალობის
პირველი კურსის სტუდენტი

საქართველო

დავდივარ, ფართო გულმკერდზე
გიქარგავ ლამაზ ყვავილებს.
ოჰ, საქართველოვ! წყალობის
კუთხე ხარ ყველა ნაპირზე.

ბუნება მრავალ ფერი გაქვს,
ხან დათოვ, ხანაც იყვავებ
და მაინც მაგ თბილ თვალებით
მტერსაც კი დაამძინარებ.

კრძალვით გახურავს მანდილი,
ღვთისმშოლის წილხვედრი ვარო,
ჩემს გულზე ყველა ვაჟკაცი
ბრძოლებში იმარჯვიანო.

რამდენი ჭრილობა მერგო
მტრისაგან დაუზოგავი
მაგრამ იმდენჯერ შვილებმა
მომბანეს ღირსების კვალით.

დღეს უკვე თმებიც თეთრი მაქვს,
მთაწმინდას ფიქრად ვეღვრები,
გწამდეთ, ღრმად არის გამჯდარი
დღეს უკვე ჩემი ფესვები.

მათხოვარი

აგერ, კუთხეში ხელს იწვდის ქალი
და მოწყალებას თხოულობს გულით.
უფალო, ჩვენთვის არის ბედკრული
ყველა მწირი და ყველა საწყალი.

დღეს მათ სახეზე სევდა ინთება
და მათ თვალებში სხივი დამშრალა,
თუმც მომავლისკენ გზები ბნელია
მაგრამ იმედი ჯერ არ გამქრალა.

* * *

- იცი როდის გაქვს სული მდიდარი?
როცა მიტევება შეგიძლია.
- და როდისა ხარ ძალზე ძლიერი?
თუ გულს ბოროტება არ უგრძვნია.

* * *

ჩემი ცხოვრება შენი ტილოა,
დღეს მხატვარი ხარ მისი.
ოცნების ფერებს თუ შეაზავებ
შიგ ფუნჯად ჩადე ფიქრი.

როცა მორჩები ტილოზე ხატვას
მხოლოდ ერთსა გთხოვ, კარგო
რომ ჩემ მომავლის გზებს გაატანო
მზერა უკვდავების წყაროდ.

* * *

არაგვო, ქალის ბუნებას
ძლიერ მოჰგევხარ, მჩქეფარო.
დალალები რომ ტალღად გაქვს
ამაყ მთის ასულს გევხარო.

თავისუფლებას ჩვეული
მიჰქრიხარ, ქარს მიყევხარო.
ჯეირანივით უდრეკი
ხალხის გულებში ელავო.

მზის სხივებს თმაში ჩაიქსოვ,
ჩაეხუტები ქვებსაო.
საბედისწერო ქალღმერთო
ვაჟების განაჩენ-ხარო.

მინდა ყველას მოგეფეროთ

მინდა ყველას მოგეფეროთ
თბილი სიტყვა გითხრათ გულით.
ნეტა ქვეყნად არ დაძრწოდეს
მტრობა, შური, სიძულვილი.

ჩვენ ხომ ყველა და-ძმანი ვართ
ადამისგან წამოსული.
ბედმა გზაზე რამდენს გვიძღვნა
ეკლები და სიყვარული.

მოდით, ყველამ აქ ერთმანეთს
ვუსახსოვროთ წრფელი გული
რომ არა თქვან, - ძნელი არის
სიტყვა სუფთა და გულთბილი.

მოდით, ისევ გავამეფოთ
გათელილი სიტყვა გულის
რომ შთამომავლებმა იცოდნენ
ფასი უკვდავ სიყვარულის.

* * *

უცებ შევნიშნე ცაზე
ზღვის ცხენის ღრუბლების ფთილა.
მომინდა შენი ნახვა,
გამოვეშურე იმ წამს.

გადმოვივლიდი ათასს
ცხრა მთას და ცხრა ზღვას შენთვის;
ოღონდ მენახა კვლავაც
თვალთა უშრობი ცეცხლი.

ისევ დაიჭერდა ცის თაღს
ჰერაკლე დაუღლავ მკლავით.
მე კი ღრუბლებში წვიმას
გადმოვლახავდი მაინც.

მერე დავდგებოდი შენ წინ
ისევ ის ცელქი ბავშვი
ჩაგეხუტებოდი გულში
ზღვის ტალღასავით მქრალი.

* * *

მეც კვლავ ტერენტის მსგავსი წუხილით
ისევ გადავდგამ მძიმე ნაბიჯებს.
ეჰ, ეს ზამთარიც უარესს შვრება:
შენს თავს მაყვარებს და მთლად მაგიუებს.

სარჩევი

ნათია აბურჯანია	3
ვასილ ამირიძე	7

ანი ბიბილაშვილი	17
ცირა ბლუაშვილი	21
მარიამ გრიგოლია	30
ბექა გრძელიშვილი	33
იოსებ გაფრინდაშვილი	34
კუპრავიშვილი	
ნინო მინდელი	63
ლერი ნოზაძე	85
როლანდ სინატაშვილი	89
იზო ღონღაძე	94
ლილი ჯანგველაძე	104
ეკა ჭინჭარაული	117

My hobby is poetry
(In Georgian)

Literary Miscellany No 7 of GSAU staff and students

რედაქტორ-გამომცემელი
ლერი ნოზაძე

2010 Tbilisi